საარჩევნო ვნებები აბაშიძის კარზე A2

მონადირე A8

„ხალხის პირისპირ" - ანკეტა B3



www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი — ოთხშაბათი, 19 მარტი, 2003 წელი. №76 (288) — ფასი 50 თეთრი


## პოლიტიკა

### ეს მათი მხედრული ვალი იყო

სპორტის სასახლეში ქვეყნის ყველა კუთხიდან ჩამოსული ათასობით ვეტერანი იჯდა და უსმენდა დიქტორის ბოხ ხმას, - "აქ ჩვენი ხალხი ცხოვრობს!" და ეკრანზე თანდათან იკვეთებოდა საქართველოს რუკა და პირველი დამპყრობლის სახელი...

A3

## ეკონომიკა

### „თბილგაზის" ახალი მფლობელის ვინაობა ამ კვირაში გაირკვევა

"თბილგაზის" მართვის უფლებით გასაცემად გამოცხადებული ტენდერი სრულდება. სატენდერო კომისიამ გამარჯვებული კომპანია 22 მარტამდე უნდა გამოავლინოს.

A4

## უცხოეთი

### ჰუსეინი თავის ვაჟებთან ერთად ერაყში რჩება

ბუშმა ერაყის პრეზიდენტს და მის გარემოცვას ერაყის დატოვება მოსთხოვა და ამისათვის 48 საათის ვადა მისცა. ვაშინგტონის მოთხოვნით, სადამთან ერთად ქვეყნიდან უნდა წავიდნენ მისი ვაჟებიც – ქუსაი და უდეი ჰუსეინები. წინააღმდეგ შემთხვევაში, ერაყის წინააღმდეგ მოკავშირეთა ასობით თვითმფრინავი აიღებს სტარტს.

A5

## საზოგადოება

### "არ მინდა, ჩემი გვარიც აუგად მოიხსენიოთ"

ვანო ზოდელავას სამშაბათის ტრადიცია გუშინდელმა თოვლ-ჭყაპმაც ვერ დაარღვევინა და ჟურნალისტების თანხლებით ვაზისუბანში მდებარე 16-სართულიან კორპუსს ეწვია. მაგრამ, ამ კორპუსის მობინადრენი გუშინწინ დილით ისეთ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, ქალაქის მერს რომ არ მოენახულებინა, არც შეიძლებოდა.

A6

## სამართალი

### „უზენაესმა სასამართლომ უკანონო გადაწყვეტილება მიიღო"

"ხათუნა ჩხაიძის საჩივარი თანდართული მასალებით გლდანი-ნაძალადევის რაიონულ სასამართლოს გადაეგზავნოს განსახილველად", - ასეთი გადაწყვეტილება გამოიტანა გუშინ უზენაესმა სასამართლომ გიორგი სანაიას მეუღლის სარჩელთან დაკავშირებით.

A7

## ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 5 | თოვლი |
| ქუთაისი | 10 | წვიმა |
| ბათუმი | 8 | წვიმა |
| სოხუმი | 8 | წვიმა |
| ფოთი | 8 | წვიმა |
| თელავი | 8 | თოვლი |
| ზუგდიდი | 9 | წვიმა |
| გორი | 6 | თოვლი |
| ახმეტა | 8 | თოვლი |
| ქიათურა | 8 | თოვლი |
| გაგრა | 8 | წვიმა |
| სამტრედია | 9 | წვიმა |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1500 |
| ევრო | 2.3276 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.4013 |
| რუბლი | 0.0685 |

# კატა-თაგვობანა პარლამენტში

გიორგი ასანიშვილი

*საპარლამენტო უმრავლესობისა და ოპოზიციის დაპირისპირება რაღაცით ტომისა და ჯერის მულტიპლიკაციურ თავგადასავალს წააგავს: თავიდან ისე ჩანს, რომ ძლიერ (მრავალრიცხოვან) სუბიექტს მასზე სუსტი (მცირერიცხოვანი) კუთხეში ჰყავს მიმწყვდეული და, სადაც არის, ბოლოს მოუღებს, მაგრამ უცებ ვითარება იცვლება და კონფლიქტური სიტუაციიდან გამარჯვებული ყოველთვის პატარა და უფრო ჭკვიანი "არსება" გამოდის. ასე ხდება საკანონმდებლო ორგანოშიც. პარლამენტის რიგგარეშე სხდომაზე ოპოზიციამ ხელისუფლების მხარდამჭერ ფრაქციებს გუშინ მორიგი ალიყური უთავაზა. შეიძლება ითქვას, რომ პრეზიდენტ შევარდნაძის ბანაკი კობა დავითაშვილმა თითქმის მარტომ "გალახა". საქმე იქითკენ მიდის, რომ ცოტაც და, "თემატური უმრავლესობა", ფსიქოლოგიურად, საერთოდ წახდება. მის წარმომადგენლებს, ზედიზედ ამდენი მარცხის შემდეგ, შინაგანად აღარც კი სჯერათ, რომ ოპოზიციის დამარცხებას ოდესმე შეძლებენ. უმცირესობა გათვლებსა და ტაქტიკურ სვლებში ყოველთვის, მინიმუმ, ერთი ნაბიჯით ასწრებს უმრავლესობას და მას ჩიხურ მდგომარეობაში აყენებს.*

რიგგარეშე სესიის პირველ დღეს სახელისუფლებო ფრაქციებს, როგორც აღვნიშნეთ, კობა დავითაშვილმა გამოუყვანა წირვა. "ნაციონალების" ერთ-ერთი ლიდერის შთამბეჭდავმა განცხადებამ საპარლამენტო უმრავლესობას ლამის დამბლა დასცა და თუ იმ დღეს მათ ბანაკში რაიმე გეგმა არსებობდა, მთლიანად ჩაფუშა.

გაგრძელება A3 გვერდზე



ზაალ გულაშვილის ფოტო

*თემატური უმრავლესობა ისე დაიქსაქსა, რომ მისი წევრები ერთმანეთს ვეღარ ხედავენ.*

## საქართველოს ხელისუფლება სტრატეგიული ობიექტების დაცვას აძლიერებს

ეკა კვესიტაძე

ერაყში საომარი მოქმედებების დაწყებასთან დაკავშირებით საქართველოს ხელისუფლება სტრატეგიული ობიექტების დაცვას აძლიერებს. ამ ობიექტების რიცხვში აღმოჩნდა აეროპორტი, სამხედრო ბაზები, თავდაცვის სამინისტრო, საელჩოები, პირველ რიგში კი, ბუნებრივია, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო. გუშინ უშიშროების საბჭოს მდივანთან ძალოვანი უწყებების წარმომადგენლები შეიკრიბნენ. შეხვედრის მთავარი თემა ერაყის ომი და პანკისი იყო.

გთავაზობთ მოკლე ინტერვიუს უშიშროების საბჭოს მდივანთან თედო ჯაფარიძესთან.

**- რა ხდება დღეს პანკისში და რამდენად დაცულია ეს ხეობა ტერორისტების ახალი ნაკადისაგან?**

- ჩვენ ველოდებით თოვლის დნობას და პანკისში რუსეთიდან ბოევიკების შემოსვლას. ამის გამო ხეობაში დამატებითი ძალები შევიდა. თავდაცვის სამინიტროს მონაწილეობით ყალიბდება კონკრეტული სამოქმედო გეგმა. ამ გეგმის შესახებ გუშინ კიდევ ერთხელ ვიმსჯელეთ. ანტიტერორისტული კოალიციის წევრი ვართ და არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენც ბევრი მოვალეობა გვაკისრია, რომელთა შესრულება აუცილებელია.

**- რამდენად რეალურია იმის საფრთხე, რომ პანკისის ხეობაში ტერორისტები არა მხოლოდ რუსეთიდან, არამედ სხვა ქვეყნებიდანაც შეეცდებიან შეღწევას. ერაყის ომის დროს ტერორისტული ორგანიზაციები, ბუნებრივია, ახალი თავშესაფრის ძიებას დაიწყებენ.**

- ამიტომაც ვიღებთ წინასწარ ზომებს. გაძლიერებული დაცვის ქვეშაა აეროპორტი. გამკაცრებულია სავიზო რეჟიმი. შესაძლებლობების ფარგლებში ყველა მოსალოდნელი

გაგრძელება A3 გვერდზე

## „აზოტის" „იტერასთვის" გადაცემა ხალხის და პრესის მალულად ხდება

მაია მოსიაშვილი

"აზოტის" აქციათა 90 პროცენტიანი პაკეტის "იტერასათვის" სიმბოლურ ფასად გადაცემამდე რამდენიმე დღით ადრე, საწარმოს მსხვილი კრედიტორების მოთხოვნით, რეაბილიტაციის მმართველი და კრედიტორთა კომიტეტის შემადგენლობა შეიცვალა.

ამ ცვლილებების თაობაზე წინასწარ ინფორმირებული რეაბილიტაციის მმართველი დაჟინებით ითხოვდა კრედიტორთა სხდომას ჟურნალისტებიც დასწრებოდნენ, თუმცა შპს "მაგთის" წარმომადგენლის ალეკო ანჩაბაძის "არგუმენტმა" უფრო გასჭრა - "ეს წმინდა სამეურნეო საკითხია და მასმედია მის პოლიტიზირებას შეუწყობს ხელს. აქ ახლა მილიონების რახარუხი ატყდება და არ იცით, რა ქვეყანაში ვცხოვრობთ?! გუბერნატორს სტაცებენ შვილს..."

გაგრძელება A4 გვერდზე

## ასამართლებენ გაუპატიურებაში ბრალდებულ პოლიციელს

*"მახარაშვილმა გააფრთხილა მ.კ, მომხდარის შესახებ დედამისისთვის არაფერი ეთქვა, რადგან მას მაინც არავინ დაუჯერებდა: მე პოლიციის მუშაკი ვარ, შენ კი მამაც არ გყავს და ვერაფერს დამიშავებო, – აღნიშნულია ისანი-სამგორის რაიონული შს სამმართველოს მე-6 განყოფილების ყოფილი უმცროსი ინსპექტორის ზურაბ მახარაშვილის საბრალდებო დასკვნაში. ზემდეგ მახარაშვილს ისანი-სამგორის რაიონული სასამართლო გაუპატიურების ბრალდებით ასამართლებს.*

თამარ კაციტაძე

მოგეხსენებათ, სამართალდამცველებს ყოველთვის უმძიმთ საკუთარი კოლეგების მიერ ჩადენილი დანაშაულის აღიარება, მით უმეტეს, თუ საქმე მძიმე დანაშაულს ეხება.

აქედან გამომდინარე, ადვილი წარმოსადგენია, რამდენად ობიექტურად არის გამოძიებული პოლიციელის მიერ ჩადენილი დანაშაული და რამდენად ობიექტური დასასრული ექნება საქმეს.

გაგრძელება A7 გვერდზე

## რატომ უნდა დამეტოვებინა კაბინეტი

*როგორც კი შეერთებულმა შტატებმა, ბრიტანეთმა და ესპანეთმა განაცხადეს, რომ ისინი ომს გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის გარეშე დაიწყებენ და სადამ ჰუსეინს ულტიმატუმი წაუყენეს, დიდი ბრიტანეთის თემთა პალატის ლიდერმა (მინისტრი, რომელიც პასუხისმგებელია პარლამენტთან ურთიერთობაზე), ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა რობინ კუკმა მაშინვე განაცხადა გადადგომის შესახებ. ეს გადაწყვეტილება მან თავის წერილში დაასაბუთა, რომელიც გუშინდელ გაზეთ "გარდიანში" გამოქვეყნდა. ეს წერილი ომის მოწინააღმდეგეთათვის ნამდვილ მანიფესტს წარმოადგენს.*

მე იმიტომ გადავდექი, რომ ვფიქრობ, დაირღვა ჩემი პარტიის ძირითადი საგარეო-პოლიტიკური პრინციპი. თუ ჩვენ გვწამს საერთაშორისო საზოგადოებისა, რომელიც ყველასათვის სავალდებულო წესებსა და ინსტიტუტებს ეფუძნება, მაშინ არ უნდა უგულებელვყოთ ეს წესები და ინსტიტუტები მაშინ, როდესაც ისინი ჩვენთვის არასასურველ შედეგს იძლევა.

ომს მხარს ვერც საერთაშორისო შეთანხმებისა და ვერც საშინაო მხარდაჭერის საფუძველზე დავუჭერ. ტაშს ვუკრავ პრემიერ ბლერისა და საგარეო საქმეთა მინისტრის დაუღალავ მცდელობას, მიეღწიათ უშიშროების საბჭოს მეორე რეზოლუციისათვის. ახლა, როდესაც ეს მცდელობა მარცხით დასრულდა, ჩვენ აღარ უნდა ვამტკიცოთ, რომ მეორე რეზოლუცია უმნიშვნელო იყო.

ბოლო დღეებში მოდაშია საფრანგეთის კრიტიკა. მაგრამ მხოლოდ საფრანგეთი როდი ითხოვდა ინსპექტორებისათვის უფრო მეტი დროის მიცემას. ამას ითხოვდა გერმანია, ამას ითხოვდა რუსეთი. ფაქტობრივად, ერთხელაც ვერ მოვახერხეთ უშიშროების საბჭოში ხმათა მინიმალური საჭირო რაოდენობა მაინც გვქონოდა. მოდით, ნუ მოვიტყუებთ თავს და ნუ ვიტყვით, რომ საერთაშორისო საზოგადოების წინააღმდეგობა ომის მიმართ მხოლოდ პრეზიდენტ შირაკის "დამსახურებაა".

გაგრძელება A5 გვერდზე



*რობინ კუკი*

## როდის როგორი კომისია სჯობს, ანუ გვჭირდება კი საერთოდ არჩევნები?

პაატა გურგენიძე

ამას წინათ "24 საათში" წავიკითხე გია ნოდიას სტატია საარჩევნო კანონმდებლობაზე და ადმინისტრაციებზე. ძალიან მომეწონა. როგორც ყოველთვის, ამჟამადაც ყველაზე უფრო აქტუალური თემაა განხილული და ყველაზე უფრო გასაგებადაა გამოთქმული არსებული და შესაძლო პოზიციები.

მიუხედავად ამისა, ბატონ გიას პოზიციას არ ვიზიარებ და მინდოდა, ამასთან დაკავშირებით, მისთვის მიმეწოდებინა რამდენიმე ფაქტი, რომელიც მას, შესაძლოა, არ სცოდნოდა. თუმცა, ჩვენი პოზიციების განსხვავება ჩვენს მიერ არსებული პოლიტიკური სისტემის შეფასების ფუნდამენტური განსხვავებულობიდან გამომდინარეობს და არა რაიმე ფაქტის ცოდნა-არცოდნიდან. მე მიმაჩნია, რომ ქვეყანაში ავტორიტარიზმის გაფურჩქვნის ხანაა, გია ნოდია მიიჩნევს, რომ საქართველოში დემოკრატიის მშენებლობის პროცესი მიმდინარეობს. გადავწყვიტეთ, ჩვენი პოლემიკა გაზეთის ფურცლებზე წარგვემართა, რათა სხვებისთვისაც მიგვეცა საშუალება დისკუსიაში მონაწილეობისა.

პირველი, რაც მინდოდა მეთქვა, ისაა, რომ პროფესიული საარჩევნო კომისიები ძალიან კარგი რამაა, მაგრამ მათ აქვთ თავისი მოთხოვნები პოლიტიკური სისტემის მიმართ, ისევე, როგორც პარტიულ საარჩევნო კომისიებს. ე.წ. პარტიული საარჩევნო კომისიები იქაა საჭირო, სადაც რევოლუცია მოხდა, დიქტატურა დაემხო და არსებული პარტიები, სანამ დემოკრატიულ ინსტიტუტებს ააშენებენ, ცდილობენ პირველი ნაბიჯის გადადგმას - სამართლიანი

გაგრძელება A3 გვერდზე


A2 ინფორმაცია — A3 პოლიტიკა — A4 ეკონომიკა — A5 უცხოეთი — A6 საზოგადოება — A7 სამართალი — A8 მონადირე

B2 კულტურა — B3 ანკეტა — B4 სპორტი — B5 სპორტი — B6 განცხადებები — B7 სტილი — B8 სხვადასხვა

## მოკლედ

### აფხაზურმა პარლამენტმა, შესაძლოა, რუსეთთან ასოცირებული ურთიერთობების საკითხი განიხილოს

**თბილისი.** აფხაზეთის თვითგამოცხადებული სახალხო კრების - პარლამენტის თავმჯდომარე ნუგზარ აშუბა არ გამორიცხავს, რომ მიმდინარე კვირას აფხაზური პარლამენტი რუსეთთან ასოცირებული ურთიერთობების დამყარების საკითხს განიხილავს. აშუბას აზრით, საკითხის განხილვა ჯერ კიდევ არ ნიშნავს გადაწყვეტილების მიღებას. "იმის გათვალისწინებით, რომ აფხაზ დეპუტატთა 34-კაციან კორპუსს ხშირ შემთხვევაში სხვადასხვა მოსაზრებები აქვს, ჯერ ნაადრევია თქმა იმისა, რომ აფხაზეთსა და რუსეთს შორის ასოცირებული ურთიერთობების დამყარების საკითხი მიღებული იქნება," - განაცხადა აშუბამ რუსული საინფორმაციო სააგენტო "ინტერფაქსის" ინფორმაციის კომენტირებისას, რომლის თანახმად, უახლოეს დღეებში აფხაზური პარლამენტი თხოვნით მიმართავს რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს რუსეთსა და აფხაზეთს შორის ასოცირებული ურთიერთობების დამყარების შესახებ.

"დეპუტატთა ნაწილი თავს ვალდებულად თვლის, გამოეხმაუროს პრეზიდენტ არძინბას 2002 წლის 1 მარტის მიმართვას რუსეთის პრეზიდენტისა და სახელმწიფო სათათბიროსადმი, რომელშიც ნათქვამია, რომ აფხაზეთს რუსეთთან ასოცირებული ურთიერთობების დამყარება სურს" - განმარტა აშუბამ. სააგენტო "ინტერფაქსის" ცნობით, რუსეთთან ასოცირებული ურთიერთობების დამყარების შემთხვევაში სოხუმის ხელისუფლება რუსეთთან ერთიანი თავდაცვის, საგარეო და ეკონომიკური პოლიტიკის ჩამოყალიბებას ვარაუდობს, რაც იმას ნიშნავს, რომ აფხაზეთში რუსული რუბლი იფუნქციონირებს. **ინტერ-პრესი**

### ლიტვის სეიმი მხარს უჭერს სამხრეთ კავკასიის საპარლამენტო ასამბლეის შექმნას

ლიტვის სეიმი (პარლამენტი) მხარს დაუჭერს სამხრეთ კავკასიის საპარლამენტო ასამბლეის შექმნას, რაც ბალტიისპირეთის ქვეყნებს საშუალებას მისცემს, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან საპარლამენტო ასამბლეის დონეზე განაგრძონ ურთიერთობები. ამის შესახებ ლიტვაში ვიზიტად მყოფ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს გუშინ გამართულ შეხვედრაზე ლიტველმა კოლეგამ არტურას პაურაუსკასმა განუცხადა.

ბურჯანაძემ ბალტიისპირეთის ქვეყნების საპარლამენტო ასამბლეასთან მჭიდრო ურთიერთობების სურვილი გამოთქვა, რაც, მისი აზრით, ხელს შეუწყობს სამხრეთ კავკასიაში ანალოგიური ასამბლეის ჩამოყალიბებას. ლიტვის მიწვევა ნატოსა და ევროკავშირში საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ჩვენი ქვეყნისთვის იმედისმომცემად შეაფასა და დასძინა: გამოცდილება, რომელიც ლიტვამ და მისმა მეზობელმა ბალტიისპირეთის ქვეყნებმა ნატოსა და ევროპის სტრუქტურებში ინტეგრაციის გზაზე დააგროვეს, უაღრესად მნიშვნელოვანია საქართველოსთვის. პაურაუსკასმა აღნიშნულ სტრუქტურებში გასაწევრიანებლად საკანონმდებლო ბაზის ჰარმონიზაციის აუცილებლობაზე ისაუბრა. მისი თქმით, ლიტვის პარლამენტმა უკვე კანონთა 90 პროცენტი ევროპული სტრუქტურების კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოიყვანა. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ლიტვის სეიმის ლიდერთან საქართველოს ტერიტორიაზე არსებული რუსული სამხედრო ბაზების გაყვანის საკითხიც წამოჭრა. საქართველოსთვის საინტერესოა ლიტვის გამოცდილება ამ სფეროში, რადგან ბალტიისპირეთის ქვეყნებში რუსული ბაზების პრობლემა უმოკლეს დროში გადაწყდა, განაცხადა ბურჯანაძემ. **ინტერ-პრესი**

## მოკლედ

**თბილისი.** საქართველოს ოფიციალური ხელისუფლება იმედოვნებს, რომ ერაყში გაეროს სანქციის გარეშე ომის დაწყების შემთხვევაში რუსეთი კავკასიაზე გავლენის გასაძლიერებლად არ გააქტიურდება. საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის თედო ჯაფარიძის განცხადებით, რუსეთის მთავრობას ამერიკის მხრიდან მკაცრი გაფრთხილება აქვს მიღებული კავკასიის რეგიონში მშვიდობის შენარჩუნების ხელშესაწყობად. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ბათუმი.** 20 მარტისთვის ბათუმში "ახალი მემარჯვენეების" ლიდერების ჩასვლას ელიან. პარტიის ხელმძღვანელობა არჩევნებისთვის ემზადება და აჭარის მოსახლეობასთან შეხვედრას გეგმავს, უახლოეს მომავალში კი პირველადი ორგანიზაციების ჩამოყალიბებას აჭარის სოფლებშიც აპირებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ეუთოს დამკვირვებლებმა შერეული სამშვიდობო ძალების სამხედრო დამკვირვებლების თანხლებით გუშინ ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში გეგმიური მონიტორინგი ჩაატარეს. **პრაიმ-ნიუსი**






# თბილისის უბნებს მამასახლისები მიხედავენ

სოფო ბუკია

*ერთ კვირაში თბილისის საკრებულო მიიღებს დებულებას, რომლის თანახმადაც, დედაქალაქში მამასახლისისა და საკრებულოს რწმუნებულის ინსტიტუტი ამოქმედდება.*
*როგორც საკრებულოს გუშინდელი სხდომიდან გაირკვა, თუ რამე უბედურება გვჭირს დედაქალაქის მოსახლეობას, სულ იმის ბრალია, რომ მამასახლისი არ გვყავს.*
*მამასახლისები და რწმუნებულები ის ხალხია, ვინც კორუფციას დაგვამარცხებინებს, მექრთამე გამგებლებისგან გვიხსნის, ჩვენს თავს არავის დააჩაგვრინებს და ა.შ.*


საკრებულო დედაქალაქში თავის წესრიგს ამყარებს.

თუ თქვენ საკუთარ უბანში მოსახლეობის ნდობით სარგებლობთ, ხართ პატიოსანი და არ გაქვთ მიდრეკილება კორუფციისადმი, შესაძლოა, მამასახლისის 200 ვაკანტური ადგილიდან ერთი თქვენც გელოდებოდეთ; ოღონდ, ფხიზელი თვალი და რკინის ნერვებიც დაგჭირდებათ, რადგან საკრებულო თქვენი დახმარებით შეეცდება დედაქალაქში გამეფებული კორუფციის დამარცხებას.

მამასახლისის ფუნქცია იქნება - თვალყური ადევნოს, რამდენად წარმატებულად ვითარდება ამა თუ იმ უბანში მუნიციპალური პროგრამები. ვთქვათ, ამუშავდა თუ არა ლიფტი ამა თუ იმ სადარბაზოში და სხვა. მოსახლეობა საკუთარ გასაჭირს მამასახლისს გაანდობს, ის კი საკრებულოს მოუყვება.

მამასახლისების ინსტიტუტი "ნაციონალური მოძრაობის" მიერ ინიცირებული თემაა. დედაქალაქის პარლამენტში სააკაშვილისა და მისი გუნდის გამოჩენამდე მამასახლისების აუცილებლობაზე თავად თბილისის მერი საუბრობდა, თუმცა იმდროინდელმა საკრებულომ ზოდელავას სურვილის ხორცშესხმისთვის ვერ მოიცალა. ზოდელავას პროექტით, მამასახლისი მოსახლეობას უნდა აერჩია, ოღონდ არჩევანი რაიონის გამგებლისთვისაც უნდა შეეთანხმებინა. დღევანდელმა საკრებულომ, რომელიც გამგებლებს, ყოველ შემთხვევაში ზოგიერთს, ნამდვილად არ სწყალობს, მამასახლისების არჩევის საქმე თავის თავზე აიღო. ამ საქმეში ისინი მოსახლეობასა და არასამთავრობო ორგანიზაციებს დაიხმარებენ და თბილისის პრემიერის თანადგომაც დასჭირდებათ. გია შერაძეს საკრებულომ ამ შემთხვევაში ერთობ სიმბოლური როლი აკმარა. პრემიერმა ფორმალური ხელმოწერით უნდა დაადასტუროს საკრებულოს მიერ არჩეული მამასახლისის დანიშვნა. თუმცა, უნდობლობა გამოცხადებულის პირობაზე, ალბათ, ესეც დიდი პატივია.

მამასახლისის ხელფასი ორმოცდაათი ლარი იქნება. სულ მამასახლისების სახელფასო უზრუნველყოფისთვის დედაქალაქის ბიუჯეტი 115 ათას ლარს გაიღებს.

სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებას, ორას მამასახლისთან ერთად, საკრებულოს ხუთი რწმუნებულიც შეუდგება. როგორც საკრებულოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაშია ნათქვამი, საკრებულოს რწმუნებულმა ზედამხედველობა უნდა გაუწიოს რაიონის გამგეობების, გამგებლების და რაიონის სხვა სტრუქტურების საქმიანობას. რწმუნებულმა უნდა აკონტროლოს მუნიციპალური ბიუჯეტიდან გამგეობებისთვის გამოყოფილი თანხების ხარჯვა. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, რწმუნებულმა ნერვები უნდა მოუშალოს გამგებელს. ეს დაახლოებით ასე მოხდება: გამგებელი შეეცდება, ბიუჯეტის ფული საკუთარი ჯიბისკენ გააქანოს, მაგრამ ამ დროს ფხიზლად იქნება რწმუნებული... საკრებულოს რწმუნებულის რეზიდენცია გამგეობის შენობაში განთავსდება. დედაქალაქის ბიუჯეტის გადასარჩენად კორუმპირებული გამგებლის კანტორაში მივლინებულმა რწმუნებულმა ეულად რომ არ იგრძნოს თავი, მას პირადი მდივანი და ერთი ექსპერტი დაენიშნება. რწმუნებული საკრებულოს წევრი იქნება და მას, რასაკვირველია, საკრებულო აირჩევს.

ჯერ არ არის იურიდიულად განსაზღვრული, თუ როგორ უნდა აკონტროლოს ბიუჯეტი რწმუნებულმა, ან როგორ უნდა იმუშაოს მამასახლისმა. ამ წვრილმან დეტალებს დედაქალაქის კანონმდებლები უახლოესი ერთი კვირის განმავლობაში დააზუსტებენ.

მამასახლისებისა და რწმუნებულების ინსტიტუტის შემოღებას მხარი დაუჭირა საკრებულოს ყველა ფრაქციამ, როგორც ყოველთვის, "ლეიბორისტების" გამოკლებით. "ლეიბორისტი" გიორგი გუგავა მიიჩნევს, რომ როდესაც არსებობს სარევიზიო კომისია, ანტიკორუფციული კომისია და ა.შ. რწმუნებული და მამასახლისი ყოვლად ზედმეტია. "ლეიბორისტებმა" არაერთმნიშვნელოვნად აღნიშნეს, რომ არჩევნები კარს მოგვადგა, ამ დროს კი მამასახლისებსა და რწმუნებულებს მავანთათვის დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლიათო.

"ლეიბორისტებს" გულდასმით მოუსმინეს, გაჩუმება ურჩიეს და საკრებულოს მუშაობის შეფერხებაში დაადანაშაულეს.

საკრებულოს დარბაზში, სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, ერთი საჭირბოროტო კითხვაც დაისვა: მამასახლისი ქალი თუ იქნება, ამ თანამდებობას სახელს ხომ არ შეუცვლითო? როგორც ნებისმიერი სხვა, ეს კითხვაც საკრებულოს სხდომათა დარბაზში უპასუხოდ არ დატოვეს. **"თუ მერი კაცია, მაშინ ყველაფერი შეიძლება,"** – აღნიშნა ზვიად ძიძიგურმა, რომელსაც იუმორის გრძნობა განსაკუთრებით მას შემდეგ გაუმძაფრდა, რაც ყოველ ორშაბათს ბატონ პრეზიდენტს რადიოტყუილებს უთვლის.

# საკრებულო ნუგზარ შევარდნაძეს დედაქალაქის ქონების უკანონო მითვისებაში ადანაშაულებს

*თბილისის საკრებულოს სარევიზიო კომისიამ, რომელსაც "ნაციონალური მოძრაობის" წევრი ირაკლი ოქრუაშვილი ხელმძღვანელობს, სააქციო საზოგადოება "თბილისი სიტის" საქმიანობა შეისწავლა. ოქრუაშვილის განცხადებით, დედაქალაქის კუთვნილი მნიშვნელოვანი ქონება ჩალის ფასად ჩაიგდეს ხელში კერძო კომპანიებმა, რომელთა შორის არის პრეზიდენტის ძმისშვილის, ნუგზარ შევარდნაძის ფირმა "ივერია პლიუსიც".*

სოფო კვინტრაძე

სააქციო საზოგადოება "თბილისი სიტი" 1993 წელს დაფუძნდა პრეზიდენტ შევარდნაძის უშუალო მითითებითა და თანხმობით. თბილისის მერიამ, როგორც "თბილისი სიტის" ერთ-ერთმა მეწილემ, მნიშვნელოვანი ქონება შეიტანა ამ საწარმოს კაპიტალში. ეს ქონებაა: მერიის წინ მდებარე მშენებარე სასტუმროს მიწა იქ განლაგებული დაზიანებული შენობებით, სასტუმრო "თბილისის" შენობა, მხატვრის სახლის დამწვარი შენობა, სასტუმრო "თბილისსა" და რუსთაველის თეატრს შორის მდებარე შენობა, მთაწმინდის ტერიტორიაზე არსებული რესტორნის შენობა 5000 კვადრატული მეტრის ფართის ნაკვეთით, საარბრიუკენის (ყოფილი ვორონცოვი) მოედნის ტერიტორია, მეტრო "მარჯანიშვილიდან" ცენტრალურ უნივერმაღამდე არსებული ტერიტორია და გოთუას ქუჩაზე მშენებარე უზარმაზარი შენობა. ამ ყველაფრის სანაცვლოდ დედაქალაქის მერიამ საზოგადოებაში 33 პროცენტის წილი მიიღო. "თბილისი სიტის" საწესდებო კაპიტალი 15 მილიარდი მანეთით განისაზღვრა, საიდანაც მერიის წილი ხუთი მილიარდი მანეთი იყო. მერიის გარდა, საზოგადოების დამფუძნებლებად გამოდიოდა ოცდაათი კერძო კომპანია, რომლებმაც დანარჩენ 67 პროცენტში 37 ათასი დოლარი და ოთხი მილიარდი კუპონი ჩადეს. საინტერესოა ისიც, რომ თბილისის მერია საკონტროლო პაკეტის მფლობელად ითვლებოდა, როცა ამისათვის საზოგადოებაში 50 პროცენტზე მეტი წილის ფლობაა საჭირო. მოგვიანებით, მერიას მართლაც გადასცეს "თბილისი სიტის" აქციების 50,1 პროცენტი; თუმცა, ამ დროისათვის, როგორც ირაკლი ოქრუაშვილი აცხადებს, მუნიციპალიტეტის კუთვნილი ქონება უკვე გაყიდული იყო კერძო კომპანიებზე.

საკრებულოს სარევიზიო კომისიის დასკვნაში ნათქვამია, რომ წლების განმავლობაში "თბილისი სიტის" დამფუძნებლები დედაქალაქის ქონებას უკანონოდ და ჩალის ფასად ითვისებდნენ მერიის ხელმძღვანელობის ხელშეწყობით და უშუალო მონაწილეობით. ირაკლი ოქრუაშვილის განცხადებით, ნუგზარ შევარდნაძის კომპანია "ივერია პლიუსი" ოფიციალურად ითვლება საზოგადოების დამფუძნებლად; შესაბამისად, დედაქალაქის ქონების უკანონო მითვისებაში მასაც ედება ბრალი. ამგვარი ბრალდება საკრებულოს სარევიზიო კომისიამ კიდევ რამდენიმე ცნობილ პიროვნებას წაუყენა, რომლებიც მერიაში და ცენტრალურ ხელისუფლებაში მაღალ თანამდებობებზე მუშაობდნენ. ესენი არიან: მაშინდელი ვიცე-პრემიერი ამირან ქადაგიშვილი; ალექსანდრე კურცხალია, რომელსაც ახალი საკრებულოს მოსვლამდე საპასუხისმგებლო თანამდებობა ეკავა მერიაში; პრეზიდენტის დაცვის უფროსის ძმის კომპანიონი რესან კონცელიძე; ამჟამად პრეზიდენტის მრჩეველი დიდიმ სტურუა; თბილისის ყოფილი მერი ნიკო ლეკიშვილი და სხვ. ოქრუაშვილის განცხადებით, ნიკო ლეკიშვილის წილი ოფიციალურად არ დასტურდება; თუმცა, **"მერობის დროს "თბილისი სიტისთან" დაკავშირებით ისეთი ქმედებები აქვს ჩადენილი, რომ აშკარად ჩანს ლეკიშვილის არაოფიციალური მეწილეობა,"** – აცხადებს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე. (პარლამენტარმა ნიკო ლეკიშვილმა "24 საათთან" საუბარში კატეგორიულად უარყო წილის ქონა "თბილისი სიტიში").

ამჟამად "თბილისი სიტიში" მუნიციპალიტეტს არანაირი ქონება არ გააჩნია; სამაგიეროდ, თავად "თბილისი სიტის" აქვს 35-პროცენტიანი წილები როგორც სასტუმრო "თბილისი მერიოტში", ასევე თავისუფლების მოედანზე მშენებარე სასტუმროში. საკრებულოს სარევიზიო კომისია დედაქალაქის მერიას ქონების უკან დაბრუნების ვარიანტს სთავაზობს, რის მიხედვითაც, მერიამ "თბილისი სიტის" სამეთვალყურეო საბჭოს ყველა წევრი და დირექტორატი უნდა გადააყენოს. ირაკლი ოქრუაშვილის განცხადებით, მხოლოდ ამ გზით გახდება შესაძლებელი, დედაქალაქს უკან დაუბრუნდეს თავისი კუთვნილი ქონება.

## კულუარები

# საარჩევნო ვნებები აბაშიძის კარზე

მერაბ მეტრეველი

"აღორძინებაში" საარჩევნოდ დიდ წმენდას ელიან. კულუარებში სულ უფრო ხშირად საუბრობენ, რომ აბაშიძე პარტიის სრულ განახლებას გეგმავს. დღეს "აღორძინების" არც ერთ წევრს იმის გარანტია არა აქვს, რომ საარჩევნო სიაში მოხვდება. რიგითი წევრებიდან დაწყებული და ლიდერებით დამთავრებული, ყველანი თვითგადარჩენისთვის იბრძვიან. აბაშიძე გარანტიას არავის აძლევს - გოგიტიძესაც კი. ახლა ყველა ყრილობას ელოდება. პარტიის ძირითადი ბირთვის შემადგენლობა სწორედ მაშინ გაირკვევა. მაგრამ აბაშიძე ყრილობის მოწვევას არ ჩქარობს. ბოლო რამდენიმე თვის მანძილზე პარტიის წევრებს შორის ვრცელდება ინფორმაცია, რომ ყრილობა სწორედ მიმდინარე თვეში დაიიშნება. ბოლო ინფორმაციით, ყრილობა აპრილში უნდა ჩატარებულიყო, თუმცა ეს ცნობაც არასწორი აღმოჩნდა. ახლა უკვე ამბობენ, რომ ყრილობა ივნისში იქნება. ყრილობის უსასრულოდ გადაწევა "აღორძინების" საპარლამენტო წარმომადგენლობაში ეჭვებს კიდევ უფრო აძლიერებს. როგორც ჩანს, აბაშიძე ყრილობას მაშინ ჩაატარებს, როცა მისი საპარლამენტო ფრაქცია მთავარ მისიას შეასრულებს და თეზ-ის ახალ კანონპროექტს გაიტანს. მათი ბედიც ამ კანონპროექტის გასვლა-არგასვლაზე იქნება დამოკიდებული.

დღეს უკვე "ძველი გვარდიის" შემცვლელებსაც ასახელებენ. "აღორძინების" რამდენიმე ახალი სახე, ალბათ, პარტიის თბილისის ორგანიზაციიდან იქნება. ჩვენი ინფორმაციით, ბაკურია გამსვლელ სიაში ხუთი კაცის ჩასმას ითხოვს. პრინციპში, თბილისის ორგანიზაცია ერთადერთია პარტიაში, რომელიც წინასაარჩევნო კამპანიას უკვე აქტიურად აწარმოებს. ისინი საამისოდ სოლიდურ თანხებსაც არ იშურებენ. არადა, პოლიტიკური პარტიების შესახებ კანონში პარტიის მიერ წლის განმავლობაში დახარჯული თანხის რაოდენობა ლიმიტირებულია. თუმცა, კანონს ვინ დაგიდევს, როცა სასწორზე აბაშიძის ფავორიტობა დევს. კულუარებში ასევე საუბრობენ, რომ აბაშიძე დიდი პოლიტიკისთვის, აჭარის პარლამენტში მოღვაწე რამდენიმე კაცს ამზადებს.

არ უნდა დაგვავიწყდეს "აღორძინების" სავარაუდო თუ უკვე არსებული პარტნიორები. ასეთი, ჯერჯერობით, მხოლოდ ოთხია: "XXI საუკუნე", კაკუბავას "დევნილთა სახალხო პარტია", გია კობახიძის "ქრისტიან-დემოკრატიული ალიანსი" და ხაჩიშვილის "დათვი". ამათ თავიანთი მოთხოვნები ექნებათ; მართალია, უფრო მოკრძალებული, ვიდრე ძველ პარტნიორებს, მაგრამ მაინც ექნებათ.

თუმცა, მანამდე ერთი დელიკატური საკითხი იქნება მოსაგვარებელი: ყველაფერთან ერთად, აბაშიძეს ერთი ახალი ახირებაც გაუჩნდა - მას საარჩევნო ბლოკის შექმნაზე საუბარიც არ სურს. ყველა პოტენციურ პარტნიორს არჩევნებში ერთი პარტიული სიით გასვლას სთავაზობს, ეს კი სავარაუდო პარტნიორებისთვის საკუთარ პარტიაზე უარის თქმას ნიშნავს. საქმე ის არის, რომ ჩვენი კანონმდებლობით, დაუშვებელია იყო ერთი, რომელიმე პარტიის წევრი და არჩევნებში სხვა პარტიის სიით გახვიდე. თუ ამას პარტიის თავმჯდომარე აკეთებს, მაშინ ამ პარტიამ სასწრაფოდ ყრილობა უნდა მოიწვიოს, ახალი თავმჯდომარე აირჩიოს და რეგისტრაცია თავიდან გაიაროს. წინააღმდეგ შემთხვევაში, პარტია გაუქმდება. ასეთი პირობით აბაშიძე მათ საკმაოდ უხერხულ მდგომარეობაში აყენებს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეს დეპუტატის სავარძელზე გაყიდვას ნიშნავს. ჯერჯერობით, ასეთ ნაბიჯზე მხოლოდ "XXI საუკუნის" ლიდერები წავიდნენ, თუმცა საკუთარი თანამოაზრეების მხრიდან წინააღმდეგობას წააწყდნენ და ახლა გამოსავალს ეძებენ. იმედი აქვთ, რომ კანონში ხვრელს გამოძებნიან და პარტია გაუქმებას გადარჩება. "აღორძინების" კიდევ ერთი სავარაუდო პარტნიორი, "ქრისტიან-დემოკრატიული ალიანსის" ლიდერი გია კობახიძე ამ საკითხის კომენტირებისგან თავს იკავებს. **"ჯერ საკითხი დღის წესრიგში არ დგას და არ მინდა ჩემი პოზიცია ჩამოვაყალიბო,"** – ასეთია მისი პასუხი. როგორც ჩანს, იგი ჯერჯერობით ფიქრობს, რა არის მისთვის მთავარი: პარტია თუ დეპუტატობა.

აქვე ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მომავალ არჩევნებში "აღორძინებამ", მაქსიმუმ, 25-30 კაცი გაიყვანოს, ისიც, ძირითადად, აჭარის ხმების ხარჯზე. ამ 25-30 კაცში უმრავლესობა თავად "აღორძინების" წევრები იქნებიან. დანარჩენებს, ალბათ, "ნასუფრალი" შეხვდებათ. თუმცა, ესეც საკმარისია იმისათვის, რომ რამდენიმე პარლამენტარი "აღორძინებიდან" მომავალში დეპუტატობის გარეშე დარჩეს.

მანამდე კი, როგორც ამბობენ, "აღორძინებას" გელბახიანიც დატოვებს, ოღონდ თარგამაძისგან განსხვავებით, იგი პოლიტიკიდან წასვლას არ გეგმავს. გელბახიანი ჯერ ოფიციალური განცხადების გაკეთებას არ ჩქარობს. ისიც ყრილობას ელოდება, თუმცა პრივატულ საუბრებში არ მალავს, რომ "აღორძინებაში" გამჩერებელი აღარაა. გელბახიანი საჩხერეში მაჟორიტარ კანდიდატად იყრის კენჭს. თუმცა საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, მაინც გეგმავს აბაშიძესთან შეხვედრას.

# ისრაელის საელჩო საქართველოში ათი წლისაა

ბელა მახარაძე


რივკა ვოენი

წელს ათი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველოში ისრაელის საელჩო დაარსდა. ისრაელის ელჩმა საქართველოში რივკა ვოენმა ეს ფაქტი საკუთარ რეზიდენციაში აღნიშნა.

გუშინდელი დღე აღსანიშნავი იყო იმითაც, რომ ისრაელში ამ დღეს ეროვნული დღესასწაული ჰურუმი აღინიშნება. შეხვედრაზე თითქმის ყველა საელჩოს წარმომადგენლები და პოლიტიკოსები იმყოფებოდნენ.

მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების და, კერძოდ, ერაყის ომის შესახებ ისრაელის ელჩი რივკა ვოენი აცხადებს, რომ ისრაელის ხელისუფლებას არანაირად არ სურს ჩაერიოს პროცესებში, რომელიც დღეს ახლო აღმოსავლეთში მიმდინარეობს. ისრაელი მხარს უჭერს აშშ-ს, განახორციელოს ის პოლიტიკა, რომელიც საერთაშორისო თანამეგობრობის აზრს შეესაბამება.

რივკა ვოენი ცდილობდა, ამ დღეს პოლიტიკური განცხადებები არ გაეკეთებინა. საღამოზე მიხეილ სააკაშვილი, პეტრე მამრაძე, როინ მეტრეველი, სესილი გოგიბერიძე და სხვა ცნობილი ადამიანები იმყოფებოდნენ.

**"ცხოვრება გრძელდება და დღესასწაულები უნდა იყოს, მიუხედავად იმისა, რომ გარეთ საკმაოდ დაძაბული ვითარებაა,"** – აცხადებს როინ მეტრეველი. ის კმაყოფილებას გამოთქვამს და იმედოვნებს, რომ საქართველოსა და ისრაელის მრავალსაუკუნოვანი მეგობრობა უფრო გაღრმავდება.

საკრებულოს თავმჯდომარის აზრით, ომის მალე დამთავრება გააძლიერებს ამერიკის და შეასუსტებს რუსეთის პოზიციებს, რაც, პირველ რიგში, ჩვენთვის იქნება სასარგებლო. "**გაერო არის არაეფექტური ორგანიზაცია, მან ეს დაამტკიცა საქართველოში... ჩვენთვის მთავარია, რაც შეიძლება მალე დამთავრდეს ომი,**" – აცხადებს მიხეილ სააკაშვილი.

ისრაელის ელჩმა საქართველოში ცხოვრების მოკლე პერიოდი საკმაოდ თბილად მოიხსენია. იგი დახმარებას უწევს თბილისის საოპერო დასს და მისი უშუალო თანადგომითა და მხარდაჭერით, 28 მარტს დასი ერთკვირიან გასტროლებზე ისრაელში გაემგზავრება.

სასიამოვნო საღამოს დასასრულს ქალბატონმა რივკა ვოენმა დამსწრე საზოგადოებას მადლობა მოახსენა მობრძანებისათვის. იგი კმაყოფილია საქართველოში მუშაობით და ქართველი ხალხის სტუმართმოყვარეობით.

**"ჰურუმი ბედნიერებისა და მხიარულების დღესასწაულია, მინდა ბედნიერება ვუსურვო საქართველოს და მთლიანად მსოფლიოს,"** – თქვა თავად ბედნიერმა და მხიარულმა ისრაელის ელჩმა.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ჯუანშერ ტიკარაძე, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

# ეს მათი მხედრული ვალი იყო

ზაზა ფაჩუაშვილი

*ქართული ლიგის ყრილობა საქართველოთი დაიწყო და საქართველოთი დამთავრდა. სპორტის სასახლეში ქვეყნის ყველა კუთხიდან ჩამოსული ათასობით ვეტერანი იჯდა და უსმენდა დიქტორის ბოხ ხმას, - "აქ ჩვენი ხალხი ცხოვრობს!" და ეკრანზე თანდათან იკვეთებოდა საქართველოს რუკა და პირველი დამპყრობლის სახელი. ამას მოჰყვებოდა ომში მიმავალი ბიჭების კადრი და დიქტორის ბოხი ხმა, - "ომში კაცები მიდიან"!..."ეს იყო მათი მხედრული ვალი"!... ასე განმეორდა არაბებიდან რუსებამდე.*

მერე ყრილობაც დაიწყო. სამთავრობო ლოჟაში შევარდნაძე და ზოდელავა ისხდნენ. პარტერის წინა რიგებში - დავით თევზაძე და მთავრობის სხვა წევრები.

ყრილობა გია ყარყარაშვილმა გახსნა. მან დიდი მადლობა გადაუხადა ყველას და ყრილობას ორგანიზაციის მიზნები და ამოცანები გააცნო.

**"ჩვენ გვაქვს სურვილი, ვეტერანთა ერთიანი სოციალური ფენა ჩამოვაყალიბოთ, რომელიც ღირსეულ ადგილს დაიკავებს საზოგადოებაში,"** – თქვა ყარყარაშვილმა.

ქართული ლიგის სხვა მიზნებზე მეორე მომხსენებელმა კახა გველესიანმა ისაუბრა. მისი აზრით ძალზე მნიშვნელოვანია საქართველოს ნატო-ში ინტეგრაცია, რომელსაც დიდი მნიშვნელობა მიანიჭა ქვეყნის შიდა პრობლემების მოგვარებაშიც.

ორივე მომხსენებლის მიერ განსაკუთრებით აღინიშნა ეროვნული ღირებულებების მატარებელი მორალური უმრავლესობის შექმნის აუცილებლობა, რასაც, ფაქტობრივად, მიეძღვნა კიდეც ვეტერანთა ყრილობა. მათი თქმით, მხოლოდ ამის შემდეგ გახდება შესაძლებელი ბრძოლისუნარიანი ქართული ჯარის ჩამოყალიბება, დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება და ყველა იმ სოციალური თუ პოლიტიკური პრობლემის მოგვარება, რაც ასე მწვავედ დგას დღევანდელ საქართველოში.

პირველი გამომსვლელი იყო მღვდელი დავით შარაშენიძე. ჩვენ თქვენს გვერდით ვდგავართო, უთხრა ვეტერანებს მამა დავითმა.



თავდაცვის მინისტრი ყოფილ თანამებრძოლებთან.

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

უნდა აღინიშნოს, რომ გუშინდელი დღე მართლაც ვეტერანების გამოდგა. ყოველი გამოსვლა მათდამი პატივისცემის გამოხატვით, მადლობითა და მოფერებთ იწყებოდა.

ტრიბუნიდან გაისმოდა უმაგალითო გმირობის ამბები; თუ როგორ არ ამოვიდნენ ცეცხლმოკიდებული ტანკიდან ჩვენი ბიჭები და, სანამ ჩაიფერფლებოდნენ, როგორ ესროლეს ყველა ჭურვი მტერს; როგორ აიფეთქეს თავი ალყაშემორტყმულმა ბიჭებმა და დახოცეს მტერი; როგორ გადაარჩინა თანამებრძოლები ერთმა თავგანწირულმა მეომარმა და ა.შ.

საქართველოს სპორტსმენების სახელით ვეტერანებს გიორგი კანდელაკი მიესალმა.

ყრილობაზე წაიკითხეს მივლინებაში მყოფი თამაზ ნადარეიშვილის, ამერიკელი სენატორის მაკკეინისა და აშშ-ნატო-ს ორგანიზაციის პრეზიდენტის ბრიუს ჯექსონის მისასალმებელი სიტყვები.

შემდეგ ტრიბუნაზე ავიდა დიდი სამამულო ომის გმირი მფრინავი შოთა შურღაია. ეს არის ხანდაზმული, მაგრამ მხედრული შემართებით გამორჩეული ჯარისკაცი, რომელიც სამშობლოს ყველა დამცველისთვის მაგალითად ქცეულა. მან ქვეყნის გაერთიანებისთვის დიდი მნიშვნელობა მიანიჭა ყრილობას. პრეზიდენტს კი ასეთი თხოვნით მიმართა: **"ახლა ყველა სასახლეებს იშენებს. ჩვენ ვეტერანებსაც აგვიშენეთ ერთი სახლი, რომ ერთმანეთს შევხვდეთ და საქმეზე ვილაპარაკოთ."**

ამ სიტყვების შემდეგ შევარდნაძემ უბის წიგნაკი ამოიღო და რაღაც ჩაიწერა.

ჯარი თქვენს გვერდით იქნება და იმედი მაქვს, რომ თქვენც მხარს დაუჭერთ ქართულ ჯარსო, მიმართა ვეტერანებს თავდაცვის მინისტრმა დავით თევზაძემ.

ბოლოს ტრიბუნაზე პრეზიდენტი ავიდა.

**"ძვირფასო მეგობრებო, სულითა და გულით გილოცავთ დღევანდელ დღეს, გაერთიანების დღეს და მადლობას მოვახსენებ ყველა ინიციატორს. ვეტერანთა მოძრაობა უნდა იქცეს ძლიერ საზოგადოებრივ ძალად, რომელიც ფართოდ იქნება წარმოდგენილი პარლამენტში და აღმასრულებელ ხელისუფლებაში, რათა ყველა უწყებაში შეაღწიოს ვეტერანების ხმამ. ჩვენ გვაქვს რამდენიმე პროგრამა, მაგრამ კიდევ უნდა ვიმუშაოთ ერთად და შევქმნათ 5-6 ძლიერი პროგრამა. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, როგორ ვაკეთოთ საქმე. სახელმწიფოს ზრუნვა ყველამ უნდა იგრძნოს.**

**ჩვენი მიზანია ეროვნული თანხმობის მიღწევა, საყოველთაო შერიგება. ამის გარეშე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა ვერ აღდგება,"** – ასეთი საერთო სულისკვეთებით საუბრობდა პრეზიდენტი, როცა ორი მოულოდნელი შეკითხვა დასვა, - ვისი ბრალი იყო ომის დაწყება და რატომ დაიწყო ის ყველაფერიო?

ამ კითხვებს კონკრეტული პასუხი არ მოჰყოლია, მაგრამ პრეზიდენტის ტონიდან იგრძნობოდა, რომ მავანი ყველაფერს უნდა მიმხვდარიყო.

**"მე არ დამვიწყებია ის საშინელი დილა, სექტემბრის დილა, როცა პოზიციები ჩამოვიარე და ყველა შენობა, სადაც ჩვენები უნდა ყოფილიყვნენ, ცარიელი დამხვდა. მოხსნილი იყო ხალხი. მე ისიც მახსოვს, როგორ მოვრბოდით იქიდან. ჩვენ ვიდექით ცხონებულ ჯაბა იოსელიანთან ერთად და ვყვიროდით, შეჩერდით, ნუ გარბიხართ... ვეღარ ვაჩერებდით ხალხს. ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ რომელიმე თქვენგანს ჩირქი მოვცხო (თქვენ აქ ყველა გმირები ხართ), უბრალოდ არ მინდა, რომ ასეთი რამ კიდევ განმეორდეს,"** – ეს თქვა პრეზიდენტმა და ისევ საერთო სულისკვეთებას დაუბრუნდა, ხელისუფლება თქვენთან იქნებაო და იზრუნებს იმისთვისო, რომ ეს გაერთიანება ქვეყნის ცხოვრებაში დიდი მოვლენა იყოსო.

ყრილობა სამი ქართული სიტყვით დამთავრდა. ერთმანეთს მიჰყვა ოთარ ჭილაძის მიმართვა, მხედრული ფიცი და "ჩაკრულო" - ბევრჯერ ვყოფილვარ ამ დღეში, მაგრამ არ დამიკვნესიაო.

# საქართველოს ხელისუფლება სტრატეგიული ობიექტების დაცვას აძლიერებს

პირველი გვერდიდან

საფრთხე უნდა ავიცილოთ თავიდან (თუმცა, ჩვენი შესაძლებლობები არცთუ ისე დიდია). ბუნებრივია, ერაყში ომის დროს ტერორისტული ძალები დაიფანტებიან და შეეცდებიან საქართველო ან ტრანზიტად, ან, უბრალოდ, თავშესაფრად გამოიყენონ. ამიტომ აუცილებელია, რომ დღეს ყველა შესაბამისმა უწყებამ განსაკუთრებული სიფრთხილე და სიფხიზლე გამოიჩინოს.

**- თუ თურქეთის პარლამენტმა ბაზების ამერიკელი სამხედროებისთვის გადაცემის საკითხი ისევ ჩააგდო, საქართველოს ხელისუფლებაში არსებობს თუ არა იმის მოლოდინი, რომ ამერიკას საქართველოს ბაზების გამოყენება დასჭირდება?**

- პრემიერი ერდოგანი კონსულტაციებს მართავს თავისი ფრაქციის წევრებთან და, ალბათ, დღეს ეს საკითხი უკვე პარლამენტში კენჭისყრაზე დადგება. რაც შეხება ქართული ბაზების გამოყენების საკითხს, ყველაფერი შეიძლება. მაგრამ მთავარი ის არის, რომ ამერიკას ჯერ ამის თაობაზე ჩვენთვის არ მოუმართავს. თუმცა, მე არაფერს გამოვრიცხავ.

**- თუ ყოფილა სხვა ტიპის კონკრეტული მოთხოვნა ამერიკის მხრიდან?**

- ჯერ-ჯერობით არ ყოფილა. ჩვენი სამხედრო პოტენციალის თაობაზე ამერიკელებმა ძალიან კარგად იციან; იციან, რა გაგვაჩნია, რისი გაკეთება შეგვიძლია, რა დონეზე არის გაწვრთნილი ჩვენი ჯარი, როგორი ინფრასტრუქტურა გვაქვს. ამას ყველაფერს ამერიკელები გაანალიზებენ და შესაბამის დასკვნას გამოიტანენ. რა იქნება მომავალში, ჯერ არ ვიცი.

**- ერაყში ომი უკვე გადაუვალია. ამ ეტაპზე რამდენად შესაძლებელია პროგნოზის გაკეთება, რა დადებით და უარყოფით გავლენას მოახდენს ეს ომი საქართველოზე?**

- ნებისმიერი სომარი მოქმედების გაჩაღება ჩვენს სიახლოვეს (ერაყი კი საკმაოდ ახლოსაა) გარკვეულ საფრთხეებს თავისთავად უკვე შეიცავს. ლტოლვილების ტალღამ, რომელიც ამ ომს მოჰყვება, შეიძლება საქართველომდეც მოაღწიოს.

მე, რა თქმა უნდა, გამოვრიცხავ ერაყის მხრიდან რაიმე ტიპის საომარ მოქმედებებს ჩვენი მისამართით, მაგრამ მაინც ფხიზლად უნდა ვიყოთ.

თუმცა, ძალიან ნეგატიურ მოვლენებს ამ ომისაგან არ ველი.

**- მაგრამ არსებობს საშიშროება, რომ რუსეთი ისარგებლებს ამ ომით და საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობა კიდევ უფრო დაიძაბება.**

- ვიმედოვნებ, რომ ძალისმიერ მოქმედებაზე რუსეთი არ წავა. საომარ მდგომარეობაში მყოფი ამერიკა ძალინ ხისტად და მკაფიოდ აგრძნობინებს რუსეთს, რომ საქართველოსთან მიმართებაში მისი პოზიცია ერაყის გამო შეიცვლება, ეს დაზუსტებით ვიცი.

თუმცა, ბუნებრივია, ომის გამო ამერიკის ადმინისტრაციის მთელი ყურადღების გადატანა ერაყზე მოხდება. ამას კი შეიძლება მოჰყვეს რუსეთის მხრიდან გარკვეული დიპლომატიური თუ სხვა ტიპის აქტიურობის გაძლიერება. ამის მაგალითები ჩვენ უკვე გვაქვს.

# კატა-თაგვობანა პარლამენტში

პირველი გვერდიდან

დავითაშვილის თქმით, მან საოლქო სასამართლოში გაასაჩივრა პრეზიდენტის განკარგულება რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ, რადგან ეჭვი შეეპარა იმ ხელმოწერების სინამდვილეში, რომლის საფუძველზეც ეს სესია დაინიშნა.

**"სასამართლოში სარჩელის განხილვამდე პრეზიდენტის განკარგულება გაუქმებულად ითვლება. ამიტომ, თუ დღეს პარლამენტის სხდომა ჩატარდება, ეს იქნება სისხლის სამართლის დანაშაული. სასამართლოდან სარჩელს კი მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოვიტან, თუ უმრავლესობა დათანხმდება, რომ პენსიებს სამი ლარი მოემატოს, ხელფასებს კი - 5-10 ლარი,"** - თავზარი დასცა პრეზიდენტის ფლანგს დავითაშვილმა.

ამის შემდეგ ახალ ულტიმატუმს აყენებს "ნაციონალების" საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარე კოტე კემულარია. იგი "თემატურ უმრავლესობას" პოლიტიკურ ჯოჯოხეთს ჰპირდება.

**"კობა თავის სარჩელს 21 მარტამდე არ გამოიტანს, რათა პრეზიდენტმა თავისი პოზიცია გამოხატოს: მან ან ვეტო უნდა დაადოს პარლამენტის მიერ 115-ლარიანი მინიმალური ხელფასის შესახებ მიღებულ კანონს, ან ხელი მოაწეროს მას,"** - თანაფრაქციელზე გაცილებით კატეგორიული და შეუვალი თავად ფრაქციის თავმჯდომარეა.

უმრავლესობის "მდინარეში" ნასროლ ანკესს იმაზე დიდი ღლავი ამოჰყვა, ვიდრე ამას თავად უმცირესობა ელოდა. ხელისუფლების მხარდამჭერ ფრაქციებში დაწყებული სრული დემორალიზების გამო, ოპოზიციონერებთან მოლაპარაკებებში უკვე სახელმწიფო მინისტრიც ჩაერთო. მართალია, ამასობაში უმრავლესობამ გაარკვია, რომ კობა დავითაშვილის მუქარა გაზვიადებული იყო და რიგგარეშე სხდომის ჩატარება "უმტკივნეულოდ" შეიძლებოდა, მაგრამ ეს უკვე აღარაფერს ცვლიდა. უმრავლესობა განიარაღდა: ავთანდილ ჯორბენაძე ოპოზიციას ჰყავდა "მძევლად" და ვიდრე მათ შორის მოლაპარაკებები არ დასრულდებოდა, სახელისუფლებო ფრაქციები ვერაფერს მოიმოქმედებდნენ.

ამასობაში, "პირადად მისთვის განკუთვნილ" ხაფანგში თავად სახელმწიფო მინისტრიც გაება. იმ დროს, როდესაც სხდომათა დარბაზში "მაცნე" მოვიდა და დეპუტატებს აუწყა, რომ მოლაპარაკებები წარმატებით დასრულდა, კომპრომისი მოიძებნა და საპარლამენტო კრიზისი წარსულს ჩაბარდა, ერთი "პატარა გაუგებრობა" გამომჟღავნდა. ავთანდილ ჯორბენაძის განმარტებით, მხარეები შეთანხმდნენ, რომ 1 ივლისიდან მინიმალური ხელფასი 40 ლარი გახდებოდა (ანუ, 5 ლარით მეტი, ვიდრე ამას პრეზიდენტის კანონპროექტი ითვალისწინებს), მთლიანად დაიფარებოდა მიმდინარე წლის საპენსიო დავალიანება და პლუს, გაიცემოდა წინა წლის ორი თვის გაუცემელი თანხები.

სახელმწიფო მინისტრის ამ განმარტებაში ეჭვი შეიტანა ზურაბ ჟვანიამ, რომლის თქმითაც, შეთანხმება მოხდა იმაზეც, რომ საბიუჯეტო სფეროს მუშაკებს ხელფასი ხუთი ლარით მომატებოდა. ამაზე ჯორბენაძემ კატეგორიული უარი განაცხადა და ამიტომ, მოლაპარაკებების განახლება გადაწყდა.

დრო კი ოპოზიციის წისქვილზე ასხამდა წყალს. ცხადი გახდა, რომ იმ დღეს არც შეთანხმება მოხერხდებოდა და არც პარლამენტის მიერ 28 თებერვალს მიღებული კანონის ტორპედირება. მართლაც, ექვსი საათისთვის ჩატარებულმა რეგისტრაციამ კვორუმის არარსებობა დაადასტურა.

ტაქტიკურ ჭიდილში "ჯერიმ" კიდევ ერთხელ გააბითურა "ტომი". **"საგანგებო სხდომას რომ ანიშვნინებდით პრეზიდენტს, იმის გარანტიაც უნდა გქონოდათ, რომ 118 კაცს მოაგროვებდით. პრეზიდენტი უხერხულ მდგომარეობაში არ უნდა ჩაგეყენებინათ,"** - იქით დაიწყო რჩევების გაცემა მორიგი რაუნდის მოგებით გალაღებულმა ოპოზიციამ.

გუშინდელმა უშედეგო სხდომამ, "თემატური უმრავლესობის" მრავალ მინუსთან ერთად, ისიც აჩვენა, რომ მისი მონოლითურობა მოჩვენებითია და კანცელარიის საპარლამენტო ანსამბლში დისჰარმონია სუფევს. ვიზუალურად, ეს თუნდაც იმაში გამოიხატა, რომ სახელისუფლებო ძალების ლიდერობაზე პრეტენზიის მქონე რჩეულიშვილიცა და ხაზარაძეც ერთმანეთისგან დამოუკიდებლად მოქმედებდნენ. როდესაც ერთ-ერთი მათგანი რაიმე პოზიციას გამოხატავდა, ამით მეორე აშკარად ღიზიანდებოდა და უკმაყოფილებას ვერ ფარავდა. ამასთან, პარლამენტში ჯორბენაძის მიზრძანებისას, არც თუ შემთხვევით, ლევან მამალაძის სახელიც გაისმა და ითქვა, რომ კონსენსუსის არდაშვება "ვიღაცეების ინტერესებში შედის".

ოპოზიცია, ალბათ, ხელიდან არ გაუშვებს კიდევ ერთ შანსს და თავის სასარგებლოდ იმ კოზირის გათამაშებასაც შეეცდება, რომელიც გუშინ "მრეწველებსა" და დანარჩენ "თემატიკოსებს" შორის აზრთა სხვადასხვაობაში გამოიხატა. განსხვავებული მიდგომა ამერიკასთან სამთავრობათაშორისო შეთანხმებას უკავშირდება: გოგი თოფაძისა და ზურაბ ტყემალაძის თანაფრაქციელები ბათუმური ბლოკის სუბიექტების თანამოაზრეებად წარმოჩინდნენ და ამ შეთანხმების რატიფიკაციის წინააღმდეგ გამოვიდნენ.

**"მრეწველები" არანაირ შეთანხმებაში მონაწილეობას არ მივიღებთ, სანამ შექმნილ მდგომარეობას არ გავაანალიზებთ,"** - ლევან პირველის ეს განცხადებაც იმის მანიშნებელია, რომ "თემატური უმრავლესობის" შიგნით, შესაძლოა, რღვევის პროცესი დაიწყოს.

ცალკე საუბრის თემაა სამხედრო სფეროში ამერიკასთან დადებული სამთავრობათაშორისო შეთანხმების რატიფიკაცია. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სინამდვილისგან შორს დგას ზოგიერთების მტკიცება, თითქოს, ამ საკითხში სრული ერთსულოვნებაა და პარლამენტი მას უპრობლემოდ დაამტკიცებს.

ასე რომ, დღევანდელი სხდომის წინ საკანონმდებლო ორგანოში სრული გაურკვევლობაა და ვერავინ იტყვის, რა ახალ სიურპრიზებს შეიძლება ველოდოთ.

პოლემიკა

# როდის როგორი კომისია სჯობს, ანუ გვჭირდება კი საერთოდ არჩევნები?

პირველი გვერდიდან

არჩევნების ორგანიზებას. ასეთ შემთხვევაში ისინი ქმნიან ფართო წარმომადგენლობის საარჩევნო კომისიებს კონსენსუსის მისაღწევად. შემდეგ ეტაპზე, როცა დემოკრატიული ინსტიტუტები უკვე აშენებულია, დგება პროფესიული საარჩევნო კომისიების დრო.

ეს თეორია დამუშავებულია და დასავლელი ექსპერტების რჩევებით პოსტსაბჭოთა რევოლუციურ ქვეყნებში სწორედ პარტიული საარჩევნო კომისიებით დაიწყო ყველაფერი. აღმოსავლეთ ევროპაში საქმე კარგად წავიდა, ჩვენთან კი ...

როცა ჩემს მეგობრებთან ერთად პირველი საარჩევნო პროექტი დავამუშავე, იდეა სწორედ პროფესიული საარჩევნო კომისიებისათვის საფუძვლის მომზადებას გულისხმობდა. პირველი ჩვენი კონფერენციაც (1997წ, ოქტომბერი, ებერტის ფონდის ხელშეწყობით) ამ თემებზე იყო. დაწვრილებით აღარ მოვყვები, მაგრამ საფუძვლის მომზადებაში მე ვგულისხმობდი, რომ საარჩევნო დარღვევებისათვის დამნაშავენი სისხლის სამართლის წესით უნდა დაისაჯონ და მხოლოდ ასეთი გზით კანონის უზენაესობის განმტკიცება შექმნის საფუძველს, უახლოეს მომავალში პროფესიული კომისიებისათვის - იდეა, რომელიც კობა დავითაშვილმა ბოლო ადგილობრივი არჩევნების შემდეგ მიხეილ სააკაშვილის მხარდამჭერი აგიტაციის ქვაკუთხედად გამოიყენა (სამწუხაროდ, აბსოლუტურად შეუსაბამო კონტექსტში).

ასე რომ, საქართველოსათვის პროფესიული საარჩევნო კომისიების იდეა ახალი არ არის. პრობლემა ყველთვის იმის შეფასება იყო, თუ რამდენად საკმარისადაა განვითარებული ჩვენი პოლიტიკური სისტემა და დემოკრატიული ინსტიტუტები პროფესიული კომისიებისათვის. პირველი ადგილობრივი არჩევნებისათვის (ყველაზე სამართლიანად ჩატარდა, 1998 წ.) თუ კიდევ იყო იმედი განვითარებადი დემოკრატიისა, სულ ცოტა ხნის შემდეგ არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით მიმდინარე ყველა კონფერენციაზე მიდიოდა იმის მტკიცება, რომ არანაირი დემოკრატიული ინსტიტუტები (ლაპარაკია ძირითადად სასამართლო სისტემაზე) არ ვითარდება და პარტიული კომისიები ულტერნატივოა. არ უშველა საქმეს არც სააკაშვილის სასამართლო რეფორმამ, რომლის ერთ-ერთმა მამოძრავებელმა ზურაბ ჟვანიამ საჯაროდ აღიარა, რომ ბოლო არჩევნებიდან მისი გამოგდება სასამართლოს ხელისუფლებამ დაავალა.

პროფესიულსა და პარტიულ კომისიებს შორის შუალედურის არჩევა თავის მოტყუებააო, რომ ამბობს გია ნოდია, მინდა დავეთანხმო, მაგრამ ორი სიტყვა დავამატო -"ჩვენს ქვეყანაში". თუმცა, ჩვენს ქვეყანაში ყოველგვარი კომისია თავის მოტყუებაა ხალხისათვის, რამდენადაც დემოკრატია არა გვაქვს საფუძველშივე (სახელმწიფოს წარმოშობის მომენტს ვგულისხმობ).

სამაგიეროდ სხვა ქვეყნებში სხვაგვარადაა. მაგალითად, ამერიკაში საარჩევნო სისტემა სწორედ კომპრომისია პარტიულსა და პროფესიულს შორის.

ისიც მინდა ვთქვა, რომ ზოგ ქვეყანაში სასამართლო სისტემაა არჩევნების ორგანიზატორი, თუმცა გია ნოდია ამას თითქოსდა გამორიცხავს თავისი იდეალიდან.

ამას იმიტომ ვამბობ, რომ ხაზი გავუსვა - რაიმე იდეალი კი არ არსებობს არჩევნების ორგანიზებისა, არამედ ორგანიზების ყველა სისტემას თავისი კონტექსტი აქვს, რომლის მიმართაც იგი შესაფერისია. ერთადერთი შეუფერებელი კონტექსტი ნებისმიერი საარჩევნო სისტემისათვის არის დიქტატურა - ანუ ის, რაც ჩვენ გვაქვს. ამას პარტიებიც კარგად ხვდებიან და ხელისუფლებაც, ამიტომაც არის გაურკვეველი, თუ რომელი სისტემაა უკეთესი.

ხელისუფლებისთვის ყველა სისტემა კარგია - ის ურჩევნია, რომელიც მისი სპონსორების, კერძოდ კი დასავლეთის, თვალში კარგად გამოჩნდება. სწორედ აქ არის გია ნოდიასთანა ხალხის პოზიცია მნიშვნელოვანი.

ამიტომაც მინდა გავაფრთხილო ისინი, ვინც პროფესიულ საარჩევნო კომისიებს უჭერს მხარს - ამით სინამდვილეში ხელისუფლების ძალაუფლების ფორმალიზებას ეწყობა ხელი. ის კითხვა, რასაც გია ნოდია სტატიის ბოლოს სვამს - ბოლოს და ბოლოს ფორმალიზებული დიქტატურა ხომ არ სჯობიაო - ფაქტობრივად, სტატიის მთელი ლოგიკით, პასუხგაცემულია. პირადად მე ვემხრობი ნებისმიერი რეჟიმის ფორმალიზებას (გინდ დემოკრატიის და გინდ აუტოკრატიის, დიქტატორის მონარქად გამოცხადებაზეც რომ მიდიოდეს ლაპარაკი) იმდენად, რამდენადაც ეს პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილობის ერთ-ერთი პირობაა. ერთი რამეთი კი მინდა დავამშვიდო დღევანდელი ხელისუფლების მოწინააღმდეგენი - არავინ იცის, დასვლეთის ოპონირების ფონზე ამგვარი ფორმალიზება თვითონ ხელისუფლებისთვის კარგია თუ ცუდი.

კიდევ ერთ რამეს ვიტყვი დისკუსიაში პოტენციური მონაწილეების წასახალისებლად - მე ვფიქრობ, რომ ჩემი შეხედულებები მეცნიერულია (არა აღიარებული, არა აკადემიური, არამედ მეცნიერული), იმდენად, რამდენადაც მეცნიერება ჰიპოთეზის (წინასწარ დაშვების) გამართლებას, ანუ თეორიიით პროგნოზირების უნარს ნიშნავს. ამ უნარს თეორიას ობიექტურობა ანიჭებს (თავისივე ჰიპოთეზისადმი ავტორის ერთგულების სუბიექტურობა მხედველობაში მისაღები არ არის), რაც ასე ძნელად მისაღწევია სოციალურ მეცნიერებაში. მიუხედავად იმისა, რომ ამ სტატიაში არავითარი პროგნოზი არ გამომითქვამს, დაინტერესებულ ოპონენტებს შემიძლია გავუზიარო პოლიტიკური პროგნოზის ისეთი მაგალითებიც კი, რომლებიც სრულიად ადვილად და ხანმოკლე დროშია შემოწმებადი.

# გამოფხიზლდით, ადამიანებო!

მამუკა წერეთელი
ვაშინგტონში არსებული ამერიკა-საქართველოს ბიზნეს საბჭოს აღმასრულებელი დირექტორი. ვაშინგტონის უნივერსიტეტის ლექტორი

ორიოდე წლის წინ გაცხარებული კამათი მქონდა რამდენიმე ვაშინგტონელ ექსპერტთან, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ საქართველო, როგორც სახელმწიფო, ვერ შედგა, და ადრე თუ გვიან მას რუსეთი თავის გავლენის სფეროში მოაქცევსო. სამწუხაროდ, ჩვენი მაშინდელი არგუმენტი მდგომარეობის თანდათანობითი გაუმჯობესების შესახებ დღეს თითქმის მთლიანად გაბათილებულია. მთელი ჩვენი ძალისხმევა, რომ პოზიტიური ელემენტები მოვძებნოთ საქართველოს ცხოვრებაში და მათი აფიშირებით დავამტკიცოთ საქართველოს, როგორც სახელმწიფოს სიცოცხლისუნარიანობა, უდიდეს წინააღმდეგობას აწყდება, პირველ რიგში ქვეყნის შიგნით არსებული მდგომარეობის გამო. მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ ადამიანებს, და განსაკუთრებით ახალგაზრდებს, ქვეყანაში ცხოვრება აღარ სურთ და ყველა გზას მიმართავენ, რომ სხვაგან გადასახლდნენ სამუშაოდ, ან განათლების მისაღებად.

მეტად სამწუხარო და სიმპტომატურია, რომ მთელი გასული კვირა იაფი პოპულარობის ძიებაში მყოფმა პოლიტიკურმა ძალებმა მინიმალური ხელფასების მომატების საკითხის განხილვას გადააყოლეს და ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი ქართულ-ამერიკული სამხედრო თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებისთვის ვერ მოიცალეს. თუნდაც ამ მაგალითიდან ჩანს, რომ ქვეყნის გრძელვადიანი ინტერესები დღევანდელი პოლიტიკოსების პრიორიტეტებში არ ფიგურირებს.

უკვე ნათელია, საით მიექანება საქართველო: საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების თითქმის ყველა ინსტიტუტის გარყვნილებამდე მისული უპასუხისმგებლობა (კორუფციასა და არაკომპეტენტურობაზე რომ არაფერი ვთქვათ) გზას უკაფავს პოპულისტ პოლიტიკოსებს, რომლებიც ხელისუფლებაში მოსვლის მერე ქვეყანას კიდევ უფრო დიდ უბედურებაში ჩაითრევენ.

ხელისუფლების უუნარობა უბიძგებს ადამიანებს თვითონ გადაწყვიტონ საკუთარი ბედი, მაგრამ ეხლა მთავარია, თუ რა ფორმას მიიღებს ეს პროცესი. საკმაოდ დიდია იმის საფრთხე, რომ ხალხმა დამოუკიდებლად სცადოს საკუთარი პრობლემების მოგვარება, მაგრამ საქართველოში ამას სადაც მივყავართ, 92-93 წლებში უკვე ვნახეთ. არა მგონია, მტრის გარდა ვინმეს იმ მდგომარეობის დაბრუნება უნდოდეს, ან აწყობდეს. ნუ დაგვავიწყდება, ვინ მოიგო დამოუკიდებლობის პირველი წლების შინააშლილობით.

იდეალური გამოსავალი იქნებოდა, რომ როგორმე მოხერხებულიყო ნორმალური საარჩევნო პროცედურის შემუშავება (პარლამენტართა რიცხვის მნიშვნელოვანი შემცირება ამ პროცესის ნაწილი უნდა გახდეს) და წლევანდელი არჩევნების მაქსიმალური თავისუფლების პირობებში ჩატარება. ეს, სხვა რომ არაფერი, ობიექტური სურათის დანახვის საშუალებას მისცემდა ყველას. არჩევნების შემდეგ პრეზიდენტს ექნებოდა საშუალება 2005 წლამდე გამარჯვებულ ძალასთან ან ძალთა კოალიციასთან ემუშავა ქვეყნის გადარჩენის გადაუდებელ ამოცანებზე. სამოქალაქო საზოგადოებას ამ პროცესის ორგანიზებაში განსაკუთრებული როლი უნდა ჰქონდეს. ალბათ დროა, ქართულმა საზოგადოებამ ძალა მოიკრიბოს და აიძულოს პოლიტიკოსები ქვეყნისთვის სასიცოცხლო გადაწყვეტილებები მიიღონ.

## მოკლედ

**თბილისი.** ქონების მართვის სამინისტროში შეკრებილმა ე.წ. დიდმა სამთავრობო კომისიამ სააქციო საზოგადოება "თბილავიამშენი" 10 წლის მართვის უფლებით საწარმოს ამჟამინდელ ადმინისტრაციას გადასცა. ქარხნის ახალ მმართველებთან ქონების მართვის სამინისტრო ხელშეკრულებას 20 დღეში გააფორმებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**რუსთავი.** ქვემო ქართლის ადმინისტრაცია ნავთობის საერთაშორისო კორპორაციისა და კომპანია "ბრითიშ პეტროლეუმის" ხელმძღვანელობას აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობაში ადანაშაულებს. მხარის ვიცე-გუბერნატორის მერაბ ასანიშვილის განცხადებით, პირველივე შეხვედრაზე მხარის ხელმძღვანელობამ მკაცრად დასვა საკითხი, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობაში უპირატესობა ადგილობრივ სამშენებლო ფირმებსა და მუშახელს მიენიჭოს, რაზეც თანხმობა მიიღო, თუმცა ეს პირობა დღემდე არ შესრულებულა. ასანიშვილის თქმით, სიაში შეყვანილი 5000 სპეციალისტიდან მშენებლობაში მხოლოდ 30 ადგილობრივია დასაქმებული. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ზუგდიდი.** გუშინ ენგურის ჰიდროელექტროსადგურის თაღოვანი კაშხლის თანამშრომლებმა სახელფასო დავალიანებების დაფარვის მოთხოვნით გამაფრთხილებელი აქცია მოაწყვეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** გარემოს დაცვის სამინისტრო არ ადასტურებს სუფსაში ახალი ავარიის შედეგად ნავთობის დაღვრის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას. ავარიის შესახებ ცნობები გასულ პარასკევს გაჩნდა. სამინისტროში განმარტავენ, რომ ბოლო დროს ნაპირებზე მართლაც გამოჩნდა ძველი ავარიის დროს დაღვრილი ნავთობის ნაწილი, რაც წყალმა გამორიყა. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** აუცილებელი სარემონტო სამუშაოების გამო მთაწმინდა-კრწანისის რაიონის მოსახლეობის ნაწილი ერთი კვირის განმავლობაში ბუნებრივ აირს ვერ მიიღებს. ბუნებრივი აირის მიწოდება 1 კვირით შეუწყდება თაბუკაშვილის, ჯორჯაძის, ფურცელაძის და ვაჩნაძის ქუჩის მცხოვრებლებს. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის მოსახლეობის 80 პროცენტს ელექტროენერგია არ მიეწოდება. "ეი-ი-ეს თელასის" ინფორმაციით, "სახელმწიფო ელექტროსისტემა" მისთვის ელექტროენერგიის საკმარისი სიმძლავრის მიწოდებას ვერ ახერხებს. "სახელმწიფო ელექტროსისტემაში" კი აცხადებენ, რომ ენერგოსაბითუმო ბაზრის მიერ დადგენილი ლიმიტით, "ეი-ი-ეს თელასმა" დღის საათებში 310 მეგავატი უნდა მიიღოს, რეალურად კი 315 მეგავატს იღებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** 20 მარტიდან "ეი-ი-ეს მტკვარმა", შესაძლოა, მე-9 ენერგობლოკი გააჩეროს. კომპანიაში აცხადებენ, რომ მთავრობას აღებული ვალდებულება არ შეუსრულებია და ბუნებრივი აირის შესაძენად 2 მილიონი დოლარი არ გამოუყვია, "იტერაში" კი აირის საფასური 20 მარტამდეა გადახდილი. სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროში აცხადებენ, რომ ენერგობლოკი აპრილამდე იმუშავებს, ბუნებრივი აირის საფასური ეტაპობრივად დაიფარება, ხოლო "იტერა" აირის მოწოდებას არ შეწყვეტს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საკრებულოს გადაწყვეტილებით, თბილისში არსებულ ენერგეტიკულ ორგანიზაციებში საკრებულოს წარმომადგენლის ინსტიტუტი შეიქმნება. ენერგეტიკულ ორგანიზაციებში საკრებულოს რწმუნებულად დაინიშნა საკრებულოს ენერგეტიკული კომისიის წევრი იაგო ვალიშვილი. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** პარლამენტის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საკითხთა კომიტეტმა მოიწონა კანონპროექტი, რომელიც სამედიცინო დაწესებულებებისთვის გადასახადების შეღავათიანი რეჟიმის დაწესებას ითვალისწინებს. **მედია-ნიუსი**


## კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საველე მეთვალყურე

კომპანია “ბი-პი” პროექტების მიზნების განსახორციელებლად და კომპანია “ბი-პი”-ს მენეჯმენტის კონტროლის ქვეშ შ.პ.ს. IRA-ს სურს სამუშაოდ აიყვანოს შესაფერისი კვალიფიციური პირი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საველე მეთვალყურის თანამდებობაზე.

**სამუშაოს აღწერა:**
კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საველე მეთვალყურე უზრუნველყოფს, რომ მშენებლობასთან დაკავშირებული ყველა საქმიანობა ასახავდეს პროექტის კულტურული მემკვიდრეობის მენეჯმენტის გეგმის (CHMP) მიზნებს, კონტრაქტის გარემოს დაცვის პირობების მიხედვით. კერძოდ, მეთვალყურე უხელმძღვანელებს არქეოლოგიური ძეგლების გამოკვლევას და ამასთან დაკავშირებულ საქმიანობას მშენებლობის რაიონებში მე-4 ფაზის პროექტის კულტურული მემკვიდრეობის მენეჯმენტის გეგმის (CHMP) შესაბამისი პროცედურების თანახმად. მეთვალყურე ჩააბარებს ანგარიშს კომპანია “ბრითიშ პეტროლეუმს” და დაეხმარება მას მილსადენის პროექტის განხორციელებაში უსაფრთხოდ და არქეოლოგიურ ადგილებსა და ძეგლებზე მინიმალური ზემოქმედებით. მეთვალყურე გარეშე სააგენტოებს მხოლოდ კომპანია “ბრითიშ პეტროლეუმის” ნებართვით დაუკავშირდება.

**ფუნქცია და პასუხისმგებლობა:**
ფუნქციები შეიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება:
- მიწაზე წარმოებული მშენებლობის საქმიანობის შემოწმება, რომელიც გამოააშკარავებს მანამდე დაუდგენელ არქეოლოგიურ სიმდიდრეს, მიღებულ უარყოფით და დადებით მონაცემებზე ყოველდღიური ანგარიშების მომზადება
- სამშენებლო საქმიანობის და ძეგლთა დაცვის პროცედურების შესაბამისობის მეთვალყურეობა და ყოველდღიური ანგარიშები
- ადგილის ზედამხედველის მეშვეობით რეკომენდაციები მშენებლობის კონტრაქტორისთვის და/ან გარემოს დაცვის საველე ზედამხედველისთვის, რამაც შეიძლება ხელი შეუწყოს კულტურული მემკვიდრეობის მენეჯმენტის გეგმის (CHMP) მიზნების მიღწევას
- მონაწილეობა გარემოს დაცვის საველე და სოციალური ზედამხედველის მიერ შემუშავებულ სასწავლო პროგრამაში
- პროექტის საველე პერსონალის ინსტრუქციებით უზრუნველყოფა კულტურული მემკვიდრეობის საკითხებში გასარკვევად და სამოქმედოდ
- მონიტორინგის ყოველდღიური საქმიანობის და სპეციალური ანგარიშების მიმდინარე აღრიცხვის წარმოება
- საქმის კურსში ჩააყენონ ზედამხედველი, რომ საჭიროა ყოველგვარი შეუსაბამობის შესახებ კონტრაქტორის გაფრთხილება, კონტრაქტის პირობების მიხედვით
- მოთხოვნის შესაბამისად ხელმძღვანელობა სპეციფიური/ადგილობრივი მარშრუტის საკითხებთან დაკავშირებით
- კონტრაქტორისთვის კულტურული მემკვიდრეობის სპეციალური საკითხების გაცნობა და პროექტის კულტურული მემკვიდრეობის საკითხებთან დაკავშირებული სპეციალური ინსტრუქცებისა და სახელმძღვანელო მასალის მომზადებაში ხელის შეწყობა
- ხელის შეწყობა შესაბამისი გამაფრთხილებელი აზრების მომზადებასა და განთავსებაში, არქეოლოგიური სიმდიდრის და ისტორიული მონუმენტების შემოღობვაში
- სასწრაფო მნიშვნელოვანი შეტყობინების მომზადება და ფაქსით გაგზავნა CAS-ში და ძეგლთა დაცვის დეპარტამენტში მნიშვნელოვანი ბოლო აღმოჩენების და ძეგლების დადგენის თაობაზე, და ამ რაიონის გამოკვლევის კოორდინირება საქართველოს ხელისუფლების ორგანოების მიერ.
- შემთხვევითი აღმოჩენების მნიშვნელობის საწყისი მიმოხილვის წარდგენა.

**მოთხოვნები:**
- კვირაში ექვსი დღე საველე ბანაკებში გატარებისთვის მზადყოფნა
- უპირატესობა ეძლევა ადრინდელ გამოცდილებას მილსადენის მშენებლობის ტექნოლოგიაში
- ურთიერთობის კარგი უნარი
- ინგლისურის თავისუფალი ცოდნა (წერილობითი და ზეპირი ანგარიშები ინგლისურად)
- რეგიონის არქეოლოგიის, ისტორიის და გეოლოგიის ცოდნა
- არქეოლოგიური კვლევებისა და ძიების გამოცდილება
- ამგვარი საქმიანობის მინიმუმ 3 წლიანი გამოცდილება
- კონტრაქტორის თანამშრომლებთან მჭიდრო ურთიერთობის სურვილი, კონტრაქტორის საქმიანობაზე ზეგავლენის უნარი
- ორგანიზებული და პრაქტიკული
- კომპანია “ბრითიშ პეტროლეუმის” პრინციპების და ძირითადი ღირებულებების გაცნობიერება და მათი განხორციელებისთვის მზადყოფნა.

**განცხადების შეტანა / დამატებითი ინფორმაცია**
თუ მიგაჩნიათ, რომ გაქვთ შესაბამისი უნარი და გამოცდილება ამ ფუნქციების შესასრულებლად, გთხოვთ წარადგინოთ თქვენი CV და შეავსოთ განაცხადის შესაბამისი ფორმა, რომელიც შეიძლება მიიღოთ ქვემოთ მდებარე მისამართზე. განაცხადის მიღების ბოლო დღე 18:00, პარასკევი, 28 მარტი, 2003.
საქართველოს მოქალაქეობა აუცილებელია.

**მიღებული იქნება ყველა განაცხადი, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ყველა კანდიდატი გავა ინტერვიუზე და მიიღებს სამუშაოს.**

**კადრების განყოფილება**
ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია
კომპანია “ბრითიშ პეტროლეუმ” საქართველო
საქართველო, თბილისი, საბურთალოს ქუჩა 38


# „აზოტის" „იტერასთვის" გადაცემა ხალხის და პრესის მალულად ხდება

პირველი გვერდიდან

დახურულ კარს მიღმა ხმაური რამდენიმე საათს გაგრძელდა და "ბრძოლის ველი", პირველმა, უკვე ყოფილმა რეაბილიტაციის მმართველმა ნიკო ბაკაშვილმა დატოვა. მსხვილმა კრედიტორებმა: "მაგთი"-მ (1 540 905 ლარი), "დვინი"-მ (6 267 723 ლარი), "იტერა"-მ (2 174 024 ლარი), "სელედ"-მა (22 885 938 ლარი) და ფინანსთა სამინისტრომ ( 22 111 941 ლარი) ბაკაშვილის მუშაობა "აზოტში" არადამაკმაყოფილებლად შეაფასეს.

წასვლის წინ ბაკაშვილი ხაზს უსვამს იმას, რომ "იტერამ" "აზოტის" აქციების 90% იმ თანხით იყიდა, რაც საწარმოს მუშა-მოსამსახურეების ორი თვის ხელფასებისათვის არის საჭირო.

"ჩემი "აზოტში" მუშაობის პერიოდში კრედიტორული დავალიანება მხოლოდ სასამართლო გზით 21,6 მილიონი ლარით შემცირდა. ჩვენ გადამუშავების რეჟიმზე ვმუშაობდით "საქგაზთან", რეალური შემოსავლები იქიდან უნდა ყოფილიყო. "საქგაზმა" თანხა არ მოგვცა და მე მას სასამართლოს გზით 27 მილიონ ლარს ვედავები. როგორც ჩანს, ეგრეთწოდებულმა ინვესტორმა, "იტერამ" ვერ აიტანა, რომ მის შვილობილ კომპანიას ვთხოვ თანხებს," - აცხადებს ბაკაშვილი, რომელიც დარწმუნებულია, რომ "იტერას" მიერ წამოდგენილი პირობებით ვერცერთი კრედიტორი 10 წელზე ადრე ვერაფერს მიიღებს.


„იტერა" „აზოტში" თავს უკვე შინაურად გრძნობს.

"დღეს მე ჩემი უფლებამოსილება შევწყვიტე, როგორც რეაბილიტაციის მმართველმა, რადგან არც ეს რეაბილიტაციის გეგმა განხორციელდება და არც იმ პირობებზე ხელის მომწერი არ ვარ, რასაც "იტერა" ითხოვს," - ბაკაშვილის ამ პოზიციას, რაც უნდა პარადოქსული იყოს, ნაწილობრივ ემთხვევა "აზოტის" ახალი რეაბილიტაციის მმართველის ანატოლი შოგოლევის აზრი. უკვე პენსიონერი, ქიმიურ მრეწველობაში მუშაობის დიდი გამოცდილების მქონე შოგოლევი "აზოტის" გენერალურმა დირექტორმა გიორგი გოგოლაძემ რუსეთიდან ჩამოიყვანა. ახალი რეაბილიტაციის მმართველი აცხადებს, რომ არსებული რეაბილიტაციის პროგრამა აუცილებლად გადასახედი და დასაზუსტებელია, რადგან ამხელა კრედიტორული დავალიანების გასტუმრება 3 წლის ვადაში ზედმეტად ოპტიმისტურად გამოიყურება. "ვფიქრობ, რომ 7-8 წელი იქნება საჭირო იმისათვის, რომ ქარხნის კრედიტორული დავალიანებები დაიფაროს," - ამბობს შოგოლევი და ხაზს უსვამს იმას , რომ აქამდე "იტერასთან" მას არანაირი კავშირი არ ჰქონია.

მთლიანად შეიცვალა და ამასთან გაიზარდა "აზოტის" კრედიტორთა კომიტეტის შემადგენლობა. მასში ახლა 3-ის ნაცვლად ხუთი წევრია.

"კრედიტორთა საბჭოში არ არის არც "იტერასა" და არც "საქგაზის" წარმომადგენელი. საბჭო ძირითადად დაკომპლექტებულია ფინანსთა სამინისტროს, "დვინის", "სელედის", გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანიისა და "მაგთის" წარმომადგენლებით" - განაცხადა "იტერას" წარმომადგენელმა საქართველოში თამაზ პატარიძემ. მისივე თქმით, ჯერ კიდევ არ არის დადგენილი "აზოტის" კრედიტორთა საბოლოო ნუსხა, თუმცა ეს ხელს არ შეუშლის სახელმწიფოსა და "იტერას" შორის ხელშეკრულების ხელმოწერის პროცესს. მაშინ, როცა ქართული მხარე აცხადებს, თითქოსდა "იტერა" კუთხეში მიიმწყვდიეს და მას საკუთარ პირობებს კარნახობენ, "იტერას" წარმომადგენელი ამტკიცებს, რომ სადაო არაფერი არ არის იმ ხელშეკრულების პროექტში, რომელსაც დღე-დღეზე, სავარაუდოდ, ამ კვირაში უნდა მოეწეროს ხელი. თუმცა თამაზ პატარიძე ხელმოწერის ზუსტი თარიღის დასახელებას თავს არიდებს.

# "თბილგაზის" ახალი მფლობელის ვინაობა ამ კვირაში გაირკვევა

*"თბილგაზის" მართვის უფლებით გასაცემად გამოცხადებული ტენდერი სრულდება. სატენდერო კომისიამ გამარჯვებული კომპანია 22 მარტამდე უნდა გამოავლინოს. ამჟამად კომისია ტენდერის მონაწილე ორი კომპანიის - "ახალი მენეჯმენტისა" და "საქტრანსგაზმრეწვის" კომერციულ წინადადებებს ეცნობა. დედაქალაქის ქონების მართვის სამმართველოში აცხადებენ, რომ "თბილგაზის" რეაბილიტაციას "ახალი მენეჯმენტი" ნახევარ მილიონ ლარად გეგმავს, ხოლო "საქტრანსგაზმრეწვი" მიიჩნევს, რომ ამისთვის 35 ათასი ლარიც საკმარისია.*

მაია ურუშაძე

"თბილგაზის" მართვის უფლების მოსაპოვებლად გამოცხადებულ ტენდერზე შესული კომერციული წინადადებები მუნიციპალური ქონების მართვის სამმართველომ სამშაბათს გახსნა. წინასწარი ინფორმაციით, არც ერთ კომპანიას არ წარმოუდგენია "თბილგაზის" რეაბილიტაცის დაფინანსების გარანტია კონკრეტული ბანკიდან. როგორც ქონების მართვის სამმართველოში განმარტავენ, სატენდერო პირობების მიხედვით, ფინანსური გარანტორები მათ მოგვიანებით უნდა მოიზიდონ. სამაგიეროდ, ამ ეტაპზე ორივე კომპანიამ მოასწრო და მოიპოვა სხვადასხვა საფინანსო და გაზის მომწოდებელ ორგანიზაციებთან მათი ურთიერთობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

"საქტრანსგაზმრეწვი" გაზის შემოტანის გზად როგორც რუსულ, ასევე ირანულ წყაროებს ასახელებს. მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ მას ურთიერთობა აქვს ერთ-ერთი შვეიცარული გაზის კომპანიის მოსკოვის ოფისთანაც. რეაბილიტაციის პროექტის დაფინანსებისთვის შესაძლოა, "საქტრანსგაზმრეწვის" გენერალურმა დირექტორმა ვანო ზაზაშვილმა იაპონური საფინანსო ორგანიზაცია მოიზიდოს. თუმცა, ჯერჯერობით, ამ თემაზე საუბარი ნაადრევია, რადგან **"არც ერთი ბანკი კრედიტს ბაზრის წინასწარი შესწავლის გარეშე არ იძლევა, ხოლო ტენდერისთვის გამოყოფილი ერთი თვე ამ პროცესისთვის საკმარისი არ არის,"** – განმარტავს ზაზაშვილი. მისივე თქმით, "საქტრანსგაზმრეწვს" "თბილგაზისათვის" საჭირო გაზის დანადგარების განვადებით შეძენის საშუალებაც აქვს. იგი ქალაქის გაზმომარაგების სისტემის მთავარ პრობლემად გაზის საფასურის ამოღების დაბალ მაჩვენებელს მიიჩნევს და "ჰაერში გაპარულ გაზზე" საუბრობს. **"1994-დან 1997 წლამდე, როცა "თბილგაზს" ჩვენ** (იგულისხმება სახელმწიფო დეპარტამენტი "საქგაზი") **ვმართავდით, დისტრიბუციის მაჩვენებელი სამი პროცენტიდან 76 პროცენტამდე გაიზარდა,"** - იხსენებს ზაზაშვილი და მიიჩნევს, რომ ამ შედეგის გამეორება არ გაუჭირდება.

რაც შეეხება ამხანაგობა "ახალ მენეჯმენტს", "24 საათი" უკვე წერდა, რომ მის მიღმა საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტის ალეკო გოცირიძის ინტერესები იკვეთება. ამას ისიც ადასტურებს, რომ "ახალი მენეჯმენტი" გაზის კორპორაციისა და გაზის ტრანსპორტირების კომპანიის თანამშრომელთა მიერ არის ჩამოყალიბებული. ეს უკანასკნელი კი გაზის საერთაშორისო კორპორაციის შვილობილი კომპანიაა. თავად კორპორაცია რუსეთიდან სომხეთისთვის მიწოდებული გაზის სატრანზიტო კვოტას ფლობს. ამდენად, "ახალი მენეჯმენტი" გაზმომარაგების საკითხში საკუთარი "მამობილის" – გაზის საერთაშორისო კორპორაციის იმედზეა.

"საქტრანსგაზმრეწვისაგან" განსხვავებით, "ახალი მენეჯმენტის" წევრები ტენდერის შესახებ კომენტარებს ერიდებიან. მიუხედავად ამისა, დღეს მერიაში ეჭვი ბევრს აღარ ეპარება, რომ "თბილგაზისთვის" ბრძოლაში სწორედ ისინი გაიმარჯვებენ. სხვათა შორის, ტენდერის შედეგებს არცთუ ოპტიმისტურად ელის თავად "საქტრანსგაზმრეწვის" გენერალური დირექტორი ვანო ზაზაშვილი. **"მესმის, ვის ვეჭიდავები,"** – აცხადებს ის და წარუმატებლობის შემთხვევაში სასამართლოში ჩივილს აპირებს.

## მონიტორინგი

# ბიუჯეტის შესწორებები გარდაუვალია

### სახელმწიფოს შემოსავლები და ხარჯები 10-17 მარტს

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების შესახებ ოპერატიული ინფორმაცია მოცემულია N1 ცხრილში.

წინა კვირას, როგორც ჩანს, დადგინდა დეფიციტის დაფინანსების კვარტალური გეგმები, ამიტომ დასაწყისში კვლავ ამის შესახებ.

გარდამავალი საბრუნავი სახსრების ან, უბრალოდ რომ ვთქვათ, გარდამავალი ნაშთის პირველი კვარტლის პროგნოზი, რატომღაც, 2 მილიონი ლარია. თუმცა, კიდევ ერთხელ გვინდა გავიმეოროთ: წლის დასაწყისში, როდესაც 2003 წლის ბიუჯეტი იქნა მიღებული, მთავრობას და ფინანსთა სამინისტროს ზუსტი ინფორმაცია უნდა ჰქონოდათ გარდამავალი ნაშთის შესახებ.

სახელმწიფო ბიუჯეტის გარდამავალი ნაშთის წლიური გეგმა – 8.5 მილიონი ლარი გადანაწილებულია: ცენტრალურ ბიუჯეტზე – 2 მილიონი ლარი; სოციალურ ფონდზე – 4.8 მილიონი ლარი და საგზაო ფონდზე – 1.7 მილიონი ლარი. ეს გარდამავალი ნაშთი, შესაბამისად, ფინანსთა სამინისტროს, სოციალური ფონდისა და საგზაო ფონდის განკარგულებაში უნდა ყოფილიყო წლის დასაწყისშივე.

**მომავალ თვეებში გარდამავალი ნაშთის შევსება უკვე მოსალოდნელი აღარ არის და, შესაბამისად, ფინანსთა სამინისტროსგან უფრო დეტალური განმარტებებია საჭირო – აუცილებელია თუ არა სახელმწიფო ბიუჯეტის 6.5 მილიონი ლარით შემცირება.**

დავუბრუნდეთ სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებს.

**დასაწყისში აღვნიშნავთ წინა კვირის ყველაზე დადებით მოვლენას - ევროკავშირის სასურსათო უსაფრთხოების გრანტის პირველი ტრანშის მიღებას. ამით შესაძლებელი გახდა გრანტების პირველი კვარტლის პროგნოზის შესრულება 86%-ით.**

ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლების შესრულებაზე დეტალური საუბარი გვექნება კვარტლის შედეგების მიხედვით.

ამჯერად თქვენი ყურადღება გვინდა გავამახვილოთ სოციალური და საგზაო ფონდების შემოსავლების დაგეგმილი პარამეტრების შესრულებაზე.

**სოციალური ფონდის კვარტლის გეგმა შესრულებულია მხოლოდ 66%-ით და დარჩენილ დღეებში 18.47 მილიონი ლარის ამოღება საკმაოდ პრობლემატურია. შესაბამისად გაძნელდება სახელმწიფოს მნიშვნელოვანი სოციალური ვალდებულებების შესრულება.**

**საგზაო ფონდის კვარტლის გეგმა შესრულებულია მხოლოდ 49%-ით და მნიშვნელოვანი საინვესტიციო პროგრამების შესრულება კითხვის ნიშნის ქვეშ დგება.**

ჯერ ადრეა საბოლოო დასკვნების გაკეთება, მაგრამ, როგორც ჩანს, დღის წესრიგში დადგება სახელმწიფო ბიუჯეტის საკმაოდ სერიოზული შესწორებები.

2003 წლის 10-14 მარტს ცენტრალური ბიუჯეტიდან გაწეული ხარჯების შესახებ ინფორმაცია მოცემულია N2 ცხრილში.

წინა კვირას გაგრძელდა თებერვლის თვის შრომის ანაზღაურებისა და კვების ხარჯების დაფინანსება; დაფინანსდა საგარეო ვალდებულებების დაფარვის ე.წ. თურქმენული პროგრამა და სოციალური ფონდის ტრანსფერი (ჯანდაცვის ღონისძიებები).

წინა კვირას საკმაოდ მაღალი იყო ე.წ დაუცველი მუხლების დაფინანსების მაჩვენებელი – თითქმის 2.170 ათასი ლარი.

**რატომღაც, ისევ აღდგა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების ტრანსფერის არათანაბრად განაწილების ადრინდელი მავნე პრაქტიკა. წინა კვირას ამ მიზნით გაწეული იქნა 149 ათასი ლარის ოდენობის ხარჯი. საინტერესოა, რომელ რაიონს ერგო ეს პრივილეგია?!**

**არსებული საბიუჯეტო პრობლემების ფონზე გაუგებარია სასამართლო გადაწყვეტილებების საფუძველზე საინკასო დავალებით ჩამოჭრილი თანხების ამხელა ოდენობა. გასულ კვირას ჩამოიჭრა – 125 ათასი ლარი, ხოლო მიმდინარე წელს კი თითქმის 730 ათასი ლარი.**

ასევე გასაკვირია, რომ ევროკავშირის სასურსათო უსაფრთხოების გრანტის მიღების მიუხედავად არ დაფინანსდა შესაბამისი საბიუჯეტო პროგრამები.

**საკონსულტაციო ფირმა "დამენია, ვარშალომიძე, ნოღაიდელი და ქავთარაძე".**

**2003 წლის 10-14 მარტის პერიოდში ცენტრალური ბიუჯეტიდან გაწეული ხარჯები**

| № | დასახელება | თანხა (ათას ლარებში) |
|---|---|---|
| 1 | საგარეო ვალდებულებები | 3 800.0 |
| | [illegible] | 3 800.0 |
| 2 | ქ. თბილისში განლაგებული საბიუჯეტო ორგანიზაციები | 900.0 |
| | [illegible] | 900.0 |
| 3 | რეგიონებში განლაგებული საბიუჯეტო ორგანიზაციები | 1 156.0 |
| | [illegible] | 1 156.0 |
| 4 | [illegible] | 52.0 |
| | [illegible] | 52.0 |
| 5 | [illegible] | 1 244.5 |
| | [illegible] | 58.0 |
| | [illegible] | 481.3 |
| | [illegible] | 226.0 |
| | [illegible] | 10.0 |
| | [illegible] | 324.4 |
| | [illegible] | 154.8 |
| 6 | სოციალური ტრანსფერი ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებს | 149.0 |
| 7 | სოციალური ფონდის ტრანსფერი | 1 450.5 |
| | [illegible] | 1 450.5 |
| 8 | [illegible] | 356.0 |
| 9 | საქართველოს პრეზიდენტის ფონდი | 10.0 |
| 10 | [illegible] | 599.0 |
| | [illegible] | 390.0 |
| | [illegible] | 65.5 |
| | [illegible] | 5.7 |
| | [illegible] | 27.9 |
| | [illegible] | 8.7 |
| | [illegible] | 8.9 |
| | [illegible] | 2.3 |
| | [illegible] | 28.8 |
| | [illegible] | 61.2 |
| 11 | [illegible] | 37.4 |
| | [illegible] | 8.5 |
| | [illegible] | 27.8 |
| | [illegible] | 1.1 |
| 12 | [illegible] | 1 533.0 |
| | [illegible] | 33.0 |
| | [illegible] | 1 500.0 |
| 13 | [illegible] | 125.0 |
| 14 | [illegible] | 801.4 |

**სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება**
ოპერატიული ინფორმაცია 18 მარტისთვის

მლნ. ლარებში

| დასახელება | წლის პროგნოზი | კვარტლის პროგნოზი | შესრულება | % წლის პროგნოზიდან | % კვარტლის პროგნოზიდან |
|---|---|---|---|---|---|
| სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები | 1127.4 | 252.46 | 138.76 | 12% | 55% |
| ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლები და გრანტები | 833.7 | 186.38 | 96.76 | 12% | 52% |
| საგადასახადო შემოსავლები | 659.9 | 151.98 | 86.53 | 13% | 57% |
| არასაგადასახადო შემოსავლები | 78.4 | 26.7 | 3.57 | 5% | 13% |
| გრანტები | 95.4 | 7.7 | 6.66 | 7% | 86% |
| სოციალური ფონდი | 244.2 | 53.84 | 35.92 | 15% | 67% |
| საგზაო ფონდი | 49.5 | 12.23 | 6.07 | 12% | 50% |
| დეფიციტის დაფინანსება | 239.8 | 75.17 | 42.05 | 18% | 56% |
| გარდამავალი საბრუნავი სახსრები | 8.5 | 2 | 1.96 | 23% | 98% |
| [illegible] | 22 | 13.5 | 9.78 | 44% | 72% |
| [illegible] | 40 | 27.24 | 19.51 | 49% | 72% |
| [illegible] | | 0 | 2.4 | | |
| [illegible] | 41.5 | 4.43 | 1.47 | 4% | 33% |
| [illegible] | 127.8 | 28 | 6.93 | 5% | 25% |

| დასახელება | წლის პროგნოზი | კვარტლის პროგნოზი | შესრულება | % წლის პროგნოზიდან | % კვარტლის პროგნოზიდან |
|---|---|---|---|---|---|
| საგადასახადო დეპარტამენტის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები | 511.7 | 122.95 | 79.91 | 16% | 65% |
| საბაჟო დეპარტამენტის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები | 389.1 | 89.86 | 44.9 | 12% | 50% |

# ჰუსეინი თავის ვაჟებთან ერთად ერაყში რჩება

## ერაყელები კი თავდაცვისათვის ემზადებიან

ლევან ღირსიაშვილი

*ორშაბათს პრეზიდენტ ბუშის ამერიკელი ხალხისადმი მიმართვის შემდეგ ერაყში საომარი მოქმედების დაწყებამდე წამმზომი უკვე ჩაირთო. ბუშმა ერაყის პრეზიდენტს და მის გარემოცვას ერაყის დატოვება მოსთხოვა და ამისათვის 48 საათის ვადა მისცა. ვაშინგტონის მოთხოვნით, სადამთან ერთად ქვეყნიდან უნდა წავიდნენ მისი ვაჟებიც – ქუსაი და უდეი ჰუსეინები. წინააღმდეგ შემთხვევაში, ერაყის წინააღმდეგ მოკავშირეთა ასობით თვითმფრინავი აიღებს სტარტს. ვარაუდობენ, რომ ულტიმატუმის შეუსრულებლობის შემთხვევაში, ერაყს აქამდე არნახული მასშტაბის დაბომბვა ელის. ოფიციალური ბაღდადი კი 48-საათიანი ვადის გასვლას არ დაელოდა და უკვე განაცხადა, რომ პრეზიდენტი ჰუსეინი ერაყში რჩება. ქვეყანაში საბრძოლო განწყობა სუფევს. ერაყელები თავდაცვისათვის ემზადებიან.*

**"ჩვენ დაგეხმარებით ტერორისგან გათავისუფლებასა და ახალი, აყვავებული და თავისუფალი ერაყის აშენებაში, რომელშიც აღარ იქნება ომი და რომელიც თავის მეზობლებს აგრესიით არ დაემუქრება. აღარ იარსებებს საწამლავის ქარხნები, აღარ მოხდება დისიდენტების დახვრეტა, წამება. თქვენი გათავისუფლების დღე მოახლოებულია,"** - მიმართა ამერიკის პრეზიდენტმა ერაყელებს. **"ერაყის არმიას და დაზვერვას უნდა ახსოვდეთ, რომ მათი მომაკვდავი რეჟიმი არ იმსახურებს მისთვის სიცოცხლის გაწირვას,"** - დასძინა ბუშმა.

აშშ-ს პრეზიდენტის გამოსვლის შემდეგ ვაშინგტონის ადმინისტრაციამ ქვეყანაში სიფრთხილის განსაკუთრებული ზომების შემოღების შესახებ გამოაცხადა და მოსახლეობა შესაძლო ტერორისტული დარტყმების შესახებ გააფრთხილა.

პრეზიდენტ ბუშის ულტიმატუმს დაუყოვნებლივ გამოეხმაურა ოფიციალური ბაღდადიც. ერაყმა ბუშის მოთხოვნის შესრულებაზე უარი განაცხადა. **"მშვიდობის დამყარების ერთადერთ საშუალებას ომის ნომერ პირველი გამჩაღებლის, ჯორჯ ბუშის დამარცხება წარმოადგენს, რომელმაც თავისი ქვეყანა ყველასათვის დასაცინი გახადა,"** - მკაფიოდ განაცხადა ერაყის საგარეო საქმეთა მინისტრმა ნაჯი საბრიმ. ერაყის ხელისუფლება მინისტრის დონეზე გაკეთებული განცხადებით არ დაკმაყოფილდა. ულტიმატუმის ერთ-ერთმა ობიექტმა სადამ ჰუსეინის ვაჟმა - უდეიმ თანამოქალაქეებს ბრძოლისაკენ მოუწოდა და ამერიკის მიმართ თავისი მუქარა გაავრცელა: **"ჩვენს წინააღმდეგ მებრძოლი ამერიკელების დედები და ცოლები ცრემლის ნაცვლად სისხლს მოიწმენდენ."** ამ განცხადებებით ერაყმა, ფაქტობრივად, გამოწვევა მიიღო და ომისათვის მზადებას შეუდგა.

ომის სამზადისი ყველაზე მეტად ქვეყნის დედაქალაქში იგრძნობა. ბაღდადში ცხოვრების რიტმი გასული დღე–ღამის განმავლობაში მკვეთრად შეიცვალა. ქალაქში უკვე არმიის დანაყოფების გაძლიერებული პატრულირება დაიწყო. ერაყელი მებრძოლები და მოსახლეობა ქუჩებსა და მოედნებზე სანგრებს თხრიან და თავშესაფრებს ამზადებენ. ერაყელებმა ასევე ინტენსიურად დაიწყეს საკვები პროდუქტების, სასმელი წყლის, ნავთის და გაზის მომარაგება. მოსახლეობის ნაწილი კი უკვე ქალაქის დატოვებას შეუდგა.

გუშინვე, ერაყის არმიის ნაწილებმა ბაღდადში სადამ ჰუსეინის სახელობის აეროპორტი და მისასვლელი გზები დანაღმეს. ხუთი კილომეტრის რადიუსში მცხოვრებმა მოქალაქეებმა სხვა რაიონებში გადასვლის ბრძანება მიიღეს.

ერაყის ცენტრალური ნაწილის სარდალმა, პრეზიდენტის უმცროსმა ვაჟმა ქუსაი ჰუსეინმა რესპუბლიკური გვარდიის ნაწილებს ერაყის დედაქალაქის ბლოკირება უბრძანა. თავდაცვითი სამუშაოები ცენტრალური ერაყის სხვა ქალაქებში, კერძოდ, ნეჯეფსა და ქერბელშიც მიმდინარეობს. ომისათვის ემზადება სამხრეთ ერაყში მდებარე ქალაქი ბასრაც. ამ რეგიონის სარდლად დანიშნულმა "ქიმიურ ალიდ" წოდებულმა ალი ჰასან ალ-მაჯიდმა გუშინ რაიონის უხუცესებთან შეხვედრა გამართა, რომელთაც ფიცი დადეს, რომ აშშ-სთან და დიდ ბრიტანეთთან არ ითანამშრომლებენ. ალ-მაჯიდმა უხუცესებს თვით სადამ ჰუსეინის სახელით საჩუქრებიც დაურიგა – სოლიდური ფულადი თანხები და პირადი იარაღი.

ერაყის დედაქალაქში ომის მოახლოება, თავდაცვითი სამუშაოების მიმდინარეობის გარდა, პირადი მოხმარების საგნებზე ფასებითაც შეიგრძნობა. თითქმის ყველა სახის პროდუქტის ღირებულება ოთხჯერ გაიზარდა. ორჯერ მოიმატა ფასმა ბოთლებში ჩამოსხმულ სასმელ წყალზეც. გარდა ამისა, ბაღდადის მთავარ ბაზარ "შორჯაში" მაღაზიების უმრავლესობა უკვე დაიკეტა. მოვაჭრეებს საქონელი მაღაზიებიდან საწყობებში გადააქვთ, რადგან შიშობენ, რომ დაბომბვების შემდეგ ქალაქში მასიური ძარცვა დაიწყება.

შეიძლება ითქვას, რომ ბაღდადი დანარჩენი სამყაროსგან უკვე მოწყვეტილია. ჯერ კიდევ კვირას მთელ ქალაქში გამოირთო ინტერნეტი და მობილური სატელეფონო კავშირი. ქვეყანაში გათიშულია შიდა და გარე ტელეფონები. ყველა კავშირი კომუტატორის მეშვეობით ხორციელდება..

ერაყელები უკვე დარწმუნებულნი არიან, რომ ომი გარდაუვალია. ისინი მხოლოდ დაბომბვების დაწყების თარიღის გამოცნობას ცდილობენ. მოსალოდნელია, რომ ომი, ულტიმატუმის გასვლიდან ერთი დღის შემდეგ, 20 მარტის ღამეს დაიწყოს. ამისათვის კი მოკავშირეთა სამხედრო ავიაცია უკვე მზადყოფნაშია და სარდლობის ბრძანებას ელოდება.

ბრიტანული გამოცემა "ტაიმსის" გუშინდელი ნომერი ერაყში ომის მასშტაბებზე იუწყება. **"ერაყში საომარი ოპერაციის დაწყებისთანავე კოალიციის ძალები მთელი ისტორიის მანძილზე ყველაზე მასშტაბური დაბომბვების განხორციელებას გეგმავენ. ერაყის ასობით ობიექტზე დარტყმებს, პრაქტიკულად, ერთდროულად მიიტანენ. ასეთი ძლიერი საჰაერო კამპანია მიზნად სადამ ჰუსეინის კაპიტულაციას ისახავს. მოსალოდნელია, რომ პირველი ორი ღამის განმავლობაში ერაყის ობიექტების წინააღმდეგ სამი ათასზე მეტი მართვადი ბომბი და რაკეტა იქნება გაშვებული, რაც სადამ ჰუსეინის სამხედრო დანაყოფების შემდგომ ფუნქციონირებას შეუძლებელს გახდის,"** - ნათქვამია სტატიაში. აქვე აღნიშნულია, რომ "შოკის და შიშის" კონცეფცია ჰაერიდან ისეთი ძლიერი დარტყმის გამოყენებას აპირებს, რომლის შედეგადაც ქუვეითში დისლოცირებულ მოკავშირეთა ძალებს ბაღდადზე იერიშის დაწყება 3-5 დღეში დაუბრკოლებლად შეეძლებათ.

უნდა ითქვას, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ მოკავშირეთა გეგმებია. რასაკვირველია, ისინი ამ დასახული მიზნის მიღწევას ყველა საშუალებით შეეცდებიან, მაგრამ აქვე უნდა გავიხსენოთ ისიც, რომ 1991 წელს ერაყზე ავიადარტყმები 39 დღეს გაგრძელდა და მხოლოდ ამის შემდეგ მოახერხეს კოალიციის ძალებმა საუდის არაბეთის საზღვრის გადაკვეთა, რათა ქუვეითიდან ერაყის არმია განედევნათ.

### სადამს და მის ვაჟებს ქვეყნის დატოვება მოსთხოვეს

აშშ-ის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა სადამ ჰუსეინს და მის ვაჟებს ერაყის დატოვებისათვის 48 საათი მისცა. წინააღმდეგ შემთხვევაში სამხედრო მოქმედებებს დაიწყებს. ვადა ხუთშაბათს გრინვიჩის დროით ღამის 1 საათზე იწურება. ვაჟები ქუსაი და უდეი სადამის ხელისუფლების წევრები არიან.



**ქუსაი სადამ ჰუსეინი**

- სადამს სწამს რომ მისი მეორე ვაჟი თავის მემკვიდრედ ჰყავს გამოზრდილი.
- ქუსაი, 35 წლის, მეთაურობს ყველაზე კარგად განვრთნილ და აღჭურვილ რესპუბლიკურ გვარდიას. უკვე დიდი ხანია პასუხს აგებს საკუთარი მამის უსაფრთხოებაზე. სადამის რეჟიმის მიერ განდევნილი ხალხის თქმით, ქუსაი ოპონენტების წინააღმდეგ რამდენიმე სისხლიან შეტაკებას მეთაურობდა.
- გასულ კვირას სადამმა ქუსაის ბაღდადის და სადამის მშობლიური ქალაქის – თიქრითის დაცვა ჩააბარა.
- ქუსაი პროფესიით იურისტია, ჰყავს მეუღლე და სამი ვაჟი.

**უდეი სადამ ჰუსეინი**

- სადამის უფროსი ვაჟი, 37 წლის, 1996 წლამდე, ვიდრე მასზე თავდასხმა მოხდებოდა, სადამის მემკვიდრედ განიხილებოდა. თავდასხმის შემდეგ მას ღრმა ჭრილობა დარჩა.
- აქვს სასტიკი ადამიანის რეპუტაცია. მან პირადად გაუსამართლებლად დახვრიტა რამდენიმე ადამიანი.
- ქუსაისგან განსხვავებით არის ცნობილი მექალთანე, გამოირჩევა ექსტრავაგანტული ჩაცმულობით, ატარებს კოვბოის ჩექმებს და მოოქროვილ არაბულ თავსაბურავს.
- უდეი პარლამენტის წევრია. მართავს ერაყის ყველაზე პოპულარულ გაზეთს – "ბაბილს" და პოპულარულ ახალგაზრდულ სატელევიზიო არხს. არის ერაყის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარე.

© GRAPHIC NEWS

# „დღეს კაცობრიობას გაერო-ს ქარტიისაკენ მობრუნება სჭირდება"

*გთავაზობთ ერაყის ყოფილი პრემიერ-მინისტრის მოჰამად ჯამალის წერილს, რომელიც მან 1995 წელს, გაერო-ს 50 წლისთავთან დაკავშირებით, სან-ფრანცისკოს მერს ფრენკ ჯორდანს მისწერა. წერილში გადმოცემული მოსაზრებები არაბულ სამყაროში გაერო-სა და მსოფლიო წესრიგის შესახებ არსებულ შეხედულებებს ასახავს და ახლაც ძალზე თანამედროვედ ჟღერს. 1958 წელს სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, ჯამალის სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს, ამიტომ ის სიცოცხლის ბოლომდე (1997წ.) საზღვარგარეთ ცხოვრობდა. ავტორი 1945 წელს სან-ფრანცისკოში გაერო-ს ქარტიის ხელმომწერთა შორის იყო, მოგვიანებით კი გაერო-ში ერაყის წარმომადგენლად დაინიშნა.*

**პატივცემულო ფრენკ ჯორდან,**

მოხარული ვარ გაერო-ს ქარტიის 50-ე წლისთავისადმი მიძღვნილ ცერემონიალზე მოპატიჟებისათვის.

როგორც 1945 წლის გაერო-ს კონფერენციის მონაწილე, მე დღედაღამ ენთუზიაზმით აღსავსე ვმუშაობდი ახალი, მშვიდობიანი მსოფლიოს, "ერთიანი მსოფლიოს" შესაქმნელად, სადაც ძმობა, ერთობა, თავისუფლება და უკეთესი ცხოვრების დონე მთელი კაცობრიობის წილხვედრი იქნებოდა.

ომით გათიშული მსოფლიოსთვის ახალი იმედი ჩაისახა სან-ფრანცისკოში და კაცობრიობის ისტორიაში ახალი ეპოქა დაიწყო. უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში მსოფლიო პოლიტიკა გაერო-ს ქარტიის შესაბამისად რომ წარმართულიყო, კაცობრიობა გაერთიანებული, ბედნიერი და მშვიდობინი მსოფლიოსაკენ დიდ ნაბიჯს გადადგამდა. თუმცა, ქარმა სულ სხვა მიმართულებით დაუბერა. დიდ სახელმწიფოებს შორის დაწყებულმა ცივმა ომმა გამალებული შეიარაღება გამოიწვია. ახალი, დამანგრეველი იარაღი იქნა გამოგონილი და ადამიანური სიმდიდრე და რესურსები სწორედ ტირანიისა და ნგრევისაკენ წარიმართა. დიდი თუ პატარა სახელმწიფოების მოქმედებებიდან უცოდინრობა, რასობრივი და რელიგიური დისკრიმინაცია, დემაგოგია, ეგოიზმი და აგრესია გამოსჭვიოდა.

დღეს კაცობრიობას გაერო-ს ქარტიისაკენ სერიოზულად მობრუნება სჭირდება, რომელიც განმტკიცებული იქნება: ღირსების მორალური კოდექსით, ყველასათვის სავალდებულო საერთაშორისო სამართლით, ადეკვატური მშვიდობისმყოფელთა ძალებით, "ბრძენთა საბჭოთი", ვეტოს უფლების გაუქმების მეშვეობით უშიშროების საბჭოს დემოკრატიზაციით.

მართალია, ძალზე ვაფასებ თქვენს კეთილშობილურ მოპატიჟებას, მაგრამ სინანულით უნდა მოგახსენოთ, რომ მე ვერ დავესწრები გაერო-ს დღესასწაულს.

მე ახლა 92 წლის ვარ. ამ ასაკში არ მაქვს იმის ძალა და ენერგია, რომ მოკლე ხნით ასეთ დიდ გზაზე წამოვიდე სან-ფრანცისკოში.

ამას გარდა, პალესტინის, ერაყის, ლიბანისა და სხვა არაბული და მუსლიმური სახელმწიფოების მიმართ ჩადენილმა უსამართლობამ ჩემზე დიდი გავლენა მოახდინა და იმ დასკვნამდე მიმიყვანა, რომ მე ვერ მივიღებ იმ გაერო-ს ზეიმში მონაწილეობას, რომელიც შეერთებული შტატების დიქტატისა და უშიშროების საბჭოში ვეტოს გამოყენების გამო უსამართლო და არაეფექტურ ორგანიზაციად გადაიქცა.

მე ვევედრები ალაჰს, რომ გაერო-ს ქარტიაში გადმოცემული სან-ფრანცისკოს სულისკვეთება გახდეს წარმმართველი აშშ-ს პოლიტიკისა – კერძოდ, და გაერო-ს პოლიტიკისა - ზოგადად.

ღრმა პატივისცემითა და
საუკეთესო სურვილებით,
**მოჰამად ფადელ ჯამალი**
გაერო-ს ქარტიის ხელმომწერი

*7 ივნისი, 1995 წ.*

# თურქეთი ვაშინგტონის მხარდასაჭერად ემზადება

რევაზ ბახტაძე

გუშინ თურქეთის მთავრობამ ამერიკული ჯარის ქვეყანაში შეშვების თაობაზე საგანგებო სხდომა გამართა.

ერაყში ომი ერთ-ორ დღეში დაიწყება და ანკარის საბოლოო პოზიცია ვაშინგტონისათვის ძალზე მნიშვნელოვანია. თურქეთის პარლამენტის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, ამერიკა თურქეთის ტერიტორიას ჩრდილოეთის ფრონტის გასახსნელად გამოიყენებს.

თუმცა, დიპლომატიური წყაროების ცნობით, თურქეთის პარლამენტი შეერთებულ შტატებს, სავარაუდოდ, მხოლოდ საჰაერო სივრცის გამოყენების უფლებას მისცემს, ნაცვლად 62 000 ჯარისკაცის შეშვებისა. ჯარების განლაგების გეგმა თურქმა პარლამენტარებმა 1 მარტს უკვე დაბლოკეს.

თურქეთის სახელმწიფო მინისტრი ალი ბაბაჩანი ხელმეორე კენჭისყრის შედეგებს ოპტიმიზმით ელის. რეზოლუციის დამტკიცების შემთხვევაში, თურქეთის ხელისუფლება მრავალი მილიარდი ამერიკული დოლარის დახმარებას მიიღებს.

"ამჟამად, საერთო განწყობა დადებითია. მე ვფიქრობ, რომ ამ საკითხის თაობაზე შეერთებულ შტატებთან მჭიდროდ ვითანამშრომლებთ", - აღნიშნა ბაბაჩანმა "სი-ენ-ენ"-ის ადგილობრივი ბიუროსათვის მიცემულ ინტერვიუში.

თურქეთის ახლადარჩეული პრემიერ-მინისტრი დიდი წნეხის ქვეშ არის მოქცეული. იგი კენჭისყრას, სავარაუდოდ, დღეს დანიშნავს.

ანალიტიკოსების აზრით, მხოლოდ საჰაერო სივრცის გამოყენების უფლების მიცემაც კი ერაყის დამარცხებას გაცილებით იოლს გახდის, რადგან სამხრეთსა და ჩრდილოეთ ფრონტებს შორის გახლეჩილი ჰუსეინის არმია ამერიკელთა და ბრიტანელთა მასობრივ შეტევას ეფექტურად ვეღარ გაუმკლავდება.

ახლა, თურქეთის მთავრობას ჰაერივით სჭირდება პარლამენტის გადაწყვეტილება, რადგან საფინანსო ბაზრებზე შეშფოთება შეინიშნება. ამერიკული დახმარების გარეშე, თურქეთის ეკონომიკა გამოცოცხლებას ვერ შეძლებს, რაც ინვესტორებს აფრთხობს.

ამას გარდა, ანკარა სასიცოცხლოდ არის დაინტერესებული, რომ ომის შემდეგ ერაყის სახელმწიფოებრივ მოწყობაში მონაწილეობა მიიღოს. თურქეთს სურს, რომ მისი საზღვრის ახლოს მცხოვრებმა ქურთებმა ჩრდილოეთ ერაყში დამოუკიდებელი სახელმწიფო ან ფედერაციული ერთეული არ შექმნან. თურქების აზრით, მოვლენების ამგვარი სცენარით განვითარება თურქეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ რამდენიმე მილიონ ქურთში სეპარატისტულ მისწრაფებებს გამოაღვიძებს. გარდა ამისა, თურქეთს ერაყში მოსახლე ეთნიკურად მონათესავე თურქმანებისათვის პოლიტიკური უფლებების მოპოვებაც სურს.

მთავრობის სხდომაზე მყოფმა თურქეთის გენერალური შტაბის ხელმძღვანელმა, გენერალმა ჰილმი ოზკოკმა ჟურნალისტებს მიანიშნა, რომ თურქეთი გაცილებით მოგებული დარჩება ერაყის წინააღმდეგ ნებისმიერ ომში მონაწილეობით, ვიდრე ომის აცილებითა და მოვლენების პასიური თვალყურისდევნებით.

# რატომ უნდა დამეტოვებინა კაბინეტი

პირველი გვერდიდან

ჩვენ ომში ვერთვებით ისე, რომ მას მხარს არ უჭერს არც ერთი ის ძირითადი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომლის წევრიცაა ბრიტანეთი: არც ნატო, არც ევროკავშირი და უკვე აღარც უშიშროების საბჭო. ეს დიპლომატიურ იზოლაციაში მოქცევის საშიშროებას ნიშნავს. სულ ერთი წლის წინ ჩვენ და ამერიკა ვიყავით საერთაშორისო ანტიტერორისტული კოალიციის წევრები, კოალიციისა, რომელიც გაცილებით ფართო და მრავალფეროვანი აღმოჩნდა, ვიდრე თავიდან შეგვეძლო წარმოგვედგინა. მომავალში ისტორიკოსებს გააოცებთ იმ დიპლომატიური შეცდომების მასშტაბები, რომლებმაც ესოდენ ძლიერი კოალიცია დაშლამდე მიიყვანა.

ბრიტანეთი არ არის ზესახელმწიფო. ჩვენი ინტერესების დასაცავად საუკეთესო გზა არა ცალმხრივ ქმედებებში, არამედ მრავალმხრივ შეთანხმებებში და ისეთი მსოფლიოს შექმნაში მდგომარეობს, სადაც ქცევის მიღებულ წესებს ყველა იცავს. დღეს ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი საერთაშორისო კავშირები შესუსტდა. ევროკავშირი გაყოფილია, უშიშროების საბჭო ჩიხშია. პირველი ტყვიის გასროლამდე ომს უკვე დანაკარგები მოჰყვა.

ომის ზღურბლი ყოველთვის მაღალი უნდა იყოს. ვერც ერთი ჩვენგანი ვერ შეძლებს წინასწარ გამოიცნოს, რამდენი მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპება მასირებული დაბომბვების შედეგად. ალბათ, ათასობით. ერაყის სამხედრო ძლიერება ახლა იმის ნახევარი თუ იქნება, რაც იყო ომის წინ. ჩვენ დღეს მხოლოდ იმიტომ შეგვიძლია ერაყში შევიჭრათ, რომ მისი სამხედრო ძალები დღეს ასე სუსტია. ბევრი ფიქრობს, რომ ერაყის არმია იმდენად სუსტი, იმდენად დემორალიზებული და იმდენად ცუდად აღჭურვილია, რომ ომი რამდენიმე დღეში შეიძლება დასრულდეს.

არ შეიძლება სამხედრო სტრატეგია იმაზე ააგო, რომ სადამი სუსტია და წინააღმდეგობის გაწევას ვერ შეძლებს და ამავე დროს ამტკიცო, რომ პრევენტიული დარტყმა აუცილებელია იმიტომ, რომ ჰუსეინი სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს. ერაყს, ალბათ, არა აქვს მასობრივი განადგურების იარაღი ამ სიტყვის ტრადიციული გაგებით; არა აქვს მოწყობილობა, რომელიც შეიძლება გამოყენებული იყოს სტრატეგიული სამიზნეების, მათ შორის - ქალაქების წინააღმდეგ. სავარაუდოდ, სადამს აქვს ბიოლოგიური ტოქსინები და ქიმიური იარაღით სავსე ჭურვები, რომლებიც საფრონტო ბრძოლებისას თუ გამოდგება; მაგრამ მას ეს იარაღი აქვს უკვე 1980-იანი წლებიდან მოყოლებული, როდესაც ამერიკამ ერაყს ციმბირის წყლულის გამომწვევი ბაცილები, ხოლო ბრიტანეთმა ქიმიური აგრეგატები და იარაღის ქარხნები მიჰყიდა.

რატომ არის ასე გადაუდებლად აუცილებელი, რომ სამხედრო გზით გავუნადგუროთ სადამს ის იარაღი, რომელიც უკვე 20 წელია აქვს და რომლის შეძენაშიც ჩვენვე დავეხმარეთ? რატომ მაინც და მაინც ახლა უნდა დავიწყოთ ომი, როდესაც ერაყში ინსპექტორების ყოფნა სადამის სამხედრო ამბიციებს მნიშვნელოვან დაბრკოლებას უქმნის?

ხშირად ამბობენ, რომ ერაყს რამდენიმე თვე კი არა, 12 წელი ჰქონდა იმისათვის, რომ განიარაღებულიყო და რომ საერთაშორისო საზოგადოების მოთმინება ამოიწურა. უკვე 30 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც უშიშროების საბჭოს 242-ე რეზოლუციამ ისრაელს ოკუპირებული ტერიტორიების დატოვება მოსთხოვა. რატომ ისრაელისგან არ მოვითხოვთ ასევე თანმიმდევრულად გაერო-ს რეზოლუციის შესრულებას?

დღეს ყველაზე მეტად ერთი ეჭვი მაწუხებს: ფლორიდაში საქმე ოდნავ სხვაგვარად რომ წასულიყო და ამერიკის პრეზიდენტი ალ გორი გამხდარიყო, ჩვენ დღეს ერაყში ჯარების გაგზავნა არ დაგვჭირდებოდა.

მჯერა, რომ ბრიტანეთში საზოგადოებრივი აზრი ურყევია. ხალხს მიაჩნია, რომ ჰუსეინი შეუბრალებელი დიქტატორია, მაგრამ ისინი არ არიან დარწმუნებულნი, რომ სადამი მათთვის საფრთხეს წარმოადგენს. მათ სურთ, რომ ინსპექტორებს კიდევ მიეცეთ შანსი. ისინი შეშფოთებულები არიან იმით, რომ აშშ-მ ბრიტანეთი იმ ომში ჩაითრია, რომელსაც თავისი კერძო ინტერესების გამო აწარმოებს. დაბოლოს, ისინი უკმაყოფილონი არიან იმით, რომ ბრიტანეთი სამხედრო მოქმედებებში მონაწილეობას პრაქტიკულად მოკავშირეთა გარეშე მიიღებს.

მიმომხილველები განუწყვეტლივ საუბრობენ იმაზე, რომ თემთა პალატამ დაკარგა ცენტრალური როლი ბრიტანეთის პოლიტიკაში. პალატას აქვს ბრწყინვალე შანსი, დაამტკიცოს, რომ ისინი ცდებიან. მან არ უნდა დაუშვას ბრიტანული ჯარების მონაწილეობა ომში, რომელსაც არც საერთაშორისო ლეგიტიმურობა, არც საშინაო მხარდაჭერა არ გააჩნია.

# სომხეთში ოპოზიცია პოლიტიკურ ანგარიშსწორებაზე ალაპარაკდა

სომხეთის უდიდესმა ოპოზიციურმა გაერთიანებამ ერთ-ერთი ოპოზიციონერი ლიდერის ძმის დაპატიმრება დაგმო. მას სომხეთის საზოგადოებრივი ტელევიზიის შეფის - ტიგრან ნაღდალიანის მკვლელობაში ადანაშაულებენ.

ოპოზიციის ლიდერის, ყოფილი პრემიერ-მინისტრის, არამ სარგსიანის ძმა, ბიზნესმენი არმენ სარგსიანი გასულ შაბათს დააკავეს საზოგადოებრივი ტელევიზიის უფროსის, ნაღდალიანის, დეკემბერში მომხდარი მკვლელობისათვის. ახლა ამ საქმესთან დაკავშირებით უკვე ცხრა კაცია დაპატიმრებული.

არმენ სარგსიანი ვაზგენ სარგსიანის ძმაცაა, რომელიც 1999 წლის ოქტომბერში, სომხეთის პარლამენტში განხორციელებული ტერაქტისას მოკლეს. სახელმწიფო პროკურორი არმენს დანაშაულის ორგანიზებაში ადანაშაულებს. ერთ-ერთმა ეჭვმიტანილმა განაცხადა, რომ მკვლელობის დაგეგმვისა და განხორციელებისათვის სარგსიანმა მას 50 000 ამერიკული დოლარი გადაუხადა.

არმენ სარგსიანს მშობლიურ ქალაქ არარატში ბიზნესი აქვს. სარგსიანის გვარი ჯერ კიდევ გასული წლის მაისში ამოტივტივდა, როდესაც შეერთებულმა შტატებმა მას ქვეყანაში შესვლა აუკრძალა. სარგსიანს სომხეთის ბიოქიმიურ კომპანიასთან კავშირში ადანაშაულებდნენ, რომელმაც აკრძალული ნედლეული მეზობელ ირანს მიჰყიდა. სარგსიანმა გადაჭრით უარყო ამ კომპანიასთან ყოველგვარი კავშირი.

სომეხი მიმომხილველების აზრით, ხელისუფლება მის დასაჭერად წინასწარ საფუძველს ამზადებდა. ხელისუფლებასთან დაახლოებული მედიის საშუალებით ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ ეჭვმიტანილები სარგსიანის ოჯახის შორეული ნათესავები არიან.

არმენ სარგსიანის ადვოკატმა რობერტ გრიგორიანმა კლიენტის დაკავება სასწრაფოდ გააპროტესტა. მისი თქმით, გამომძიებლებს სამხილი არ აქვთ. არამ სარგსიანმა და მისმა ოპოზიციონერმა მოკავშირეებმა, თავის მხრივ, ბრალდებები უარყვეს და მათ "შეთითხნილი" უწოდეს. მათი აზრით, ეს პრეზიდენტ რობერტ ქოჩარიანის მორიგი მცდელობაა, რომ ძალაუფლება განიმტკიცოს და თავის პოლიტიკურ ოპონენტებს გაუსწორდეს.

"ჩვენ ვაცხადებთ, რომ დავამხობთ იმ რეჟიმს, რომელმაც ძალაუფლების უზურპირება მოახდინა და კონსტიტუციურ წესრიგს აღვადგენთ", - ნათქვამია ახლახან დაარსებული ოპოზიცური ალიანსის – "ართარუთიუნის" (სამართლიანობა) განცხადებაში, - "ხელისუფლებაზე მიზანმიმართული ზეწოლა კიდევ უფრო მასშტაბურად გაგრძელდება".

დაპატიმრების შემდეგ არმენ სარგსიანის დედამ და მისმა ნათესავმა ქალებმა პრეზიდენტის რეზიდენციასთან საპროტესტო დემონსტრაცია მოაწყვეს. "ეს პოლიტიკური შეკვეთაა, რომელიც ოპოზიციის ჩაჩუმებას ისახავს მიზნად", - განაცხადა სარგსიანების დედამ გრეტა სარგსიანმა. "მათ ძალიან სურთ არამის ჩაჩუმება".

ნაღდალიანის საქმეში ეჭვიტანილთა დაკავების შესახებ ცნობები გვიან, 5 მარტს გაჩნდა, ზუსტად საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის დასრულების შემდეგ.

აღსანიშნავია, რომ სარგსიანების ოჯახი ნაღდალიანის მკვლელობას 1999 წელს პარლამენტში მომხდარ ტერაქტს უკავშირებს. "ჩვენ ვფიქრობთ, რომ არმენ სარგსიანის დაპატიმრებით 27 ოქტომბრის ტერორისტულ აქტში მონაწილეებს მეტ გარანტიას აძლევენ", - ნათქვამია "ართარუთიუნის" განცხადებაში.

"ნაღდალიანი მნიშვნელოვანი მოწმე იყო და ჩვენ მოუთმენლად ველოდით მის დაკითხვას", - თქვა რიმა დემირჭიანმა, მოკლული პარლამენტის თავმჯდომარის კარენ დემირჭიანის ქვრივმა.

სარგსიანის ოჯახის რუსმა ადვოკატმა ოლეგ იუნოშევმა განაცხადა, რომ ნაღდალიანი ჩართული იყო პარლამენტში მომხდარ მკვლელობაში. მისი მტკიცებით, ნაღდალიანის ხელმძღვანელობით დამონტაჟდა პარლამენტში გადაღებული კადრები, რომელზეც სომხეთის ხელისუფალთა მკვლელობაა ჩაწერილი. მხოლოდ მონტაჟის შემდეგ გადაეცა ფირი გამომძიებლებს. ქოჩარიანმა ბრალდებები საჯაროდ უარყო.

# "ლეიბორისტები" შვიდთვიან არდადეგებზე მიდიან

*გუშინ საკონსტიტუციო სასამართლომ ლეიბორისტული პარტიის თავმჯდომარის შალვა ნათელაშვილის სარჩელის არსებით განხილვაზე უარი განაცხადა. ამ უსიამოვნო სიურპრიზის მიუხედავად, "ლეიბორისტები" თავს დამარცხებულად არ მიიჩნევენ და თვლიან, რომ სასამართლომ ამ ეტაპზე ობიექტური გადაწყვეტილება მიიღო, დანარჩენის მიღწევას "მშრომელები" საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვების შემდეგ გეგმავენ.*

ეთერ მამულაშვილი

შეგახსენებთ, რომ "ლეიბორისტების" თავკაცის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოში შეტანილი ახალი სარჩელი, ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიის წინააღმდეგ იყო მიმართული. ნათელაშვილი სემეკს სასამართლოსადმი დაუმორჩილებლობაში ადანაშაულებდა და ელექტროენერგიის ტარიფის კიდევ რამდენიმე თეთრით შემცირებას მოითხოვდა.

ერთი კვირის წინ, სასამართლო კოლეგიამ ბესარიონ ზოიძის თავმჯდომარეობით, განმწესრიგებელი სხდომა ჩაატარა და სარჩელის მიღების საკითხი მომდევნო პროცესამდე ღიად დატოვა. გუშინ მოსამართლეებმ შეუცვლელი განაჩენი წაიკითხა. საკონსტიტუციო სასამართლომ ჩათვალა, რომ ხსენებული სარჩელი მის კომპეტენციის ფარგლებს სცილდება, რადგან სასამართლომ ელექტროენერგიის ტარიფთან დაკავშირებით ერთხელ უკვე იმსჯელა და საკუთარი შესაძლებლობები კანონის მაქსიმალური დაცვით ამოწურა.

სხვათაშორის, გუშინდელ სასამართლო პროცესს მხოლოდ პარტიის რამდენიმე უცნობი სახე ესწრებოდა. სარჩელის ავტორი და ლიდერი "ლეიბორისტები" გუშინდელ პროცესზე არ გამოცხადდნენ. სამაგიეროდ, დარბაზი ელექტროენერგიის ტარიფის შემცირების მოსურნე თბილისელებით იყო სავსე. წინა პროცესთან შედარებით მათი რიცხვი, გუშინ ერთი-ორად იყო გაზრდილი.

მაშინ, როცა მოსარჩელე მხარის წარმომადგენლები მოსამართლეებს სამართლიანი გადაწყვეტილებისთვის მადლობას ეუბნებოდნენ, აღშფოთებას ვერ მალავდნენ პროცესის დამსწრე გუშემატკივრები. მოსამართლის ხსენებული გადაწყვეტილება ზემოდან ნაბრძანებად ჩათვალეს და კიდევ ერთხელ იმედგაცრუებულები ტოვებდნენ სასამართლოს შენობას. "ჩვენი პრეზიდენტი მალე ისეთ ხელსაწყოს მოიგონებს, რომელსაც ცხვირთან დაგვიმონტაჟებენ და თითოეულ კუბურ მეტრზე გადასახადს დაგვაკისრებენ", - ასეთი პროგნოზი გააკეთა ერთმა პენსიონერმა ქალბატონმა.

"ლეიბორისტების" შეფი, რომელიც გუშინ ყველაზე მეტად იყო კმაყოფილი სასამართლოს გადაწყვეტილებით, ახალ დაპირებას იძლევა. საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებისა და ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ელექტროენერგიის ტარიფის კიდევ ოთხჯერ შემცირებაზე იზრუნებს. "სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებით ერთხელ და სამუდამოდ აკრძალა ტარიფის გაძვირების მცდელობაც კი. ეს იყო მაქსიმუმი, რისი გაკეთებაც მოსამართლეებს შეეძლოთ. დანარჩენს არჩევნების შემდეგ, პირადად მე მოვუვლი და ტარიფს ოთხ თეთრამდე შევამცირებ", - ამბობს ნათელაშვილი.

ძალაუფლების მოლოდინში კი "ლეიბორისტები" ენერგომაფიასთან საბრძოლველად შვიდთვიან არდადეგებს იღებენ.

## ინფორმაცია

### მწვავე რესპირატორულმა სინდრომმა 9 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი აზიის ქვეყნებში გავრცელებული მწვავე რესპირატორული სინდრომის - ატიპიური პნევმონიის საქართველოში გავრცელებას თეორიულად არ გამორიცხავს, თუმცა აცხადებს, რომ ეს მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ პიროვნება სამხრეთ აზიის ქვეყნებში 1 თებერვლამდეა ნამყოფი. თუმცა, ჯერჯერობით, მგზავრობისგან თავის შეკავებასა და თვითმფრინავებში რაიმე სპეციფიკური ღონისძიებების ჩატარებას არ გვირჩევენ.

მწვავე რესპირატორული სინდრომი, რომელმაც სამხრეთ აზიის ქვეყნებში უკვე 9 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, მჭიდრო კონტაქტის გზით გადადის. დაავადება ტემპერატურის მკვეთრი ზრდით იწყება. მას თან სდევს კუნთების, თავის, ყელის ტკივილი და სუნთქვის გახშირება, მშრალი ხველა.

**ინტერ-პრესი**

### კოსმეტიკური ქირურგიის და სტომატოლოგიური კლინიკები შეღავათიან რეჟიმში არ მოექცევა

პარლამენტის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საკითხთა კომიტეტმა დადებითად შეაფასა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ წარდგენილი საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ კანონპროექტი, რომელიც სამედიცინო დაწესებულებებისთვის გადასახადების შეღავათიან რეჟიმს დააწესებს. პარლამენტი ამ კანონპროექტს დაახლოებით ერთ თვეში მიიღებს.

სამინისტრო ხუთი გადასახადის, დღგ-ს, მოგების, ქონების, სამეწარმეო და საგზაო ფონდის გადასახადების გაუქმებას ითხოვს. პროექტის დამტკიცების შემთხვევაში სამკურნალო დაწესებულებები შემოსავლების 6.6 პროცენტს დაზოგავენ. ამის შედეგად გამოთავისუფლებული თანხები საავადმყოფოთა რეაბილიტაციას, აღჭურვას, მომსახურების ტარიფის შემცირებას მოხმარდება. შეღავათიან რეჟიმში არ მოექცევა კოსმეტიკური ქირურგიის და სტომატოლოგიური კლინიკები.

**მედია-ნიუსი**

## მოკლედ

**თბილისი**. გუშინ დილიდან მთაწმინდის რაიონის ნაწილს ბუნებრივი აირის მიწოდება შეუწყდა. როგორც "თბილგაზში" აცხადებენ, გაზსადენის ერთ-ერთი მონაკვეთის ავარიულობის გამო, თაბუკაშვილის, ხოვის, ჯორჯაძის, ფურცელაძის, ვაჩნაძისა და გუდიაშვილის ქუჩებზე მცხოვრები აბონენტები ბუნებრივ აირს ერთი კვირის განმავლობაში ვერ იღებდნენ. ამიტომ სათანადო კვლევების ჩასატარებლად აუცილებელი იყო გაზმომარაგების შეწყვეტა.

"თბილგაზი" მომხმარებელს გაზმომარაგების აღდგენის შესახებ დამატებით აცნობებს, მანამდე კი აფრთხილებს, რომ უსაფრთხოების მიზნით გაზის ონკანები დაკეტონ.

**ინტერ-პრესი**

**თბილისი.** მსოფლიო ბანკიდან გამოყოფილი 60-მილიონიანი კრედიტით დაფინანსებული სასკოლო გრანტების პროგრამაში გამარჯვებული 210 სკოლა 1000-დოლარიან გრანტს მალე მიიღებს. გრანტი მიზნობრივად უნდა დაიხარჯოს სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად და არა სარემონტო სამუშაოებზე.

60 მლნ-ის გაცემის შემდეგ პროგრამის მეორე ეტაპი დაიწყება, რომელიც კიდევ სხვა 210 გამარჯვებულ სკოლას გამოავლენს.

**მედია-ნიუსი**

**თბილისი**. საქართველოში 24 მარტს ტუბერკულოზთან ბრძოლის საერთაშორისო დღეს აღნიშნავენ. ეს დღე ყოველწლიურად ახალი დევიზით აღინიშნება, წლევანდელი დევიზი "DOTS -მა განმკურნა მე - იგი განგკურნავს შენც" იქნება. DOTS ტუბერკულოზთან ბრძოლის სტრატეგიაა, რომელიც 1993 წელს ჯანო-მ მსოფლიოს ამ დაავადებასთან საბრძოლველად შესთავაზა. იგი უკვე დანერგილია მსოფლიოს 80-ზე მეტ ქვეყანაში, მათ შორის - საქართველოშიც.

**ინტერ-პრესი**

**თბილისი**. საქართველოს პრეზიდენტის მოწვევით 21 მარტს თბილისში წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის პრეზიდენტი იაკობ კელენბერგერი ჩამოვა. სტუმარი ედუარდ შევარდნაძეს, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს ამირან გამყრელიძესა და საქართველოში წითელი ჯვრის ორგანიზაციის ხელმძღვანელს ნანა ყეინიშვილს შეხვდება და ქსნის კოლონიაში ტუბერკულოზით დაავადებულ პატიმრებს მოინახულებს.

**ინტერ-პრესი**

# "არ მინდა, ჩემი გვარიც აუგად მოიხსენიოთ"

### განუცხადა ზოდელავამ ვაზისუბნელებს

ნანა ქადაგიშვილი

*ვანო ზოდელავას სამშაბათის ტრადიცია გუშინდელმა თოვლ-ჭყაპმაც ვერ დაარღვევინა და ჟურნალისტების თანხლებით ვაზისუბანში მდებარე 16-სართულიან კორპუსს ეწვია. მაგრამ, ამ კორპუსის მობინადრენი გუშინწინ დილით ისეთ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, ქალაქის მერს რომ არ მოენახულებინა, არც შეიძლებოდა.*

ამ კორპუსში ხალხი 1982 წელს შესახლებულა, მაგრამ ახალ სახლში დიდხანს არ გაუხარია. 6 წლის შემდეგ კორპუსს ცალი საყრდენი ფეხი ჩამოენგრა. თბილისის მაშინდელ მერს ირაკლი ანდრიაძეს კორპუსი გაუმაგრებია, თუმცა, მას შემდეგ ამ სახლის მობინადრეებს მშვიდად აღარ უცხოვრიათ. "ანდრიაძის დროს კორპუსი ნორმალურად რომ გაემაგრებინათ, ნელ-ნელა არ დაინგრეოდა. შარშანდელი მიწისძვრაც დაემატა და გუშინწინ დილით, 8 საათზე სახლს მეორე ფეხიც მოსტყდა. სტრესიდან ჯერაც ვერ გამოვსულვართ. არადა, მიწისძვრის შემდეგ გამგეობას რომ მივაკითხეთ, გვითხრეს, ამისთანა მაგარი კორპუსი არ არსებობსო. ესაა მაგარი?" – ჩიოდა კორპუსის 75 მობინადრე.

ვანო ზოდელავამ ქალაქის ძველი მერის ირაკლი ანდრიაძის მაგალითი გაითვალისწინა და მოსახლეობას შეპირდა, ყველანაირად დაგეხმარებითო. "14 წლის შემდეგ ჩემი გვარიც აუგად რომ არ მოიხსენიოთ, დროულად მოგხედავთ, თქვენს წინაშე ქალაქის მერი პირნათელი იქნება," – განუცხადა ზოდელავამ მოსახლეობას და დახმარების ორი ვარიანტი შესთავაზა. თუკი შესაბამისი კომისია გადაწყვეტს, რომ კორპუსი გამაგრდება, მალევე გავამაგრებთ, თუ არადა ფულს მოგცემთ და ახლომახლო ბინები თვითონ იყიდეთო. მობინადრეებს ბოლო ვარიანტი უფრო მოეწონათ. ეს კორპუსი გამაგრებულიც აღარ გვინდა, თქვენ გქონდეთ, ჩვენ ფული მოგვეციო, უყოყმანოდ უპასუხეს. თუმცა, მერია არჩევანს კომისიის დასკვნის მიხედვით გააკეთებს.



ზოდელავამ ვაზისუბანში შეაბიჯა.

ქალაქის თავის სტუმრობით აღნიშნული კორპუსის მეზობლად მცხოვრებლებმაც ისარგებლეს და მერსა და ჟურნალისტებს საკუთარი გასაჭირიც შესჩივლეს, მართალია, ჩვენს კორპუსს ყველა საყრდენი ფეხი ჯერ ადგილზე აქვს, მაგრამ, ესეც ავარიულია, თანაც, ჭერიდან წყალი ჩამოდის და 16-სართულიან სახლში 15 წელია, ლიფტი არ მუშაობსო. მაგრამ, მათი პრობლემები ნაკლებ აქტუალური აღმოჩნდა და ქალაქის ხელმძღვანელობის დიდი ყურადღება ვერ დაიმსახურა.

ვანო ზოდელავამ ვაზისუბნიდან საბურთალოზე გადაინაცვლა და ვაკე-საბურთალოს, დიდუბე-ჩუღურეთისა და გლდანი-ნაძალადევის რაიონების დამაკავშირებელი სასმელი წყლის ცენტრალური მაგისტრალი მოინახულა. მაგისტრალი გუშინწინ დაზიანებულა და მერიის შესაბამის სამსახურებს აღდგენითი სამუშაოები უკვე დაეწყოთ. "ეს მაგისტრალი რომ დაზიანდეს, ქალაქის სამ უბანს სასმელი წყლის პრობლემა შეექმნება, ამიტომ მას ჯერ დროებით ლოკალურად შევაკეთებთ, მსოფლიო ბანკის კრედიტის მიღების შემდეგ კი ძირფესვიანად გავაკეთებთ. ამას 1,5 მლნ. ლარი მაინც დასჭირდება," – განაცხადა მერმა.

იმედია, მომავალი კვირის სამშაბათს თბილისის მერი 16-სართულიან კორპუსში დაწყებული გამაგრებითი სამუშაოებით მოიწონებს თავს.

# საკრებულოს მუქარა შენობის კედლებს ვერ გასცდა

*რამდენიმე კვირის წინათ საკრებულომ ვეტერინარიისა და სანიტარული სამსახურების ხელმძღვანელთა სასწრაფოდ გათავისუფლება მოითხოვა. ანტიკორუფციული კომისიის მიერ სხდომაზე წარდგენილმა ფოტომასალამ საკრებულოს წევრები ისე აღაშფოთა, ადამიანი იფიქრებდა, თბილისის სავაჭრო ობიექტებზე მალე ანტისანიტარიის კვალიც კი გაქრებოდა. ზოგიერთი გამომსვლელი მაშინვე ეჭვობდა, - ამ ლაპარაკით და მუქარით ქალაქში არაფერი შეიცვლებაო...*

ნანა ქადაგიშვილი

...მართლაც არაფერი შეიცვლილა. მიუხედავად იმისა, რომ სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექცია საკრებულოში მიღებული საყვედურების შემდეგ უფრო გააქტიურდა, იმას მაინც ვერ მიაღწია, რომ ქალაქში მალფუჭებადი პროდუქტებით ვაჭრობა აკრძალოს. არადა, მალე დათბება და ქუჩაში გამოტანილი შებოლილი თევზი თუ საქონლის ხორცი ათმაგად საშიში გახდება. სანიტარული ზედამხედველობის ინსპექციამ მალფუჭებადი პროდუქტებით ვაჭრობის აღმკვეთი ღონისძიებები პირველი თებერვლიდან დაიწყო. ჯერ მეტროების ჩასასვლელებსა და მიმდებარე ტერიტორიებს მიადგა. მხოლოდ სამგორის მეტროს ჩასასვლელი კიბეებიდან 130 კგ. საკვებად უვარგისი ხორცი ამოიღო, ვარკეთილის მეტროსთან კი - 130 კგ. შებოლილი "სიგა". ახლახან რეიდი დიდუბის მეტროს მიდამოებშიც ჩაატარა და შპს-ების "თეთრი ქალაქის", "ბიზნესის", "ჩანგისა", ქარვასლას", "ასილ თემიტერისა" და ინდ.მეწარმე "ბასილაძის" სასურსათო-საბითუმო ბაზრები შეამოწმა. დახლებიდან ამოიღეს და გაანადგურეს 6 კგ. შებოლილი თევზიც. სავაჭრო იბიექტებზე არასათანადო სანიტარული მდგომარეობის გამო 5 პირი დააჯარიმეს და შემოწმებული ობიექტების მფლობელებს გამოსასწორებელ ღონისძიებათა გეგმა-დავალება მისცეს.

ვიდრე ინსპექცია დიდუბის მეტროს მიმდებარე ტერიტორიას ამოწმებდა, სამგორის მეტროს ჩასასვლელი მალფუჭებადი პროდუქტებით გაივსო. ასე რომ, ინსპექციას სამგორის მეტროს მიდამოების "დაწიოკება" ისევ მოუწევს, მაგრამ საეჭვოა, რაიმე შეიცვლოს - მეტროების მიმდებარე ტერიტორიებზე მაკონტროლებელი ყოველდღე, დილიდან საღამომდე უნდა იდგეს, რომ ეს ადგილები გაიწმინდოს. საქმეს შეიძლება არც ამან უშველოს.

ზემოთ ნახსენებ საკრებულოს სხდომაზე ანტიკორუფციული კომისიის წევრები მაკონტროლებელ უწყებებს კორუფციაში რომ ადანაშაულებდნენ, ალბათ, დაავიწყდათ, თორემ თავადაც კარგად იციან, რატომ იღებს ქრთამს მაკონტროლებელი და ვინ უმაგრებს ზურგს უკანონო ვაჭრობას.

# ლიმიტირებულ "კომუნიზმს" ორი ახალი პროგრამა უზრუნველყოფს

მაკა ჭაიანი

*თბილისის საკრებულომ მუნიციპალური ბიუჯეტი დაამტკიცა და ქალაქს ორი ახალი სამედიცინო პროგრამის ამოქმედებაც მიულოცა. "ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთი ლიდერის, ლადო ჭიპაშვილის განმარტებით, სრულად ჯერ ამბულატორიული პროგრამა მუშაობს, უფასო სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამჯერ მიღების შესაძლებლობა კი დედაქალაქის მკვიდრთ ივნისიდან მიეცემათ. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ "ჰოპლას" დაძახებამდე საკრებულო "03"-ის ბაზის სრულყოფას ეშურება.*

დღეისთვის "03"-ს 27 მანქანა ჰყავს. ლადო ჭიპაშვილს, რომელმაც თბილისის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ახალ მუნიციპალურ პროგრამას სპეციალური პრესკონფერენცია მიუძღვნა, მიაჩნია, რომ გაზრდილ დატვირთვას - თითოეული თბილისელისგან წელიწადში სამ გამოძახებას უფასოდ, მანქანების ეს რაოდენობა ვერ გასწვდება. ამიტომ იმ 2,5 მილიონი ლარიდან, რომელიც საკრებულომ წლევანდელ ბიუჯეტში, სასწრაფო სამედიცინო დახმარების დაფინანსების გრაფაში, შარშანდელი 800 ათასის ნაცვლად ჩაწერა, ნახევარი მილიონი სწორედ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფისთვის არის ნავარაუდევი. გეგმის მიხედვით, მანქანების რაოდენობა 40-მდე უნდა გაიზარდოს. ქალაქი შეისყიდის და დაამონტაჟებს ასევე სპეციალურ სამედიცინო აპარატურას. ყველაფერ ამას – შესაბამისი ტენდერის გამოცხადების დღიდან სამონტაჟო სამუშაოებით დამთავრებამდე, რვა კვირა დასჭირდება. ამ ვადებში და ამ ფასებში ჩატევას აპირებენ "ნაციონალები" არსებული რესურსებით.



გამოძახების მოლოდინში

დარჩენილი 2 მილიონი ლარი საჭირო მედიკამენტებს, ბენზინს, გაუთვალისწინებელ ხარჯებსა და, რაც მთავარია, პერსონალის ხელფასების გაზრდას უნდა მოხმარდეს. ამ უკანასკნელ პუნქტს "ნაციონალები" დიდმნიშვნელოვან გადაწყვეტილებას უწოდებენ. **"მე თავად ექიმი ვარ და მშვენივრად ვიცი, რომ უხელფასო ექიმს უფასო სამედიცინო მომსახურებას ვერ მოსთხოვ. ახლა სასწრაფოს ექიმები 60-70 ლარს იღებენ, ახალი პროგრამის ფარგლებში კი ხელფასი სამჯერ გაეზრდებათ. მგონი, 200 ლარი საკმარისი მოტივაცია უნდა იყოს იმისთვის, რომ თვეში 7-8 დღე ექიმმა თავისი ქალაქის მოსახლეობისთვის იმორიგეოს,"** – ამბობს ლადო ჭიპაშვილი. იგი დარწმუნებულია, რომ გამოძახებათა ეს რიცხვი სავსებით საკმარისი იქნება თბილისელთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. შესაბამისად, ძალზე მცირე იქნება იმათი რიცხვი, ვისაც სასწრაფოს დამატებითი გამოძახება და 6 ლარის გადახდა მოუწევს. "ნაციონალური მოძრაობის" წევრი ასეთ ვარაუდს საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით გამოთქვამს.

**"საერთაშორისო სტატისტიკის მიხედვით, ადამიანი სასწრაფო დახმარებას, საშუალოდ, სამ წელიწადში ერთხელ იძახებს. ჩვენ წელიწადში სამ გამოძახებას ვგეგმავთ. თუკი მოქალაქეს სასწრაფოს გამოძახება მეტად დასჭირდა, ეს მხოლოდ ჯანდაცვის სისტემის დეფექტების ბრალი იქნება. ე.ი. ადამიანს არ აქვს საშუალება, დროულად მიმართოს ექიმს, ჩაიტაროს საჭირო მკურნალობა და იძულებულია, ბოლო მომენტში, როცა სხვა გამოსავალი არა აქვს, სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე მყოფმა დაუძახოს სასწრაფოს,"** – განმარტავს ლადო ჭიპაშვილი. მისივე განმარტებით, ამ მდგომარეობის შემსუბუქებას დედაქალაქის საკრებულო წელს 4,5 მილიონ ლარამდე გაზრდილი ბიუჯეტის მქონე, ამბულატორიული პროგრამის ამოქმედებით ცდილობს. მის ფარგლებში თბილისის მკვიდრი ყველა 15 წლამდე ბავშვისა და 65 წელს გადაცილებული მოხუცისთვის უფასოა ნებისმიერი სახისა და სიხშირის ამბულატორიული მომსახურება და კონსულტაცია, რენტგენოლოგიური გამოკვლევის გარდა.

პროგრამა პოლიკლინიკების ექიმების ხელფასების ზრდასაც ითვალისწინებს. 30-40 ლარად მომუშავე მედპერსონალს, "ნაციონალების" დაპირების მიხედვით, 120-ლარიანი ჯამაგირი ექნებათ. ამან უნდა დაიცვას პაციენტები თეთრხალათიანების მხრიდან ფულის გამოძალვისგან. ამ ფონზე, პოლიკლინიკებში მიმართვიანობის გაზრდის შესაბამისად, სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოძახების, ე.ი. "03"-ის "ბოლო შანსის" სახით, არსებობის საფუძველი უნდა შეირყეს. იქამდე, საკრებულო საკუთარი გადაწყვეტილებით კმაყოფილებას არ მალავს და იმედი აქვს, რომ უფასო სასწრაფოთი სარგებლობას თბილისელები ივნისის დადგომისთანავე შეძლებენ. იმ დროისთვის მოსახლეობა შესაბამისი ბარათებითაც აღიჭურვება, სასწრაფოს გამოძახების რაოდენობა თავადაც რომ აღრიცხოს. პარალელურად "03"-ის მონაცემთა ბაზაშიც მოხდება აღრიცხვა. ერთი დეტალიც – სასწრაფო დახმარების გამოძახების უბედური შემთხვევები ქვეყნის მთავარი ქალაქის პარლამენტს ლიმიტირებული არ აქვს.

# „უზენაესმა სასამართლომ უკანონო გადაწყვეტილება მიიღო"

## აცხადებს ხათუნა ჩხაიძე

ხათუნა ჯანგირაშვილი

**"ხათუნა ჩხაიძის საჩივარი თანდართული მასალებით გლდანი-ნაძალადევის რაიონულ სასამართლოს გადაეგზავნოს განსახილველად",** - ასეთი გადაწყვეტილება გამოიტანა გუშინ უზენაესმა სასამართლომ გიორგი სანაიას მეუღლის სარჩელთან დაკავშირებით.

უზენაესი სასამართლოს ამ გადაწყვეტილების შესაბამისად, ხათუნა ჩხაიძის საჩივრის განხილვა, რომლის მიხედვითაც, მომჩივანი დაზარალებული გენერალურ პროკურატურას მკვლელობის საქმის უკანონოდ, ტენდენციურად და დარღვევებით გამოძიებაში სდებს ბრალს, გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს იმავე მოსამართლეს მოუწევს, რომელიც გიორგი სანაიას მკვლელობაში ბრალდებულის გრიგოლ ხურცილავას საქმის სასამართლო გამოძიებითაა დაკავებული. ერთი სიტყვით, ხათუნა ჩხაიძის საჩივარი, რომელმაც უკვე ბევრი ინსტანცია მოიარა, მოსამართლე ნანა გუგუნაშვილმა იმავე პროცესზე უნდა განიხილოს, რომელზეც სანაიას მკვლელობაში ბრალდებულის საქმეს განიხილავს.

უზენაესი სასამართლოს ამ გადაწყვეტილებით, გენერალური პროკურატურის წარმომადგენელი გუშინ კმაყოფილიც იყო და უკმაყოფილოც. პროკურორ ნუგზარ სადრაძის უკმაყოფილება



*ხათუნა ჩხაიძე მოსამართლის გადაწყვეტილებით უკმაყოფილოა.*

გამოიწვია იმან, რომ უზენაესმა სასამართლომ თავი აარიდა გენერალური პროკურატურის მიერ დასმული საკითხების განხილვა-შეფასებას ანუ პროკურატურის მოთხოვნა - სასამართლოს საერთოდ არ მიეღო წარმოებაში ხათუნა ჩხაიძის საჩივარი - არ დაკმაყოფილდა. რაც შეეხება საჩივრის გაგზავნას გლდანი-ნაძალადევის რაიონულ სასამართლოში იმავე მოსამართლესთან, რომელიც მკვლელობის საქმეს იხილავს, პროკურორი ამით კმაყოფილი დარჩა. **"ასეთი საქმის განხილვის პრეროგატივა მხოლოდ იმ სასამართლოს გააჩნია, რომელიც გიორგი სანაიას მკვლელობის საქმეს განიხილავს",** – აცხადებს გენერალური პროკურატურის წარმომადგენელი.

გიორგი სანაიას მეუღლე კი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსზე დაყრდნობით აცხადებს, რომ უზენაესმა სასამართლომ უკანონო გადაწყვეტილება მიიღო. **"კანონის მიხედვით, ჩემი საჩივრის განხილვის უფლება, რომლითაც მე გამოძიებას ვუჩივი საქმის დარღვევებისა და ტენდენციურად გამოძიების გამო, იმავე მოსამართლეს არ გააჩნია, რომელიც მკვლელობის საქმეს განიხილავს. მე გენერალურ პროკურატურას და მის გამომძიებლებს ვუჩივი. რადგან გენერალური პროკურატურა ტერიტორიულად მთაწმინდა-კრწანისის რაიონს ექვემდებარება, სწორედ ამ რაიონის სასამართლოსთვის უნდა გადაეცა უზენაეს სასამართლოს ჩემი საჩივარი განსახილველად",** – ასეთია დაზარალებულის პოზიცია, რომელსაც ჯერ გადაწყვეტილი არა აქვს, ჩაერთვება თუ არა გრიგოლ ხურცილავას საქმის სასამართლო განხილვაში, რომელსაც პროტესტს უცხადებს და სადაც, უზენაესი სასამართლოს გუშინდელი გადაწყვეტილებით, მისი საჩივარიც უნდა განიხილონ.

რაც შეეხება გრიგოლ ხურცილავას სასამართლო პროცესს, ის დღეს განახლდება და იძულების წესით მიყვანილ მოწმეს - განსასჯელის მეგობრის მალხაზ ხვედელიანის სიმამრს დაკითხავენ. გამოცხადდებიან თუ არა სასამართლოში პროკურორების მიერ დასაკითხად გამოძახებული დამატებითი მოწმეები, ჯერჯერობით, უცნობია.

# ქართველთა გენოციდის საქმის განხილვამდე საერთაშორისო სამართლებრივი პროცედურებია გასავლელი

ინგა ალავიძე

**"აფხაზეთის ლეგიტიმურმა ხელისუფლებამ პროგრამა-მაქსიმუმი შეასრულა. ჰააგის სისხლის სამართლის საქმეთა მუდმივმოქმედი სასამართლოდან საქართველოში ჩამოვა პროკურორი, რომელიც ადგილზე გაეცნობა აფხაზეთში ჩადენილ დანაშაულთა მასალებს,"** – განაცხადა ჰააგიდან დაბრუნებულმა აფხაზეთის იუსტიციის მინისტრმა პაატა დავითაიამ და დელეგაციის ვიზიტის შედეგი - ჰააგის სასამართლოდან გუშინ მიღებული წერილის დემონსტრირება მოახდინა.

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინ აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების დელეგაციამ ჰააგის სასამართლოს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტში შეიტანა განაცხადი 1992-2003 წლებში აფხაზეთში ქართველთა გენოციდის თაობაზე სასამართლო გამოძიების ჩატარების მოთხოვნით.

**"ჰააგის საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს წარვუდგინეთ ანოტაცია - აფხაზეთში დახვრეტილი 10 ათასი ქართველის სია, საქართველოს გენერალური პროკურატურის დასკვნა და ასევე ინგლისურ ენაზე თარგმნილი გენოციდის დამადასტურებელი სხვა მასალები. სასამართლოს წევრები ჩვენს მიერ მიწოდებული ინფორმაციით შოკირებულ-**



*პაატა დავითაია*

**ნი იყვნენ,"** – განაცხადა პაატა დავითაიამ, რომლის ინფორმაციითაც, გუშინ აფხაზეთის იუსტიციის სამინისტრომ ჰააგის სასამართლოს კანცელარიიდან თანხმობა მიიღო, ანუ საერთაშორისო ტრიბუნალმა აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების უმაღლესი საბჭოს განაცხადი რეგისტრაციაში გაატარა. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჰააგის სასამართლომ ქართველთა გენოციდის საქმის განხილვა დაიწყო. მანამდე საკმაოდ რთული სამართლებრივი პროცედურაა გასავლელი. საქმე ისაა, რომ სასამართლო განიხილავს მხოლოდ იმ დანაშაულებს, რომლებიც რომის სტატუტთან რატიფიცირებულ ქვეყანაში მოხდა. ჯერჯერობით, იმ 84 ქვეყანას შორის, რომლებიც 1998 წელს, საერთაშორისო სასამართლოს შექმნისას, რომის სტატუტის წევრი ქვეყნები გახდნენ, საქართველო არ არის. შესაბამისად, ჰააგის სასამართლოს მიერ საქმის განხილვის პროცედურა მხოლოდ მას შემდეგ დაიწყება, რაც საქართველოს პარლამენტი რომის სტატუტის რატიფიცირებას მოახდენს.

გარდა ამისა, არის კიდევ ერთი სამართლებრივი ბარიერიც. მას შემდეგ, რაც საქართველო რომის სტატუტის წევრი ქვეყანა გახდება, საერთაშორისო სასამართლოს პროცედურის შესაბამისად, საქართველოში ჰააგიდან უნდა ჩამოვიდეს პროკურორი, რომელმაც "შემთხვევის ადგილზე" პირადად უნდა ჩაატაროს გამოძიება და მომჩივანი ქართული მხარის მიერ მიწოდებული ფაქტების მამტკიცებელი მასალა მოიპოვოს. საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შემდეგ პროკურორი გადაწყვეტს, მიიღოს თუ არა საერთაშორისო სასამართლომ საქმე განსახილველად.

ერთი სიტყვით, მართალია, საერთაშორისო სასამართლომ აფხაზეთის უზენაესი საბჭოს განაცხადი მიიღო, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქართველთა გენოციდის საქმის გამოძიება დაიწყო. ერთიცაა, გუშინ აფხაზეთის იუსტიციის სამინისტროში ჰააგიდან ჩამოსულ წერილში პირდაპირ წერია, რომ საერთაშორისო სასამართლო განიხილავს მხოლოდ სასამართლოს შექმნის მომენტიდან ანუ 2002 წლის 1 ივლისის შემდეგ მომხდარ დანაშაულებს. მასალები კი, რომელიც ქართულმა მხარემ ჰააგაში ჩაიტანა გენერალური პროკურატურის 200-ტომიანი საქმის ნაწილია და 1992-1998 წლებში აფხაზეთში განხორციელებულ ქართველთა გენოციდს ეხება. მიუხედავად სასამართლოს ამ კატეგორიული მოთხოვნისა, პაატა დავითაია დარწმუნებულია, რომ ქართული კომისიის მიერ შეგროვებულ მასალებს ჰააგელი პროკურორი მტკიცებულებად მიიღებს.

# ასამართლებენ გაუპატიურებაში ბრალდებულ პოლიციელს

პირველი გვერდიდან

როგორც საქმის მასალებიდან ჩანს, მახარაშვილის მიერ მ.კ-ს გაუპატიურებიდან სამი დღის განმავლობაში პოლიციის თანამშრომლებს დანაშაულზე რეაგირება არ მოუხდენიათ. ამიტომ დაზარალებული და მისი დედა – თ.კ. (გასაგები მიზეზების გამო დაზარალებულთა გვარის და სახელის მოხსენიებისგან თავს ვიკავებთ) იძულებულნი გამხდარან დახმარებისთვის ეკლესიის წარმომადგენლისთვის - მამა იოანე გივიშვილსთვის მიემართათ, რომელმაც, თურმე, განყოფილების პოლიციის უფროსს დაურეკა, პოლიციელის მიერ ჩადენილი დანაშაულის შესახებ კიდევ ერთხელ აცნობა და დედა-შვილისთვის ყურადღების მიქცევა სთხოვა.

მართალია, მეექვსე განყოფილების თანამშრომლები მოგვიანებით თავს იმართლებდნენ, დაზარალებულს დანაშაულის შესახებ ოფიციალური განცხადებით არ მოუმართავსო, მაგრამ "კანონი პოლიციის შესახებ" მათ ავალდებულებდათ, რეაგირება სიტყვიერ განცხადებაზეც მოეხდინათ, რაც, რატომღაც, არც გახსენებიათ. სხვათა შორის, ამის გამო შსს-ს გენერალურმა ინსპექციამ ორი პოლიციელი დააქვეითა კიდეც. მაგრამ ამ დროს პოლიციელის მხრიდან გაუპატიურების საქმეში უკვე ჩართული იყო სახალხო დამცველის აპარატი.

დაზარალებულმა ისანი-სამგორის პროკურატურას განცხადებით 22 ივლისს მიმართა. მეორე დღესვე მას სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა ჩაუტარდა, რამაც დაადასტურა გაუპატიურების ფაქტი. თუმცა, ფაქტის ხანდაზმულობის გამო, ბევრ დეტალზე პასუხის გაცემა ბოლომდე ვერ მოხერხდა.

გამოძიების მასალების თანახმად, დაზარალებულის დედას ახლობელმა



*განსასჯელი პოლიციელის სასამართლო პროცესი.*

ლალი მამაიაშვილმა პოლიციელი ზურაბ მახარაშვილი გააცნო და დაჰპირდა, ბინის მიღებაში დაგეხმარებაო, რასაც საერთო საცხოვრებელში მცხოვრები თ.კ ძალიან გაუხარებია.

ახალგაცნობილი პოლიციელი ერთ საღამოს თავის უფროსს შვილის წამლის საყიდლად ერთი საათით დაეთხოვა, მაგრამ აფთიაქის ნაცვლად ჯერ მამაიაშვილთან მივიდა, შემდეგ კი ორივე თ.კ.-ს ეწვივნენ. მასპინძელი სტუმრებს ყავით გამასპინძლებია და უცნობი პოლიციელის გასაცნობად მძინარე შვილი გაუღვიძებია. ცოტა ხნის შემდეგ მამაიაშვილს უთხოვია, დაბადების დღეზე მივდივარ და შენი შვილი გამაყოლეო. თ.კ-ს სტუმრისთვის უარი არ უთქვამს .

დაახლოებით ღამის 11 საათზე პოლიციელს მამაიაშვილი და მ.კ. ვინმე მაია დევდარიანთან მიუყვანია და დიასახლისისთვის გაუცვნია – ჩემი დაქალები არიანო. "მაშინ მივხვდი, რომ რაღაცას მატყუებდნენ, მაგრამ გვიანი იყო და წამოსვლა ვერ გავბედე," – წერს ჩვენებაში მ.კ.

სტუმრებმა დილის ხუთ საათამდე იქეიფეს, შემდეგ კი თბილისის ზღვაზე გაისეირნეს. უკან რომ დაბრუნდნენ, დაინახეს, რომ თ.კ. გზაზე იდგა, მაგრამ პოლიციელს მანქანა მოშორებით გაუჩერებია, მამაიაშვილი ჩამოუსვია და სვლა დიდი სიჩქარით გაუგრძელებია. შეშინებული დედა მამაიაშვილს დაუმშვიდებია – მახარაშვილს უნდა, რომ შენი შვილი ცოლად შეირთოს და კახეთში წაიყვანაო. მომხდარის შესახებ დედა პოლიციას დაკავშირებია და გატაცებული შვილის მოძებნა უთხოვია.

ამასობაში ზემდეგს მ.კ. ალექსეევკის დასახლებაში მიუყვანია. "მახარაშვილი მთხოვდა, მანქანიდან გადავსულიყავი, რაზეც უარი ვუთხარი. მერე მოვიდა, თავში ხელი ჩამარტყა და ძალით გამაუპატიურა. ბოლოს კი დამემუქრა, დედაშენს არაფერი უთხრაო".

დაახლოებით დილის შვიდ საათზე პოლიციელმა მსხვერპლი მამაიაშვილის სახლში მიიყვანა, სადაც დედა უცდიდა. ამასობაში იქ მახარაშვილის კოლეგებიც მისულან და დედა-შვილი განყოფილებაში წაუყვანიათ. როგორც თ.კ. აღნიშნავს, შვილის გაუპატიურების შესახებ მას მაშინვე განუცხადებია და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დანიშვნა მოუთხოვია, მაგრამ პოლიციელებს რეაგირება არ მოუხდენიათ და დაზარალებულები სახლში მიუყვანიათ.

დანაშაულის ჩადენის შემდეგ მახარაშვილი სამსახურში აღარ გამოცხადებულა. სამაგიეროდ, დაზარალებულთან პოლიციელის ახლობლები მისულან და დედა-შვილს მუქარით და დაპირებებით აიძულებდნენ, პროკურატურიდან განცხადება გამოეტანათ.

მიუხედავად მრავალმხრივი წინააღმდეგობისა, გაუპატიურებაში ბრალდებული პოლიციელის საქმეს დღეს სასამართლო განიხილავს. თუმცა, რამდენად გაიზიარებს მართლმსაჯულება გამოძიების მიერ შეკრებილ მტკიცებულებებს, წინასწარ ძნელი სათქმელია. მახარაშვილი და მისი მომხრენი, ალბათ, სასამართლოზე კიდევ ერთხელ შეეცდებიან, დაამტკიცონ პოლიციელის უდანაშაულობა. არადა, გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებაში მახარაშვილი აღიარებს მ.კ-სთან სქესობრივ კავშირს, თუმცა მოძალადედ საკუთარ თავს კი არა, 20 წლის გოგონას ასახელებს.

# სემინარი პანკისის ხეობით დაინტერესებული დიპლომატებისთვის

ხათუნა ჯანგირაშვილი

პანკისის ხეობაში სიმშვიდის შენარჩუნება, ადგილობრივი და ლტოლვილი მოსახლეობის უსაფრთხოებაზე ზრუნვა, მათი საკვებით მომარაგება და მათთვის სამედიცინო დახმარების დროულად გაწევა – ეს ის თემებია, რომლებზეც გუშინ, სასტუმრო "მერიოტში" საუბრობდნენ.

ინგლისური არასამთავრობო ორგანიზაცია "ლინქსისა" და ქართული "ევროპული სახლის" მიერ გამართულ სემინარს თითქმის ყველა ქვეყნის დიპლომატიური წრეების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. "ხეობაში ამჟამად მდგომარეობა სტაბილურია და სერიოზული კრიმინალური დაჯგუფებები თუ ტერორისტები იქ აღარ იმყოფებიან, ეს სტაბილურობა უნდა შენარჩუნდეს", - განუცხადა ევროსაბჭოს პოლიტიკურ წარმომადგენლებსა და სემინარის სხვა მონაწილეებს ქვეყნის უშიშროების საბჭოს თავმჯდომარემ თედო ჯაფარიძემ, რის შემდეგაც ერთდღიანი სემინარის ორგანიზატორებმა, დამსწრეებმა და მომხსენებლებმა დახურულ კარს მიღმა ამჯობინეს პანკისის პრობლემებზე საუბარი.

ჩვენი ინფორმაციით, დახურულ სემინარში სახალხო დამცველიც მონაწილეობდა და, ძირითადად, პანკისში ადამიანების უფლებების დარღვევებსა და ექსტრადიციის საკითხებს შეეხო. გასაიდუმლოებულია ქვეყნის უშიშროების მინისტრის ვალერი ხაბურძანიას მოხსენება, რომელიც, ჩვენი ინფორმაციით, პანკისის ხეობაში მოვლენების შემდგომ განვითარებასა და აქამდე იქ ჩატარებული ანტიკრიმინალური და ანტიტერორისტული ოპერაციების შედეგებს მიეძღვნა. როგორც გავარკვიეთ, საუბარი იყო დაახლოებით ოცამდე ოდიოზური ფიგურის პანკისის ხეობაში გამოჩენაზეც. კონკრეტულად ვინ იგულისხმება "ოდიოზურ ფიგურებში," პრესისთვის უცნობი დარჩა.

**"ვინაიდან პანკისის თემა უკვე გლობალური მასშტაბისაა, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები ერიდებიან ხეობასთან დაკავშირებული პოლიტიკური განცხადებების გაკეთებას",** - ასე აგვიხსნა სემინარის დახურულ კარს მიღმა ჩატარების მიზეზი შეკრების ორგანიზატორმა მამუკა დოლიძემ. მისივე განცხადებით, სემინარის მიზანი მსოფლიოს მასშტაბით საქართველოს შელახული იმიჯის გამოსწორება გახლდათ. **"რეალური და შედეგიანი ნაბიჯები, რაც საქართველომ პანკისის პრობლემის მოგვარებასთან დაკავშირებით გადადგა, ცნობილი უნდა გახდეს საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის. სხვათა შორის, ევროსაბჭოს პოლიტიკური წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ საქართველომ რეალურად შეასრულა ვალდებულებები, როცა საკუთარ ქვეყანაში დევნილები დაასახლა. მათივე შეფასებებით, ლტოლვილების შეფარება საქართველოსთვის კარგი კრედიტია, რომელიც ისევ ქვეყანას გამოადგება",** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას მამუკა დოლიძემ, რომელიც მიიჩნევს, რომ მსგავსი ფორმატით სემინარები ხშირად უნდა ჩატარდეს. "ეს იყო კონსტრუქციული დიალოგი ისეთ პრობლემატურ თემაზე, როგორიც პანკისია. მსგავსი შეხვედრა ჯერ არ ჩატარებულა. ყველა მხარე ერთად დაჯდა და პანკისის პრობლემის ყველა დეტალის განხილვა მოხდა. ამ ყველაფრის შედეგი კი ის გახლავთ, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებმა გუშინვე შემოგვთავაზეს და გვიმზადებენ კიდეც საკმაოდ სერიოზულ, გასათვალისწინებელ და ჩვენთვის მისაღებ რეკომენდაციებს", - სემინარის მონაწილეები ასეთ, ერთმანეთის მსგავსი შინაარსის შეფასებებს აძლევენ ევროსაბჭოს პოლიტიკურ წრეებთან გამართულ გუშინდელ შეხვედრას.

## მოკლედ

**თბილისი.** ქართველ პარტიზანთა ერთ-ერთი ლიდერი, გალის გამგებლის მოადგილე დავით შენგელია პოლიტიკურ მოტივებს უკავშირებს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში პრეზიდენტის რწმუნებულის ბონდო ჯიქიას ვაჟის - ზაზა ჯიქიას გატაცებას. შენგელიას განცხადებით, ზაზა ჯიქიას ბიზნესთან არაფერი აკავშირებს.

შენგელია არარეალურად მიიჩნევს გატაცებული ზაზა ჯიქიას აფხაზეთის ტერიტორიაზე შესაძლო ყოფნას. „არც ბონდო ჯიქიას შვილს და არც თავად ჯიქიას აფხაზეთში ისეთი რამ არ გაუკეთებიათ, რომ აფხაზებმა ჯიქიების ოჯახზე ინადირონ," – აცხადებს დავით შენგელია. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა თენგიზ კიტოვანმა განაცხადა, რომ მის ხელთ არსებული ინფორმაციით, ჩეჩენი საველე მეთაურის რუსლან გელაევის რაზმის წევრებმა პანკისის ხეობიდან რუსეთთან მოსაზღვრე საქართველოს სხვა რეგიონებში, კერძოდ, ფშავ-ხევსურეთში გადაინაცვლეს. მან განაცხადა, რომ თავად რუსლან გელაევი ხშირად ჩადის ამ რეგიონებში. თენგიზ კიტოვანმა ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ ამ დღეებში საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს თანამშრომლებმა ხევსურეთში, სოფელ ბარისახოს მახლობლად, იარაღის სამალავი აღმოაჩინეს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ნარკოტიკების უკანონო მოხმარების ბრალდებით დააკავეს კიდევ ორი "კანონიერი" ქურდი. მთაწმინდა-კრწანისის რაიონის პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ მყოფი დამნაშავეთა სამყაროს ერთ-ერთი ავტორიტეტი ჯამბულ აგაევი, რომელიც სასამართლომ 102 ლარით დააჯარიმა.

გლდანი-ნაძალადევის რაიონის პოლიციის თანამშრომლებმა კი დააკავეს, ასევე ქურდული ტრადიციების მატარებელი, მრავალჯერ ნასამართლევი, 30 წლის იგორ აფანასევი, რომლისგანაც 0,1 გრამი ჰეროინი ამოიღეს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ზუგდიდის საავადმყოფოშია მოთავსებული და მძიმე მდგომარეობაში იმყოფება გალის რაიონის სოფელ ზემო ბარღების მკვიდრი, 21 წლის ომარ კაკულია. 16 მარტს, გალის რაიონის სოფელ ზემო ბარღებში, რამდენიმე შეიარაღებულმა პირმა "ბელარუსის" ტიპის ტრაქტორში მჯდომ ლექსო შარიასა და ომარ კაკულიას ტრაქტორის გაჩერება მოსთხოვა. შარია და კაკულია მათ ბრძანებას არ დაემორჩილნენ, რის შემდეგაც მათ ცეცხლი გაუხსნეს. ლექსო შარია თავდასხმის შედეგად დაიღუპა, ხოლო კაკულია მძიმედ დაიჭრა და იგი ზუგდიდის საავადმყოფოში გადაიყვანეს. ნიღბიანმა ტერორისტებმა შარიასა და კაკულიას 150 ლარი წაართვეს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ინვალიდობის გამო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დარღვევისთვის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას ითვალისწინებს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების კანონპროექტი, რომელიც იუსტიციის სამინისტრომ მოამზადა. სისხლის სამართლის კოდექსში მსგავსი მუხლი დღემდე არ არსებობს.

კანონპროექტის თანახმად, ინვალიდის უფლებების შემზღუდველი დაისჯება ჯარიმით - 3 წლამდე თავისუფლების შეზღუდვით ან 3 წლამდე პატიმრობით.

თუ პირის მიერ ეს ქმედება ჩადენილია: სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით; არაერთგზის; ძალადობისა და მუქარის გამოყენებით, მაშინ მას დასჯიან 5 წლამდე თავისუფლების შეზღუდვით ან 5 წლამდე პატიმრობით. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** იუსტიციის სამინისტროს მიერ შემუშავებული კანონპროექტით, სისხლის სამართლის კოდექსს ახალი 142 პრიმა მუხლი — „რასობრივი დისკრიმინაცია" დაემატება. ამ დანაშაულისთვის 3 წლამდე პატიმრობაა გათვალისწინებული. თუ დანაშაული ჩადენილია სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით, ან ისეთი ძალადობის გამოყენების მუქარით, თუ დამნაშავემ გამოიყენა სამსახურებრივი მდგომარეობა, ან პირთა ჯგუფთან ერთად ჩაიდინა დანაშაული, მას 5 წლამდე პატიმრობა ემუქრება. სასჯელი ათ წლამდე დამძიმდება იმ შემთხვევაში, თუ ქმედებამ ადამიანის სიკვდილი ან სხვა მძიმე შედეგი გამოიწვია. კანონპროექტი განსახილველად სახელმწიფო კანცელარიამ პარლამენტში გააგზავნა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დირექტორის მოადგილემ მარკუს ჯაგერმა და უმაღლესი კომისრის პირადმა წარმომადგენელმა ჯონ დალჰაუზენმა იუსტიციის მინისტრის მოადგილესთან - კახა კობერიძესთან და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარესთან - პაატა მხეიძესთან შეხვედრისას საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობაზე ისაუბრეს. სტუმრებმა თბილისის მე-5 საპყრობილე მოინახულეს და განაცხადეს, რომ ასეთ პირობებში ადამიანის უფლებების დაცვაზე საუბარი ზედმეტია. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ფონიჭალის ტერიტორიაზე მომხდარი ავტოკატასტროფის შედეგად სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2"-ის ყოფილმა თანამშრომელმა ნინო მეტრეველმა ფუძის ძვლის მოტეხილობა მიიღო და ამჟამად უმძიმეს მდგომარეობაში საავადმყოფოშია მოთავსებული. ავარია ფონიჭალაში, რესტორან "ცისფერის" ტერიტორიაზე მოხდა. ავტომანქანა "ჯიპი" შეეჯახა"ლენდროვერს", რომელსაც საჩხერის ბატალიონის მეთაურის მამუკა წკრიალაშვილის მძღოლი, კაპრალი ლევან მოსიაშვილი ნასვამ მდგომარეობაში მართავდა. ავტომანქანაში იმყოფებოდა ასევე თავად ბატალიონის მეთაური და ოფიცერი ავთანდილ ჭილლაძე, რომელმაც სხეულის დაზიანება მიიღო. მოსიაშვილი და წკრიალაშვილი არ დაშავებულან. მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით სამხედრო პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმე აღძრა. **ინტერ-პრესი**

## როგორ მივაჩვიოთ ლეკვი სისუფთავეს



როგორც ბევრ სხვა შემთხვევაში, აქაც ლეკვის თანდაყოლილი ინსტინქტების გათვალისწინებით უნდა ვიმოქმედოთ. გარეული ცხოველი არასოდეს სვრის თავის ბუნაგს. ეს თვისება წინაპრებისაგან ძაღლსაც გადმოეცა.

შესასრულებლად ცოტა რთულია, მაგრამ უტყუარი მეთოდი არსებობს - ეს არის, რამდენიმე დღე განუწყვეტლივ ლეკვთან სახლში ყოფნა მოგიწევს.

10-12 კვირის (სამ თვემდე) ლეკვი უნდა დავაბათ მოკლე ჯაჭვით (რათა საბელის გადაღრღნა ვერ შეძლოს) თავის ადგილას, რის შემდეგაც ყოველ ორ საათში სისტემატურად გავიყვანოთ ეზოში. ზოგს ეს მეთოდი მეტისმეტად მკაცრად მიაჩნია - ცოდვაა დაბმული ლეკვი, ვეღარ გაირბენ-გამოირბენს და გაინავარდებსო! ამიტომ ჯაჭვი თანდათან უნდა დავაგრძელოთ, რითაც ლეკვის „ტერიტორია" გაიზრდება; თავისთავად ცხადია, ყოველი გასეირნების შემდეგ ლეკვს საშუალება უნდა მივცეთ, რაც შეიძლება დიდხანს იცელქოს და ითამაშოს. სამი-ოთხი დღე და ლეკვი თავად მოითხოვს გარეთ გაყვანას. ასეთი ხერხით სულ მოკლე ხანში მიეჩვევა სისუფთავეს.

ვთქვათ, შინდაბრუნებულს უსიამო სურათი დაგხვდათ - ძაღლს იატაკი და ხალიჩა გვარიანად „მოულამაზებია". არავითარი აზრი არა აქვს, გვერდები გავუწურთოთ ან ცხვირი წავაყოფინოთ თავის „ნამოქმედარში". ლეკვი, უბრალოდ, ვერაფერს გაიგებს და მხოლოდ დაშინდება, პატრონისადმი ნდობას დაკარგავს. სხვა საქმეა, თუ წავასწრებთ და ცოტას წამოვარტყამთ კიდეც სწორედ „დანაშაულის" ჩადენის მომენტში, მერე ტუქსვა-ტუქსვით სასეირნოდ გავიყვანთ. მაგრამ, გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ამას ძალიან იშვიათად მოვახერხებთ, ხოლო რამდენიმე წამით დაგვიანებაც კი უკვე სათანადო ზემოქმედებას ვეღარ ახდენს.

ზოგჯერ ისეთი ძაღლებიც გვხვდება, დიდ საქმეს ქუჩაში რომ მოითმენენ და პატრონის შინ დაბრუნებას ელოდებიან, თითქოს ჯინაზე (როგორც პატრონს ჰგონია), ოთახში ასველებენ ყველაფერს - ხალიჩა იქნება თუ იატაკი.

ამ შემთხვევაში საგულდაგულოდ გავწმინდოთ მოსველებული ადგილი კალიუმპერმანგანატის ხსნარით (ან ფორმალინით). ლეკვი ჯაჭვით დავაბათ თავის ადგილას და გავაგრძელოთ მისი ქუჩაში გაყვანა ყოველი ორი საათის ინტერვალით. კარგი იქნება, ეზოში, სადაც ლეკვს [illegible] მაშინ ლეკვიც სწორედ იქ მოისაქმებს და არა სხვაგან სადმე.

საერთოდ, ძაღლი მუდამ ერთსა და იმავე ადგილას უნდა გავიყვანოთ, შევაქოთ და რაიმე სასუსნავიც მივცეთ. ამით ერთ ადგილს მიეჩვევა და ყოველთვის იქ იზამს. ძაღლს ეს ყველაფერი შეიძლება „ბრძანებითაც" შეასწავლოთ. როცა ჩაცუცქულია, ყოველთვის რაღაც გარკვეული სიტყვა უმეორეთ (მაგალითად, „მორჩი საქმეს!") [illegible]

ვისაც საშუალება არა აქვს, 12 კვირის ლეკვი ყოველ ორ საათში გაიყვანოს გარეთ, ხოლო როცა მოიზრდება - დღეში ექვსჯერ, შემდეგ კი ოთხჯერ გაასეირნოს, იმან არავითარ შემთხვევაში არ უნდა დააბას ლეკვი თავის ადგილას. ეს იქნება უდიდესი შეცდომა. ამით ძაღლს პირიქით, გავაფუჭებთ; ვინაიდან ლეკვს არ შეუძლია მოთხოვნილების შეკავება და იგი აუცილებლად დასვრის თავის სამყოფელს. ერთი-ორი ასეთი მარცხი და უკვე ძალზე ძნელია გადაჩვევა.

შეიძლება ასეც მოვიქცეთ - ერთი თვის ლეკვს პირდაპირ მისი სამყოფელის წინ დავუდგათ დაბალგვერდიანი ყუთი და შიგ სამ სანტიმეტრამდე მიწაარეული სილა ჩავუყაროთ. კიდევ უფრო უკეთესი იქნება, თუ თივასაც ჩავუფენთ. თუ რამდენიმე დღის განმავლობაში, გავლიძების ან ჭამის შემდეგ (დედის ძუძუ იქნება თუ ჩვენ მიერ მიცემული საკვები), ლეკვს ჩავსვამთ ხოლმე ამ ყუთში, სულ მალე იგი უკვე თვითონვე დაიწყებს მხოლოდ „ტუალეტში" შესვლას და იქ მოსაქმებას. ყუთი თანდათან უნდა გადავაადგილოთ, უფრო და უფრო მოვაშოროთ ლეკვის საძინებელს; ხოლო როდესაც ძაღლი 6-7 თვის გახდება, უკვე მეზობელ ოთახში ან აივანზე უნდა გავიტანოთ, მაგრამ მთლიანად არასოდეს გამოვცვალოთ შიგ არც სილა და არც თივა, შარდის სუნის შენარჩუნების მიზნით. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ყუთი გავრეცხოთ რაიმე მადეზინფიცირებელი საშუალებით, ეს მეტისმეტად არ სიამოვნებს ლეკვს და ამის შემდეგ ყუთს საერთოდ აღარ გაეკარება. მხოლოდ გზა შეიძლება გაიწმინდოს - მადეზინფიცირებელი საშუალებით ლეკვის სამყოფლიდან ყუთამდე. აღზრდის ასეთი მეთოდი გამართლებულია, ვინაიდან იგი ემყარება პირუტყვის ინსტინქტს - სუფთად შეინახოს თავისი ბუნაგი და ადგილსამყოფელი.

ზოგიერთი პატრონი ცდილობს, ცოტა აჭამოს ძაღლს საღამოობით, ვითომ უფრო ადვილად მოითმენს დილამდეო. ესეც დიდი შეცდომაა, ამით ლეკვი სისუფთავეს ვერ მიეჩვევა. ნორმალურად განვითარებული და კარგი, ჯანსაღი ლეკვის გასაზრდელად თანაზომიერი კვებაა საჭირო. ლეკვისათვის ექვს თვემდე ყველაზე დიდი სარგებლობა სწორედ ბოლო, ძილისწინა დანაყრებას მოაქვს, ვინაიდან საკვები ყველაზე უკეთესად ხანგრძლივი ძილის დროს გადამუშავდება.

ლეკვი (ან ძაღლი) თუ ავადაა, ალბათ, უფრო ხშირად მოგვიწევს მისი გარეთ გაყვანა - ყოველი საჭიროების დროს. შეიძლება, იგივე ყუთიც დავუდგათ.

*წიგნიდან „ძაღლების წვრთნა და გეშვა"*

# მდევრის მუშაობის ძირითადი ელემენტები

დათო ცხვედიანი

უკანასკნელ წლებში სუფთა სისხლის მდევრების რაოდენობა იზრდება, რეგულარულად ტარდება საველე გამოცდები, გვყავს დიპლომირებული ძაღლებიც, მაგრამ მაინც ბევრი, მოყვარული მონადირე, განსაკუთრებით, ახალგაზრდობა, საველე გამოცდებზე მდევრის გამოყვანისაგან თავს იკავებს, რადგან მათი უმრავლესობა ჯერ კიდევ კარგად ვერ ერკვევა მდევრის მუშაობის ძირითად ელემენტებში და კრიტერიუმებში, რითაც ის ფასდება. ამის ცოდნის გარეშე მდევრის სწორად დაგეშვა, საველე გამოცდებზე წარმატებით გამოსვლა, შემდგომში კი შედეგიანი ნადირობა წარმოუდგენელია. დავახასიათოთ ეს ელემენტები.

**გასვლა,** გარდა ნადირის ენერგიული ძებნისა, ძებნის სტილს, მის მასშტაბებს და დამოუკიდებლობასაც აღნიშნავს. გასვლა გააზრებული უნდა იყოს: გზების, ტყის პირებისა და ახოების გასწვრივ მდევრის უსისტემო, თუნდაც დაოთხილი სვლა დაუშვებელია. მისაღებია ოდნავ შენელებული ტემპით ძებნა, მაგრამ არა - უთავბოლოდ სირბილი, როცა ნადირის წამოგდება შემთხვევით ხასიათს ატარებს.

კურდღელზე ნადირობისას საუკეთესოდ ისეთი **გასვლა** ითვლება, როცა მდევარი მონადირისაგან 400-1000 ნაბიჯზე მისი მოძრაობის მიმართულებით ეძებს და ამოწმებს ყველა საეჭვო ადგილს. რაც შეეხება მელას და ტურას, მდევრის გასვლის მანერა მათზე ნადირობისას განსხვავებული უნდა იყოს, რადგან ეს ცხოველები უმნიშვნელო საეჭვო ხმაურზეც კი იპარებიან და შორ მანძილზე მიდიან; ამიტომ მათზე ნადირობის დროს მდევარს უფრო შორ მანძილზე გასვლა და უფრო დიდი ტერიტორიის დამუშავება ევალება, რადგან მათ უფრო სწრაფად უნდა იპოვონ გამსვლელი კვალი, უნდა მიყვნენ და დროულად წამოეწიონ ნადირს.

**პოვნა.** მდევრისთვის საკმარისი არ არის მხოლოდ შორ მანძილზე გასვლა, ფართო და სწრაფი მანერით ძებნა. აუცილებელია, რომ ყველაფერი ეს ნადირის წამოგდებით დასრულდეს. ამისთვის მას ნადირის პოვნის ისეთი „უნარიც" სჭირდება, როცა მან თითქოს „იცის", სად არის გაყუჩებული ნადირი და უშეცდომოდ აგნებს მას.

**ოსტატობა.** ნადირის წამოგდების შემდეგ მდევარმა უნდა გამოავლინოს კიდევ ერთი აუცილებელი თვისება - ოსტატური დევნის უნარი.

ნადირი რომ იდეალურ წრეებზე ან თუნდაც სწორხაზოვნად შეუჩერებლად გადაადგილდებოდეს, მაშინ მდევრისათვის მხოლოდ ყნოსვა და გადაკიდებული დევნის ჟინი საკმარისი იქნებოდა, მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში ნადირი, განსაკუთრებით კი კურდღელი, აორკვალებს, ასამკვალებს, აკეთებს მარყუჟებს და ბოლოს ინაბება. დაკარგული კვალის გაახლება მდევრისაგან უკვე გარკვეულ ოსტატობას მოითხოვს. ამ შემთხვევაში, გამოცდილების გარდა, მდევარს ალღოც და, რა თქმა უნდა, თავისებური „სიჯიუტეც" ესაჭიროება. კვალის გაახლებაში მდევარს ყნოსვაზე მეტად ოსტატობა, ანუ ნებისმიერ სიტუაციაში სწრაფად გარკვევის უნარი ეხმარება.

ოსტატობის გარეშე კურდღელზე ნადირობა შედეგიანი არასოდეს იქნება. მხოლოდ პირველივე დაორკვალებულებამდე დევნა ნადირობას უაზროს ხდის. რაც უფრო ცოტაა წყვეტილობა (კვალის დაკარგვა 1 წთ-მდე) დევნისას, რაც უფრო სწრაფად იახლებს მდევარი დაკარგულ კვალს, მით უფრო სრულყოფილია მისი ოსტატობა. სწორედ ამიტომ მდევრის ეს თვისება ყველაზე მეტად ფასეულია.

**ყნოსვა.** ნადირის პოვნა და ყნოსვა ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია. დაკარგული კვალის გაახლება ყნოსვის გარეშე წარმოუდგენელია. ყველაზე თვალსაჩინოდ მდევარი ყნოსვას კურდღლის დევნისას გამოავლენს. კურდღელი ხომ, მელასთან და ტურასთან შედარებით, კვალზე ნაკლებად მძაფრ სუნს ტოვებს და ამასთან, ისეთ ადგილებს ირჩევს გადასაადგილებლად, სადაც მდევარს კვალის გატანა უჭირს, მაგალითად, ხრიოკ ადგილებს, სამანქანო გზებს და რკინიგზის ლიანდაგსაც კი. რკინიგზაზე დაბალი ყნოსვის ძაღლებს კვალი, როგორც წესი, მაშინვე ეკარგებათ, ხოლო მაღალი ყნოსვის მქონე მდევრები დევნას აქაც ახერხებენ.

ცნობილია, რომ განაბული კურდღელი უმნიშვნელო სუნს გამოსცემს. ამით აიხსნება ის, რომ მდევრები მას მხოლოდ 5-10 მეტრის მანძილზე ყნოსავენ. კურდღელი გაცილებით მეტ სუნს ტოვებს დევნისას, რადგან საოფლე ჯირკვლები მას თათის ბალიშებში აქვს. ამით აიხსნება ის, რომ მდევრები „საკუთარი" კურდღლის დევნას თავს არ ანებებენ და შემთხვევით წამომხტარი კურდღლის კვალზე არ გადადიან.

მაღალი ყნოსვის მდევარი თავაწეული, ყოველთვის ნიავის საპირისპირო მხარეს, გვერდიდან მიჰყვება კვალს და ადვილად არასდროს კარგავს მას. ასეთ მდევართან ნადირობა უდიდესი სიამოვნების მომტანია.

**გადაკიდება.** ხშირად გადაკიდება და ნადირის ხანგრძლივი დევნის უნარი ერთმანეთში ერევათ, არადა, მათ შორის პრინციპული განსხვავებაა. **გადაკიდებაში** იგულისხმება აზარტული, ბუნებრივი სწრაფვა ნადირისადმი და ასევე დაკარგულ კვალზე მუშაობის ისეთი დაუოკებელი ჟინი, რომელიც ძაღლს აიძულებს, არავითარ შემთხვევაში ყურადღება არ მიაქციოს და არ გაცვალოს „საკუთარი" ნადირი სხვაზე და არ მიატოვოს დაკარგული კვალი ხელმეორედ წამოგდებამდე. მდევარს შეიძლება ასეთი ჟინი ჰქონდეს, მაგრამ ნადირს ხანგრძლივად მაინც ვერ დასდევდეს, რადგან ამისთვის მას სათანადო ყნოსვა და ოსტატობაც სჭირდება. შეიძლება პირიქითაც იყოს, ძაღლს შეიძლება არც ყნოსვა აკლდეს და არც ოსტატობა, მაგრამ არ იყოს გადამკიდე მადევარი, თუ საამისო ჟინი აკლია. სხვა ნადირის კვალზე გადასვლა მხოლოდ იმ შემთხვევაშია გამართლებული, როცა დევნილი ნადირის კვალს სხვა, მისთვის უფრო საინტერესო ნადირის კვალი გადაკვეთს. მაგალითად, კურდღლისას მელა, მელისას კი ტურა ან მგელი. ასეთი გადასვლა მდევრის ღირსებას უსვამს ხაზს.

ისეთ ადგილებში, სადაც ბევრი კურდღელია, ზოგიერთი მდევარი დაკარგავს თუ არა ერთს, მაშინვე მეორეზე გადადის და გაბმული ყეფით გადაკიდებული დევნის ილუზიას ქმნის. ამით, მართალია, თავის პატრონს სიამოვნებას ანიჭებს, მაგრამ ამას გადაკიდებულ დევნასთან საერთო არაფერი აქვს.

**ხმა.** არც ერთი სხვა ჯიშის ძაღლისათვის არ არის დამახასიათებელი ეს თვისება - კვალზე ნადირის დევნა ყეფით. მხოლოდ მდევრის ხმით თუ შეძლებს მონადირე, გაარკვიოს ნადირის ადგილსამყოფელი, ზუსტად განსაზღვროს მისი მოძრაობის მიმართულება და ის ადგილი, სადაც შეიძლება შეიხვედროს იგი. ხმები, რომელსაც მდევარი დევნის დროს გამოსცემს, საკმაოდ მრავალფეროვანია. მდევრები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან არა მარტო ხმის ტონალობით და ტემბრით, არამედ ხმის გამოცემის მანერითაც:

**ბოხი ხმა** - მდევრის დაბალი ბანია, რომელიც ოქტავას უახლოვდება;

**დუდღუნა ხმა** - მდევრის ნაღვლიანი „ტირილია", რომელიც ცხვირში დუდღუნივით ჟღერს;

**„ჩამოღვრილი ხმა"** - ერთი ნოტით კი არ შემოიფარგლება, არამედ იცვლება, გადადის დაბალი ნოტიდან მაღალზე და პირიქით. ასეთი მდევრის ხმა თითქმის საერთოდ არ წყდება და ერთის ყეფა ისე ისმის, თითქოს ერთდროულად რამდენიმე სხვადასხვა ხმის ძაღლი დასდევს;

**ფიგურული ხმა** - დევნის დროს იცვლება დაბალი ტემბრიდან მაღლისაკენ და პირიქით. ასეთი ხმები მეტად მრავალფეროვანია: ერთხმიანი, ორხმიანი, ზარივით წკრიალა, დოღრიალა და სხვა;

**მკვეთრი ხმა** - ხასიათდება ყეფის მაღალი სიხშირით და ჟღერადობით;

**ორდინალური ხმა** - არ არის გამორჩეული დამახასიათებელი თავისებურებებით, თავისი ტონით არასაკმარისად მკვეთრია და ერთფეროვანი;

**ხამუშად მყეფარი** - ისეთი მდევარია, რომელიც ნადირის დევნისას იშვიათად იყეფება და დროის დიდი ინტერვალებით გამომცემს ხმას;

**ზედმეტად მყეფარი** - ისეთი ზედმეტად ფიცხი მდევარია, რომელიც კვალის დაკარგვისას გარკვეული დროის მანძილზე კვლავ აგრძელებს ყეფას;

**ფუჭადმყეფარი („მუსიკოსი")** - ისეთი მდევარია, რომელიც განუწყვეტლივ, წინ და უკან იყეფება ყველა ბილიკზე, დაკარგულ თუ ძველ კვალზე. ფუჭადმყეფარობა ისეთი ნაკლია, რომლის გამოსწორება საერთოდ შეუძლებელია;

**სისწრაფე** ის ტემპია, რომელიც შეუძლია განავითაროს მდევარმა ნადირის დევნის დროს, მაგრამ იგი მხოლოდ მდევრის ფეხმარდობაზე არ არის დამოკიდებული. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მდევრის ყნოსვას, ოსტატობას და ტემპერამენტს.

როგორი მდევარი სჯობს, სწრაფი თუ ნელი? ეს საკითხი ყოველთვის იყო მონადირეთა დავის საგანი. ორივე მხარეს თავისი არგუმენტები აქვს, მაგრამ მაინც შეიძლება იმის თქმა, რომ სწრაფი მდევარი უკეთესია. ნელი ტემპით მდევარი ძაღლების მოყვარულნი თვლიან, რომ ასეთი მდევრის ნადევნი კურდღელი შედარებით ადვილი მოსაკლავია, რადგან იგი მოძრაობს აუჩქარებლად, ხშირად ჩერდება, ყურს უგდებს ძაღლის ხმას და მასზე სროლაც უფრო ადვილია, ვიდრე გიჟივით გამოქცეულზე, რომელსაც სწრაფი მდევრები მოსდევენ. გარდა ამისა, მათი აზრით, კურდღლის ეშმაკობაში გარკვევა ნაბიჯ-ნაბიჯ მოსიარულე მდევარს უფრო ადვილად შეუძლია, ვიდრე სწრაფს გაქანებული ნავარდისას. მართლაც, სწრაფი მდევარი დროებით შეიძლება ასცდეს კიდევაც კვალს, თუმცა გაახლებასაც სწრაფად ახერხებს. ნელ მდევართან კურდღელი ნელა კი მოძრაობს, მაგრამ სამაგიეროდ მეტს აორკვალებს, ამასთან, რადგან ძაღლი შორსა ჰყავს ჩამოტოვებული, ამიტომ დევნის (მდევრის ხმის) მიხედვით მისი მოძრაობის მიმართულება და ადგილსამყოფელი ძნელი მისახვედრია.

სწრაფი მდევრის ნადევნი კურდღელი ნაკლებს აორკვალებს, ძაღლი მას, როგორც წესი, მხოლოდ 50-100 მეტრით ჩამორჩება და ხმის მიხედვით ორიენტაცია გაცილებით ადვილია. შედეგიანი ნადირობა მხოლოდ სწრაფ მდევრებთანაა შესაძლებელი, განსაკუთრებით უცნობ ადგილებში ნადირობის დროს, სადაც ნადირის გადასასვლელი ბილიკები წინასწარ არაა ცნობილი. მაგრამ აქვე აუცილებელია იმის ხაზგასმით აღნიშვნაც, რომ სისწრაფე, თუ კარგ ყნოსვასთან არაა შერწყმული, კვალის ხშირი დაკარგვა მაშინ მართლაც გარდაუვალია. ასეთ შემთხვევებში ამბობენ ხოლმე - „ყნოსვა ფეხს ვერ მისდევსო".

**მორჩილება.** ნადირობის დროს მდევარს მოეთხოვება: თასმით თავისუფალი სიარული, შინაური ცხოველებისადმი გულგრილი დამოკიდებულება, საყვირის ხმაზე სწრაფი რეაგირება და მოსვლა.

აი ეს არის ყველა ის ელემენტი, რომლითაც ფასდება საველე გამოცდებზე. საველე გამოცდების და მისი ჩატარების წესების შესახებ კი მომდევნო სტატიაში ვისაუბრებთ.








# კავკასიური როჭო

შალვა ციხისთავი

საქართველოში გავრცელებულ ფრინველთა შორის როჭოს ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. მიუხედავად იმისა, რომ პალეონტოლოგები ამ ფრინველის ნამარხ ძვლებს პალეოლითის ხანით ათარიღებენ, მეცნიერ-ორნითოლოგებისათვის კავკასიური როჭო მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნის ბოლოდან არის ცნობილი. მეტყევე ლაფ მლოკოსევიჩმა, რომელიც მაშინ დღევანდელი ლაგოდეხის ნაკრძალის ტერიტორიის მეთვალყურედ მსახურობდა, მოიპოვა ამ ფრინველის დედალ-მამალი ეგზემპლარები და შესასწავლად პოლონელ მეცნიერს ტაჩანოვსკის გაუგზავნა სახეობის დასადგენად. ამ უკანასკნელმა ფრინველის ახალი სახეობა აღწერა და მლოკოსევიჩის სახელი უწოდა.

კავკასიური ანუ მლოკოსევიჩის როჭო კავკასიის ენდემია. საქართველოში იგი გავრცელებულია მთავარ კავკასიონის ქედზე, მცირე კავკასიონის სამხრეთ დასავლეთ ნაწილში, გურია-აჭარისა და სპორადულად ქართლ-იმერეთის ქედებზე. ვერტიკალურად ვრცელდება 3000 მეტრამდე ზღვის დონიდან. ალპიური ველები, დეკიანები, ტყის ზედა სარტყელი შეადგენენ როჭოს ძირითად სამყოფელს. ტყის შუა სარტყელში იგი თითქმის არ გვხვდება.

აღსანიშნავია, რომ როჭო ყველაზე მეტი რაოდენობით თავს იყრის ალპურ ველებსა და ტყის ზედა სარტყელში, სადაც ისინი თავს აფარებენ მაღალ ბალახს და ჯუჯა არყის ხით დაფარულ მდელოებს. ამ ფრინველის რიცხოვნობა, მიუხედავად იმისა, რომ ძნელად მისადგომ ადგილებში ბინადრობს, დიდი არსად არ არის. იმ ადგილებში კი, სადაც ზაფხულობით საქონელს აძოვებენ, როჭოს რაოდენობა მეტად მცირეა.

სქესობრივ სიმწიფეს მეორე წელს აღწევს. ბუდეს იკეთებს მიწაზე. ბუდე წარმოადგენს პატარა ჯამისებურ ორმოს, რომელიც ხმელი ბალახითა და ბუმბულით არის ამოფენილი. ბუდე ისეა შეხამებული და დამალული ბალახში, რომ მისი პოვნა თითქმის შეუძლებელია. მაისის ბოლოს - ივნისის დასაწყისში როჭო ათამდე კვერცხს დებს. კრუხობა გრძელდება 20-25 დღემდე. პირველი წიწილები იჩეკებიან ივნისის დასაწყისში. აღსანიშნავია, რომ გამოჩეკვა ძალიან სწრაფად მიმდინარეობს - 3-4 საათის განმავლობაში მართვეები ყველა კვერცხიდან იჩეკებიან და სასწრაფოდ ტოვებენ ბუდეს. აგვისტოს დასაწყისისათვის ახალგაზრდები აღწევენ მშობლების ზომას, სცილდებიან მათ და დამოუკიდებელ ცხოვრებას იწყებენ. შემოდგომის დამლევს ცალკეული ფრინველები ერთიანდებიან და გუნდებად ცხოვრობენ. ამ დროს ისინი იკრიბებიან ტყის ზედა სარტყელში და თოვლის საფარის წარმოქმნის შემდეგ ეშვებიან შედარებით დაბლა, სადაც უფრო ადვილად შოულობენ საკვებს და თავშესაფარს.

როჭო ძირითადად მცენარეულობით იკვებება (ღვიის წიწვი და ნაყოფი, მოცვი, შქერის ფოთლები და სხვ.). ცხოველური საკვები მის რაციონში მეტად იშვიათია.



კავკასიური როჭოს - მამლისა და დედლის შეფერილობა, მკვეთრად განსხვავდება. ზრდასრული მამრი შავი ფერისაა და ოდნავ შესამჩნევი მომწვანო-მოცისფრო ელფერი გადაკრავს ზურგზე, თავზე, ყელსა და მკერდზე. თვალსზემოთ წარბის ძგიდე მუქი წითელია, ნისკარტი შავი აქვს. მდედრი შედარებით მომცროა და მკვეთრად განსხვავებული შეფერადებისაა - მორუხო-მოშავო, მურა ზოლებით. მართვეს სხეული დაფარულია ნაზი მოჩალისფრო-მოყვითალო ბუმბულით.

როჭოზე ნადირობა მეტად სპორტულია - მონადირეს უნდა გააჩნდეს მთაში სიარულის პროფესიული ჩვევები, ჰქონდეს ჯანმრთელი გული და მაგარი მუხლი, ჰყავდეს კარგი ძაღლი და შესანიშნავად ფლობდეს სროლის ტექნიკას. მაგრამ იცოდეთ, როჭო ჩვენი ქვეყნის ფაუნის გამორჩეული წარმომადგენელია, მცირერიცხოვანია და იგი კავკასიის მთელ ტერიტორიაზე ხელშეუხებლად არის გამოცხადებული - შეტანილია წითელ წიგნში.

www.24hours.ge
24 B

ნომრის პერსონა

# ყველანაირად შევეცდები, არ მიაღწიონ იმას, რისთვისაც მამა მოკლეს

*საქართველოს პრეზიდენტის ოჯახი მორიგ სკანდალში გაეხვია. ეს არ ეხება არც მათ მიწისქვეშა, არც მიწისზედა, არც საზღვაო ბიზნესს... ახლა ჰაერის ჯერი დადგა.*
*საჰაერო ბატალიებში ავიაკომპანია „გერმანია“ და „აირზენა“ ჩაერთვნენ. თუმცა, ეს დღეს და გუშინ არ მომხდარა. ქართულ ავიაბაზარზე შემოსვლა „გერმანიამ“ პირველად 1995 წელს სცადა. ავიაკომპანია „ორბს“ ლიზინგით მისცა თვითმფრინავები და რამდენიმე ხანში უკანვე წაიღო - იმ მიზეზით, რომ საქართველოში ეს არ იყო მომგებიანი ბიზნესი. მაშინ კახი ასათიანი სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე იყო და საკუთარი ავიაკომპანიის - „აირზენას“ მენეჯმენტს, უშუალოდ, არ ეწეოდა...*
*უკვე მეოთხე თვეა, ავიაკომპანიაში მის საქმიანობას მისი ქალიშვილი, მაკა ასათიანი განაგრძობს... ავიაკომპანია, რომელიც სულ მალე მესამე „ბოინგის“ პრეზენტაციას აპირებდა, სერიოზული პრობლემის წინაშე დადგა.*

მაია ჭალაგანიძე

- თავიდან გერმანული მხარის შემოსვლა კონფლიქტური არ იყო. გაუგებრობები დემპინგური ფასის გამო დაიწყო. ქვეყანაში შემოსვლისას ნებისმიერი უცხოური ავიაკომპანია მოქმედ ავიაკომპანიებთან კომერციულ ხელშეკრულებას დებს, რითიც ერთმანეთთან ურთიერთობას არეგულირებენ. ხელშეკრულებაში ზუსტად არის გათვალისწინებული ბილეთის ფასი, ფრენის სიხშირე, სავარძლების რაოდენობა. „გერმანია“ ისე შემოვიდა, რომ კომერციულ ხელშეკრულებაზე არავის დალაპარაკებია. საავიაციო დეპარტამენტი ნებართვისთვის საჭირო გარკვეულ დოკუმენტაციას სთხოვდა. მათ ხმაური დაიწყეს - ნებართვას არ გვაძლევენო. თუმცა, დოკუმენტაცია მიიტანეს და, ბუნებრივია, ნებართვაც მოიპოვეს. მაგრამ, მათ არ აქვთ დამტკიცებული ბილეთის ფორმა. მიუხედავად ყველაფრისა, ეს ავიაკომპანია შემოდგომიდან დაფრინავს. „გერმანია“ სალიზინგო კომპანიაა. იგი ტურისტულ თვითმფრინავებს აქირავებს. რეგულარული რეისები ორ ქვეყანაში აქვს - საქართველოსა და პალმა დე მაიორკაში.

**- როდის და რა ფორმით გამოჩნდა პრეზიდენტის მძახლის, ახვლედიანის ოჯახი ამ ბიზნესში?**

- მამა ჯერ კიდევ სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე იყო. მაშინ შეიქმნა ავიაკომპანია „ეარჯორჯია“, სადაც ის ერთ-ერთი მეწილე იყო. „ეარჯორჯია“ ფრანკფურტში დაფრინავდა. ამ ათვისებული რეისით, ორი თვითმფრინავითა და გარკვეული თანხით „ეარჯორჯია“ დამფუძნებლად შემოვიდა უკვე გაერთიანებულ ავიაკომპანია „აირზენაში“. რამდენადაც მამაჩემისგან ვიცი, ისე მოხდა, რომ კომპანიის გაერთიანებისას, გარკვეული მიზეზების გამო, ახვლედიანების შემოსვლა ვერ მოხდა...

**- რით შემოდიოდნენ ახვლედიანები ამ ბიზნესში?**

- ისინი, უბრალოდ, შემოდიოდნენ. წარუმატებელი მცდელობის მიუხედავად „მოღვაწეობა“ ამით არ დაუმთავრებიათ.

დოკუმენტურად არ ვიცი, მაგრამ, ფაქტობრივად, საქართველოში ავიაკომპანია „გერმანიას“ ახვლედიანები წარმოადგენენ. ამის თქმის საფუძველს მაძლევს შემდეგი: ჯერ მოხდა თავდასხმა თამაზ გაიაშვილზე, რომელსაც მისი დისშვილი შეეწირა; მოკლეს კახი... ორი კვირის შემდეგ ახვლედიანები გაიაშვილზე გამოდიან და დაჟინებით და სასწრაფოდ ითხოვენ შეხვედრას. ბატონმა თამაზმა ეს შეხვედრა 40 დღის გასვლის შემდეგ გადაუტანა. შეხვედრა პარიზში შედგა. მათ აბსოლუტურად მიუღებელი წინადადება შემოგვთავაზეს. კერძოდ: შემოგვთავაზეს, დაგვებრუნებინა ჩვენი თვითმფრინავები, სანაცვლოდ თავის თვითმფრინავებს შემოიყვანდნენ და მათი წილი 70 პროცენტი იქნებოდა. ამას გვთავაზობდნენ ჩვენ, ვისაც ათვისებული რეისები, ინფრასტრუქტურა და მრავალი წლის აწყობილი ურთიერთობები გვქონდა... შემოგვთავაზეს მეორე გზაც: თუ ამაზე არ ხართ თანახმა, ავიაკომპანია გაყიდეთო...

**- ისინი გამოცდილი ბიზნესმენები არიან და, ალბათ, იცოდნენ, რომ ეს წინადადება „აირზენასთვის“ მიუღებელი იქნებოდა...**

- წინადადება იმდენად აბსურდულია, რომ სიტყვები არ მყოფნის. სხვა ახსნას ვერ ვპოულობ - უბრალოდ, მოუნდათ და გააკეთეს. ახლა მოუნდათ, რომ „აირზენა“ გააკოტრონ და ამას აკეთებენ...

**- რა ხერხებით ხდება ეს?**

- ძალზე მარტივად. პარიტეტი ასეთია - რამდენსაც იფრენს ქართული მხარე, იმდენი უნდა იფრინოს "გერმანიამ". ჩვენ კვირაში ორი რეისი გვაქვს ფრანკფურტის მიმართულებით. მათ კი ორი რეისი დიუსელდორფის მიმართულებით. ეს ხდება იმიტომ, რომ ბაზარზე ერთმანეთს ხელი არ შევუშალოთ. მოულოდნელად, „გერმანიის“ მხრიდან დეპარტამენტში მიდის წინადადება, რომ მათ ფრანკფურტში კიდევ ორი რეისი სურთ... დეპარტამენტის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ პარიტეტი დაირღვევა და ამის გაკეთება საქართველოს პირობებში არ შეიძლება. ისინი ამბობენ, რომ ბილეთს იაფად გაყიდიან და მგზავრები ეყოლებათ. ანუ, ამით გაჩერდება ქართული ავიაკომპანია. ჩვენ ბილეთის ფასს ვერ დავაგდებთ, რადგან წესიერად ვიხდით ლიზინგის ფულს და ყველა დანარჩენ გადასახადს... მათ ბილეთის ფორმაც არ აქვთ დამტკიცებული.

**- რას შეეხებოდა ავიაკომპანია „გერმანიის“ სარჩელი, რომელიც სასამართლომ დააკმაყოფილა?**

- 3 თებერვალს ავიაციის დეპარტამენტის წინააღმდეგ მათ შეიტანეს სარჩელი, იმის გამო, რომ თითქოს „გერმანიას“ ნებართვას არ აძლევენ. დეპარტამენტი ნებართვას სრულიად კანონიერად არ იძლევა. ირღვევა პარიტეტი. სასამართლოს კი, რომელიც არც კომერციულ ხელშეკრულებას იცნობს და არც პარიტეტს - გამოაქვს განჩინება დაუყოვნებლივი აღსრულების შესახებ და დეპარტამენტს განჩინების გასაჩივრების საშუალებას უტოვებს. პარასკევს საღამოს გამოიტანეს ეს გადაწყვეტილება და ორშაბათ დილას ავიაციის დეპარტამენტში სასამართლო აღმასრულებლები მივიდნენ. წარმოიდგინეთ, ამას უცხოეთის ქვეყნის ავიაკომპანია ახერხებს.

**- ხომ არ გიცდიათ საუბარი ავიაკომპანიის გერმანელ ხელმძღვანელთან, ბიშოპთან?**

- ბიშოპი ყველა საუბარში აცხადებდა, რომ ყველა სადავო საკითხზე ახვლედიანებს დავკავშირებოდით. შემდეგშიც, როდესაც გაერთიანებაზე იყო საუბარი, მაგიდასთან იჯდა პრეზიდენტის მძახალი გურამ ახვლედიანი და მათი წარმომადგენელი თამაზ ნიჟარაძე...



გოგიტა ბუხაიძე ფოტო

მაკა ასათიანი

**- ლუიზა ასათიანი პრეზიდენტს შეხვდა. ამ საუბრის დეტალები თუ არის თქვენთვის ცნობილი?**

- პრეზიდენტმა ყველაფერი იცის. ის დედას გვერდით დაუდგა. როგორც მივხვდი, ის არ იცავს ახვლედიანების პოზიციას. არ ვიცი, რა ურთიერთობა აქვთ ერთმანეთთან, მაგრამ საუბრიდან გამომდინარე, პრეზიდენტი ყველა მისი ნათესავის მაგივრად პასუხს ვერ გასცემს. აქედან გამომდინარე, არც მათი დაცვა დაუწყია. საქმის კურსში კი ნამდვილად არის.

**- ამ შეხვედრის მერე ელით ახვლედიანების პოზიციის შეცვლას?**

- ფაქტია, რომ პოზიცია არ შეცვალეს და პირიქით, უფრო მძლავრად ამოქმედდნენ. არ მინდა, სენტიმენტალურად გამომივიდეს, მაგრამ ფრანკფურტის რეისი მამას წამოწყებული და აწყობილია, ამიტომაც არ დავთმობ. ბოლომდე ვიბრძოლებ იმისთვის, რომ ეს არ მოხდეს.

**- შემუშავებული თუ გაქვთ ბრძოლის ტაქტიკა. როგორ გგონიათ, რა იქნება მათი შემდეგი ნაბიჯი?**

- მამა ახალი გარდაცვლილი იყო და მათ რეისის წართმევა მოინდომეს. ახლა მოვლითი ხერხი მოიფიქრეს - გვაკოტრებენ... არც არასდროს მეცოდინება, რა შეიძლება მოიმოქმედონ, რადგან ჩემთვის ასეთი ადამიანების აზროვნება უცნობი და აბსოლუტურად მიუღებელია.

**- გვერდით ვინ გიდგათ?**

- ვართ მე და თამაზ გაიაშვილი...

**- გჯერათ, რომ პრეზიდენტი გულწრფელია, როცა თავისი ოჯახის წევრთა პოზიციას არ იკავებს?**

- არ ვიცი, რამდენად შეუძლია პრეზიდენტს, მართოს თავისი ოჯახის წევრები. მათ ყველას თავისი საქმე და ბიზნესი აქვთ. არც ის ვიცი, რამდენად მიაჩნია ისინი ოჯახის წევრებად.

**- ყოველ შემთხვევაში, ნათესავები ბიზნესს სწორედ მისი სახელით იწყობენ...**

- მაინც იმედი მაქვს, რომ ამ კონფლიქტს ჩემი ოჯახის პრეზიდენტთან დაპირისპირება არ დაერქმევა. პრეზიდენტს აქამდეც ჩემი მხარე ეჭირა და იმედი მაქვს, რომ მომავალშიც გვერდით დამიდგება.

**- თუ გყავთ იურისტები, ვინც შექმნილი მდგომარეობიდან სამართლებრივი გზით გამოსვლისთვის იმუშავებენ?**

- სასამართლომ გუშინწინ გამოიტანა ეს გადაწყვეტილება. ამან შოკი გამოიწვია...

**- სწორედ ამიტომ დაარღვია დუმილი ქალბატონმა ლუიზამ?**

- ჯერ ერთი, დედაჩემს ბოლომდე აქვს პრეზიდენტის თანადგომის იმედი. დუმილის გარკვეული პირობა იყო მიცემული. ჩვენ ველოდებოდით შედეგებს. პრეზიდენტმა იცის ოჯახის ვერსიების შესახებ. აქამდე რაიმე წინსვლას ველოდით. სასამართლოს გადაწყვეტილება ყოველგვარ ზღვარს გადასცილდა. პირიქით, აქეთ მოხდა ჩვენზე ზეწოლა...

**- თქვენ თქვით, რომ ბოლომდე იბრძოლებთ. სად არის ეს ბოლო?**

- როდესაც ოჯახმა გადაწყვიტა, რომ მე უნდა გამეგრძელებინა მამის საქმე და საქმეები ჩავიბარე, ვთქვი, რომ მთელ ჩემ თავს მივუძღვნიდი ამ საქმეს. ავიაცია ჩემთვის რადიკალურად განსხვავებული დარგია. ახლა ვსწავლობ ყველაფერს.

ყველანაირად შევეცდები, არ მიაღწიონ იმას, რისთვისაც მამა მოკლეს.

**- არ დაგიშვიათ, რომ შეიძლება ამ ბრძოლაში დამარცხდეთ და ყველაფერი დაკარგოთ?**

- მამას „მერსედესის“ ცენტრიც ჰქონდა. იქაც ანალოგიური პრობლემები დამხვდა. მისი წართმევაც უნდოდათ. მამას ყველა მეგობარი გვერდით დამიდგა და ეს საქმე მოვიგეთ. ცენტრი ვერ წამართვეს. ვერც „აირზენას“ წართმევას მოახერხებენ.

**- მამის სიცოცხლეში რამდენად იყავით „აირზენას“ საქმეების კურსში?**

- რა თქმა უნდა, მამა სახლში საუბრობდა და ზედაპირულად, კომპანიის საქმეების კურსში ვიყავი. ამ სფეროს დეტალური შესწავლა კომპანიაში მოსვლისას დავიწყე.

**- თქვენს პეროფესიას დავუბრუნდეთ...**

- ჩემი საქმე ფეხზე მდგომი და წელში გამართული დავტოვე. არ ვნერვიულობ, რომ იქ მსგავს პრობლემებს შევეხები. ჩემი იქ არყოფნა ბიზნესს არ ავნებს.

**- მაღალი მოდის ბიზნესშიც მკაცრი კანონებია. ამას აქვს რაიმე საერთო ავიაციაში არსებულ კანონებთან?**

- ბიზნესი - ბიზნესია და რა დარგიც უნდა იყოს, ერთი ფუნდამენტი აქვს. ის გამოცდილება, რა თქმა უნდა, მადგება. თუმცა, ეს ბიზნესი აბსოლუტურად სპეციფიკურია, განსხვავებული სამყაროა და ძალზე რთულია. იცით, მოდის ბიზნესში ასეთი მგლური კანონები არ არის. არ არის აგრესია... იქ პროცესები დაპირისპირებების გარეშე ხდება. იქ მოღვაწე ადამიანები ერთმანეთთან მართლები არიან, ერთმანეთს კონკურენციის ენაზე ესაუბრებიან. არ შემიძლია, მივიდე დიზაინერთან და განვუცხადო - იცი რა, შენ არ იქნები დიზაინერი, მხოლოდ მე ვიქნები... ეს არ ხდება.

**- კონსულტანტი გყავთ?**

- მთელი ავიაკომპანია გვერდით მიდგას. მთელი დღის მანძილზე ვსაუბრობ და საქმის კურსში შევდივარ. თამაზმა მოლაპარაკებების მაგიდასთან პირველივე დღიდან დამსვა.

**- როგორ მიგყავთ მოლაპარაკებები, გქონიათ წარმატებები?**

- თავიდან ტერმინოლოგიაში ვერ ვერკვეოდი - „ბიჩეკი“, „სიჩეკი“... ახლა ასე აღარ არის... პირველი ჩემი წარმატება, ფაქტობრივად, წართმეული „მერსედესის“ ცენტრის დაბრუნება იყო.

**- რა სტადიაშია კახი ასათიანის მკვლელობის საქმის გამოძიება. იქნება ეს მარადჟამს გაუხსნელი საქმე?**

- ეს მკვლელობა იმდენად კარგად არის შესრულებული, რომ აქტიური მუშაობის მიუხედავად, რთულია იპოვო რაიმე ხელმოსაჭიდი. ეს ჩვეულებრივი მკვლელობა არ იყო. მიუხედავად იმისა, რომ, როგორც წესი, ამგვარი, კარგად დაგეგმილი დანაშაულები, გაუხსნელი რჩება, იმედი მაინც მაქვს, რომ რაღაც გაირკვევა.

**- რას შეუთვლიდით მოწინააღმდეგეებს?**

- რა ვიცი, ალბათ, ზნეობრიობისკენ მოვუწოდებდი...

**- მათთან პირდაპირ დალაპარაკების მცდელობა არ გქონიათ?**

- არა. არანაირი სურვილი არ მაქვს.

**- როგორ გგონიათ, თუ ასე გაგრძელდა, არ დაუბრუნდებით იმ საქმეს, სადაც თავს ისე გრძნობთ, როგორც თევზი წყალში?**

- პირველ რიგში, იმას ვიტყვი, რომ აქ მოსვლა ჩემი ოჯახის გადაწყვეტილება იყო და დატოვების უფლება არ მაქვს. ავიაცია არანორმალურად საინტერესო და აზარტული საქმე ყოფილა. ბუნებრივია, თავიდან გამიჩნდა იმის შიში, რომ მე, ქალი ამ საქმეს ვერ გავუძლვებოდი. მალე მივხვდი, რომ ეს საქმე არანორმალურად მაინტერესებს და აზარტში შევედი.

**- თავად შეეხეთ ქალისა და ბიზნესის თემას. როგორ იკვლევთ გზას?**

- ყველა ადამიანი თავის გზას ირჩევს. არ დავყოფდი ასე - ქალი და კაცი... გარდა არჩევანისა, ალბათ, არსებობს გარემოებები, რის გამოც გადაწყვეტილებების მიღება გიწევს. ამიტომ, ამას არა ქალის, არამედ ადამიანის გზას დავარქმევდი... ეს ჩემი გზა ყოფილა...

ხშირად ამბობენ, რომ აქტიური ქალი ბიზნესს და ოჯახს ერთნაირი წარმატებით ართმევს თავსო... რთულია. აბსოლუტურად ვაცნობიერებ იმას, რამდენად ვაკლივარ ჩემს შვილებს. მათ ბოლო ხანებში ბევრი რამ გადაიტანეს... ბაბუასთან განსაკუთრებული ურთიერთობები ჰქონდათ. ერთ მშვენიერ დღეს ნახეს, რომ ბაბუკი აღარ „ჩამოდის უცხოეთიდან...“ რაღაცნაირად - გაიზარდნენ...

„აირზენას“ - ოჯახის ბიზნესი ჰქვია და ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ბოლომდე შევინარჩუნო.







## ბავშვთა სამყარო „ძველ გალერეაში"

ნანა ბასილაშვილი

გუშინ "ძველ გალერეაში" მორიგი გამოფენის გახსნას, მხატვრების, ხელოვნებათმცოდნეებისა და სხვადასხვა ცნობილი ადამიანების ნაცვლად, უამრავი პატარა ესწრებოდა. 8 და 9 წლის სალომე ქათამაძისა და ელენე ქარსელაძის ნამუშევრებს მათივე თანატოლები აფასებდნენ.

სალომესა და ელენეს თვალებით აღქმული სამყარო მხიარულია და ნათელი ფერებით გადმოცემული. გალერეაში გამოფენილი ორმოცამდე ფერწერული ნამუშევარი, თითქოს, მარტივია და იოლად აღსაქმელი, არადა თავად პატარა ავტორები საკუთარ ნახატებს უფროსებისგან სრულიად განსხვავებულად განმარტავენ. გამოფენის პატარა მასპინძლები დამთვალიერებლებს კართან ხვდებოდნენ და ხელჩაკიდებული მიჰყავდათ საკუთარი ნახატების დასათვალიერებლად.

"ძველ გალერეაში" მოწყობილ პერსონალურ გამოფენამდე გოგონების (2001-2002 წლებში) ოცამდე ჯგუფურ გამოფენაში აქვთ მიღებული მონაწილეობა. 2201 წელს ელენემ UNICEF-ის მიერ მოწყობილ წიგნის ილუსტრაციის კონკურსში თბილისის სამხატვრო აკადემიის ჯილდო დაიმსახურა - ერთ-ერთი ზღაპრის მხატვრული გაფორმებისთვის. იმავე წელს "ქართული საბავშვო წიგნის ილუსტრაციის გამოფენაზე" პატარა მხატვარი კიდევ ერთი სიგელით დააჯილდოვეს. შარშან კი თურქეთში, ქალაქ დიდიმში 8 წლის ელენემ ბავშვთა საერთაშორისო ფესტივალზე გაიმარჯვა. ლელა ქარსელაძე კი, რომელსაც გუშინ 9 წელი შეუსრულდა, პრეზიდენტის სტიპენდიაზეა წარდგენილი. ერთი წლით უმცროსი სალომე ქათამაძე კოლეგას წარმატებებით, ნამდვილად, არ ჩამოუვარდება. შარშან მისი ერთ-ერთი საუკეთესო ნამუშევარი შვეიცარიაში, ქალაქ ლოზანაში გაიგზავნა. მას მონაწილეობა აქვს მიღებული თურქეთში, პრაღასა და იაპონიაში გამართულ სხვადასხვა საერთაშორისო გამოფენაში.

სალომე და ელენე ბავშვთა შემოქმედებითი სტუდია "ფავორიტის" აღსაზრდელები არიან. "ეს ბავშვები, თითქმის, სამი წელიწადია ინტენსიურად მუშაობენ. ჩავთვალე, რომ მათთვის უკვე შეიძლებოდა პერსონალური გამოფენის მოწყობა", - საუბრობდა მოწაფეების წარმატებებზე მათივე პედაგოგი, ლელა გელეიშვილი. გუშინ გოგონებმა საკუთარი ხელით ნაძერწი სუვენირებიც გამოფინეს.

დედიკოს და მამიკოს ხელით წითელ და ლურჯ ჩარჩოებში ჩასმულ ბავშვურ სამყაროს "ძველი გალერეა" კიდევ ორ დღეს შემოგვთავაზებს.

### კალენდარი

## 19 მარტი



ბრუს ვილისს – ჰოლივუდის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ მსახიობს, რომელსაც დღეს 48 წელი შეუსრულდა, უკვე 45 ფილმში აქვს ნათამაშევი. ასე რომ, ის საკმაოდ პროდუქტიული მსახიობია. ბრუს ვილისის შემოქმედებითი ცხოვრება კიდევ ერთი მაგალითია იმისა, რომ მაყურებლის სიმპათიის მოპოვებისათვის სრულებითაც არ არის აუცილებელი "ოსკარის" მოპოვება ან "კანზე" გამარჯვება. ბრუს ვილისს, რომელიც ჰოლივუდის ვასრკვლავთა რეიტინგის მიხედვით, ერთ-ერთ პირველ ადგილზე დგას, არც ერთ ნომინაციაში არ გაუმარჯვია. იგი მხოლოდ ერთხელ, 1990 წელს, იყო წარდგენილი საუკეთესო მეორეხარისხოვანი მსახიობის ნომინაციაზე (ფილმში In Country) "ოქროს გლობუსზე" და იქაც ვერ გაიმარჯვა.

ბრუს ვილისი დასავლეთ გერმანიაში დაიბადა, მისი მშობლები ამერიკული სამხედრო ბაზის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ. ორი წლის ასაკიდან ვილისი ნიუ ჯერსიში იზრდებოდა. პატარა ბრუსი, რომელსაც თანატოლები დასცინოდნენ კიდეც იმის გამო, რომ ენა ებმოდა, ვერც კი წარმოიდგენდა, თუ ოდესმე თეატრის სცენაზე ავიდოდა ან კინოეკრანზე გამოჩნდებოდა. რაოდენ უცნაურადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, ბრუსი სცენაზე ავიდა თუ არა, მისი ნაკლი სადღაც გაუჩინარდა. ბრუს ვილისის მომავალი კინოკარიერა ვერც მისმა მშობლებმა იწინასწარმეტყველეს. მათ ერთი სული ჰქონდათ, როდის დაამთავრებდა მათი ბუნტისთავი შვილი სკოლას - სწავლის დროს ხომ მას ერთი უსიამოვნო ინციდენტიც შეემთხვა, რომლის გამოც გარიცხეს; და მამას ადვოკატის დაქირავება მოუხდა, ბრუსისთვის სკოლის დამთავრების უფლება რომ მიეცათ...

კინოსამყაროში მოხვედრამდე ბრუს ვილისი მუსიკამ გაიტაცა; გატაცება სერიოზული იყო, ბრუსი ჰარმონიკაზე უკრავდა ბლუზ-ბენდში – Loose Goose. მერე იყო თეატრი, კინო... ბრუს ვილისის დიდი წარმატება დაიწყო ფილმით Die Hard, ამის შემდეგ მისი პოპულარობა დღითიდღე იზრდება. თუმცა, ბრუს ვილისი მაინც ჰოლივუდის ჩარჩოებშია მოქცეული, მაშინ, როცა, როგორც კინოკრიტიკოსები აღნიშნავენ, ის მრავალმხრივი მსახიობია, თამაშობს დრამაშიც, კომედიაშიც, რომანტიკულ და სათავგადასავლო ისტორიებშიც. ბრუს ვილისს ჩაწერილი აქვს კომპაქტ-დისკი, არის რამდენიმე ფილმის პროდუსერი და საბავშვო ანიმაციური შოუს ავტორი. დღეს ბრუს ვილისის ფილმებს: "მაკულატურა", "ტურა", "მეხუთე ელემენტი" დიდი ინტერესით უყურებენ მთელ მსოფლიოში, მაყურებელს არანაკლებ აინტერესებს მისი პირადი ცხოვრებაც: ბრუს ვილისის ექს-ცოლი ხომ ცნობილი ვარსკვლავი დემი მურია.

მსახიობი **ბრუს ვილისი** 1955 წლის 19 მარტს დაიბადა.

## ცხელი ხაზი "ტრისტან და იზოლდას" გადასარჩენად

თამარ სუხიშვილი

ევგენი მიქელაძის იუბილესადმი მიძღვნილი მუსიკალური სეზონი თბილისში გრძელდება. მიქელაძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო სიმფონიურმა ორკესტრმა იუბილე არაერთი პრემიერითა და საინტერესო კონცერტით (მათ შორის საქველმოქმედო კონცერტებით) აღნიშნა: "ფალსტაფი", მალერის მეხუთე და მეშვიდე სიმფონიები, ბარტოკის "ლურჯწვერა ჰერცოგის სასახლე" და სხვა და სხვა.

მორიგი პრემიერა 6 ივნისისთვისაა დაგეგმილი, მაგრამ მისი ბედი გასაგები მიზეზების (უფინანსობის) გამო, ჯერჯერობით ჰაერში კიდია. არადა, ვაგნერის "ტრისტან და იზოლდას" საკონცერტო შესრულება მნიშვნელოვანი მოვლენა იქნება ქართული მუსიკალური კულტურისათვის. ვაგნერის ეს ოპერა არასოდეს დადგმულა არა მარტო საქართველოში, არამედ ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცეშიც.

"ტრისტან და იზოლდას" შესრულება ნებისმიერ ქალაქში დიდ მოვლენად ითვლება. ეს ერთ-ერთი ურთულესი პარტიტურაა მოცულობით, მუსიკალური შინაარსითა და დატვირთვით, თანაც იშვიათად თუ მოიძებნება ტრისტანის პარტიის შემსრულებელი. "ეს ათჯერ უფრო მეტია, ვიდრე გერმანი", - ასე აფასებენ პარტიის სირთულეს მუსიკათმცოდნეები. მოგეხსენებათ, რარიგ რთულია გერმანის პარტიის შესრულება," - ამბობს ორკესტრის მთავარი დირიჟორი და სამხატვრო ხელმძღვანელი ვახტანგ მაჭავარიანი.



*ვახტანგ მაჭავარიანი პრესკონფერენციაზე*

გუშინდელ პრესკონფერენციაზე, რომელიც სასტუმრო "მარიოტში" გაიმართა, ვახტანგ მაჭავარიანმა ორკესტრის წარმატებებზე, გასტროლებზე, ჩავლილ კონცერტებზე და, რაღა თქმა უნდა, ორკესტრის გაჭირვებაზე ისაუბრა (ორკესტრის ხელმძღვანელობას გეგმები მრავლად აქვს, მაგრამ მათ განსახორციელებლად მხოლოდ სურვილი არ კმარა), და თავისი ჩანაფიქრიც გაგვანდო. ახლა, როცა პრემიერა უკვე რეალური საფრთხის წინაშე დგას, მიქელაძის ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელი ე.წ. "ფანდრაიზინგის" მოდელის გამოყენებას აპირებს და დასახმარებლად საქართველოს მოსახლეობას მიმართავს ცხელი ხაზის საშუალებით.

ვახტანგ მაჭავარიანს ხალხის დახმარების იმედი აქვს: როგორც წესი, ვისაც უჭირს, დახმარების ხელს ის უფრო გამოგიწოდებს ხოლმე, თითო ლარიც რომ გაიღონ, ესეც უკვე რაღაცას ნიშნავსო.

მართალია, ორმა ძველმა სპონსორმაც გამოთქვა ფინანსური დახმარების სურვილი, მაგრამ რა თანხით დაეხმარებიან ისინი ორკესტრს, დღეისათვის გარკვეული არ არის.

"ტრისტან და იზოლდას" პრემიერა რომ არ ჩაიშალოს, 20-25 ათასი დოლარია საჭირო. ეს თანხა ხუთი მუსიკოსისა და ერთი რეჟისორის ჩამოყვანას, მათ დაბინავებას მოხმარდება. დებორა პოლასკი (იზოლდა), გიოსტა ვაინბერგი (ტრისტანი), ნატაშა პეტრინსკი (ბრანგენე), მონტე იაფი (მეფე მარკე) - სწორედ ესენი არიან მსოფლიო საოპერო სცენის ის ვარსკვლავები, რომელთაც თავიანთ შემოქმედებით განრიგში უკვე შეიტანეს თარიღი 6 ივნისი - თბილისის გასტროლი (მეხუთე მსახიობის, კურვენალის როლის შემსრულებლის ვინაობა ჯერჯერობით უცნობია). რაც შეეხება მეექვსე სტუმარს, რეჟისორ მაიკლ ჰანტს, მისი ჩამოყვანა მხოლოდ 25 ათასი დოლარის შეგროვების შემთხვევაში მოხერხდება; თუ მხოლოდ მინიმუმი - 20 ათასი დოლარი შეიკრიბა, მაშინ რეჟისორი ჰანტი თბილისის სტუმართა რიცხვს გამოაკლდება.

6 ივნისამდე დიდი დრო ნამდვილად აღარ დარჩა, მით უმეტეს, როცა საქმე ასეთ სერიოზულ პროექტს ეხება. თავად სოლისტებიც დასტურს ელიან. "ტრისტან და იზოლდას" ბედი აპრილის შუა რიცხვებამდე უნდა გადაწყდეს, ანუ ამ დროისთვის თანხის სამი მეოთხედი მაინც უნდა იყოს შეგროვილი, - აცხადებს ვახტანგ მაჭავარიანი. ბატონმა ვახტანგმა გუშინდელ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებსაც სთხოვა დახმარება: იქნებ მსმენელსა თუ მკითხველს ჩვენი ანგარიშის ნომერი შეატყობინოთო. ორკესტრს ანგარიში TBC ბანკში აქვს გახსნილი (ჭავჭავაძის 11, თბილისი 380079), სალარე ანგარიშია 35 700 732, ბანკის კოდი - 22 01 01 830.

## გაერო მოსალოდნელ ომს მარადიული თემებით ხვდება

ნინო ყიფიანი

1999 წლიდან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის თბილისის ოფისში კულტურული პროგრამა ხორციელდება, რომლის მიზანია ქართული სახვითი ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია. პროექტის ფარგლებში ყოველ თვე გაეროს სახლში გამოფენები იმართება. როგორც პროგრამის ხელმძღვანელი ქეთი გიოშვილი ამბობს, ცდილობენ ახალგაზრდა და ნაკლებ პოპულარული მხატვრების ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა მოაწყონ. გაეროს სახლი მხატვრებს საგამოფენო სივრცეს უფასოდ უთმობს, ასევე უსასყიდლოდ უბეჭდავენ ბუკლეტებს და ბროშურებს. თუმცა, გაეროს ოფისის ფოიეში ცნობილი მხატვრებიც ზურაბ ნიჟარაძე, ქეთი მატაბელი და გია გუგუშვილიც გამოფენილან. როგორც წესი, ყოველ გამოფენას გაეროს ელჩი ხსნის ხოლმე. ტრადიცია არც ამჯერად დარღვეულა და გუშინდელი გამოფენაც ლანს კლარკმა გახსნა, რომელსაც ეს პოსტი 2001 წლის სექტემბრიდან უკავია.



*გიორგი რურუა პერსონალურ გამოფენაზე*

გუშინ, თავის ნამუშევრები მხატვარმა გიორგი რურუამ წარმოადგინა. მან თბილისის სამხატვრო აკადემია 1983 წელს დაამთავრა. მოწყობილი აქვს რამდენიმე კონცეპტუალური გამოფენა ("ქაღალდის გამოფენა", "ლამაზი ქალი", "ბათუმი") საქართველოში, ასევე რამდენიმე ექსპოზიცია თურქეთში და თანამშრომლობდა სააუქციონო ფირმა COLLECTION A. S. HILTON-Ankara-სთან. ამჯერად მხატვარმა, ძირითადად, რელიგიურ თემატიკაზე ("იუდა", "პეტრე", "დავითი"..) და აღმოსავლურ მოტივებზე შექმნილი 20 ფერწერული ტილო წარმოადგინა. მისი თქმით "ბიბლიური თემები ყველა მხატვრისთვის ამოუწურავია, ჩვენს გარშემო რეალობა საკმაოდ მწირია. სოციალისტური წყობილების დროს რაღაც მოწოდებები უნდა აგესახა მხატვრობაში, დღეს კი ჩვენს გარშემო არაფერი ხდება. მწერალმა უფრო შეიძლება აჩვენოს კატაკლიზმები. მხატვრობა კი ორიენტირებულია გარეგნობაზე, ზედაპირზე კი საქართველოში არაფერი არ არის". გიორგი რურუა ერთგვარად გახარებულიც იყო, რომ მოსალოდნელ ომს ბიბლიური თემებით შეხვდა.

ლანს კლარკი გაეროში გამართულ ქართველი მხატვრების გამოფენებს "ტალანტის აფეთქებას" უწოდებს. ხოლო რაც შეეხება მოსალოდნელ ომს, იგი ამბობს: "ისევე როგორც ყველა, ჩვენც მოლოდინში ვართ, რა მოხდება და თვალ-ყურს ვადევნებთ მიმდინარე მოვლენებს".

### თვალსაზრისი

# ვენეციელი ვაჭარი თბილისში

ირაკლი კაკაბაძე

თეატრალურმა სარდაფმა შექსპირის გენიალური ქმნილება ქართულ ენაზე აახმოვანა. რეჟისორმა ჭოლა წულაძემ მეტად საინტერესო სტილი შემოგვთავაზა. ერთის მხრივ, შექსპირისეული სიბრძნე სტანისლავსკისეულ დიალოგებში და მეორეს მხრივ კი მეტად დინამიური, თანამედროვე მუსიკით სავსე შოუ-დენს-სპექტაკლი. საინტერესო იყო სტანისლავსკისა და ბროდვეის სტილების სინთეზის ქართული ვარიანტის ნახვა. თუკი სტურუა თავის შთამბეჭდავ კლოუნადას, დეკლარატიული მეტყველების სტილს უხამებს, წულაძის ექსპერიმენტი თანამედროვე შოუ-ბიზ სტილის ტრადიციულ სტანისლავსკისთან შერწყმაა. რა თქმა უნდა, ამ სტილს უდავოდ დახვეწა სჭირდება, მაგრამ მაინც, სპექტაკლიდან მეტად ნასიამოვნები დავბრუნდი და მკითხველსაც ვურჩევ, არ გაუშვას შანსი და აუცილებლად ნახოს ეს სპექტაკლი.

სპექტაკლის მთავარ ღირსებად მისი უაღრესად თანადროულობა მიმაჩნია. დღეს, ვაჭრობისა და კონსუმერიზმის უსაზღვრო ზეობის პერიოდში, როდესაც ყოფილი კომკავშირლები და ცეკას მდივნები ეგრეთწოდებული თავისუფალი ვაჭრობის აპოლოგეტებად გვევლინებიან, უბრალო ხალხს კი ყოველდღიური ბრძოლა უწევს სარჩოსაბადებლის მოსაპოვებლად, ეს პიესა ნამდვილად ჭკუას გვასწავლის: ფულის, სიმდიდრის, მატერიალური დოვლათის გაღმერთებას მხოლოდ უბედურება თუ მოაქვს და ჩვენც არ უნდა დავკარგოთ სულიერება, რომელიც ადამიანთა შორის სიყვარულზე დგას და არა მოჩვენებით რელიგიურობასა თუ ანტისემიტიზმზე.

შაილოკის როლის შემსრულებელი მერაბ ნინიძე თავის ახალ ამპლუაში შეუდარებელია, აგრეთვე მეტად კარგ შთაბეჭდილებას ახდენენ ზუკა პაპუაშვილი, დუტა სხირტლაძე. ტრაგედია ტრაგედიის გარეშე, ანუ ტრაგედია, რომელშიაც ანტისემიტური ლოგიკის თანახმად მხოლოდ ებრაელი აგებს და ყველა დანარჩენი იგებს, ბევრ რამეს გვასწავლის. არსებობს აზრი, რომ პიესა ანტისემიტურია. პირადად მე ამ სენტენციას ვერაფრით დავეთანხმები. პირიქით, პიესა ანტისემიტიზმის საწინააღმდეგო არაჩვეულებრივი მანიფესტია, სადაც ჩანს საზოგადოების გარყვნა მატერიალური ფუფუნებით, ფეოდალების გაუმაძღრობა და ვენეციელების ორპირობა ებრაელი ვაჭრის მიმართ. როდესაც მათ ფული სჭირდებათ, ისინი მისი მეგობრები არიან და როდესაც ის საჭირო აღარ არის, ისინი მას ძაღლს უწოდებენ, ხშირად პირშიაც. როგორც კი საშიშროება დაემუქრებათ, მზად არიან კანონზე ზემოთ დადგნენ ან ახალი კანონი გამოიგონონ. სწორედ ამიტომ ეუბნება შაილო მათ, "რატომ გგონიათ რომ ებრაელს თქვენსავით არ სტკივა?!" მისი ფული მოსულია მეტად მძიმე და გამთანგველი შრომის ხარჯზე და მიუხედავად ამისა, მას მევახშეს უწოდებენ. იმას კი ივიწყებენ, რომ ვახშს ეროვნება და სარწმუნოება არ გააჩნია. დღევანდელ ვენეციაში, ანუ ნიუ იორკში, სადაც მსოფლიო სავაჭრო ცენტრი პირდაპირი მნიშვნელობით წლინახევრის წინ დაანგრიეს და გადატანითი მნიშვნელობით დღესაც არსებობს, ვახში ცხოვრების ერთადერთი წესია. ფინანსური მენეჯმენტი, დივერსიფიცირებული პორტფოლიო, ორმხრივი ფონდები, დოუ ჯონსისა და ნასდაკის ინდექსები ყველა რელიგიაზე მაღლა დგას. დღეს ყველა ალმსარებლობის ადამიანი ამ ცრუ ღმერთების სამსახურშია და რატომღაც ეს მატერიალიზმი მარტო ებრაელების პრეროგატივად ცხადდება. ეს აბსოლუტური ტყუილია. მანჰეტენზე მყოფი სამი ექვსიანი ყველა ჩვენი ცოდვების სიმბოლოა, ჩვენი ობსესიისა მატერიალური ნივთებით, პრესტიჟული აბსურდულობით და მეშჩანური პატარკაცობით. აი ამ ცოდვების შედეგია ის, რომ ჩვენ, ჩვენის უზნეო ცხოვრებით გულის ამოჭრა დავიმსახუროთ. იმედია, რომ ვექილის ფორმაში გამოწყობილი ახალგაზრდა ანგელოზი ქალბატონები გვიშველიან.

ბურჟუაზიული ცხოვრების წესის ფლობერიანული განსაზღვრება სწორედ ის არის, რომ ადამიანის ოცნების მაქსიმუმს მატერიალური კეთილდღეობა შეადგენდეს. ეს ოცნება ვერ სწვდება შემოქმედებას და სიყვარულს. ეს რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ ნებისმიერი ბურჟუა განწირულია სულიერი სიღატაკისათვის. ყველას აქვს გადარჩენის შანსი, განურჩევლად მისი სოციალური წარმოშობისა. უბერდურება ის არის, რომ დღეს ჩვენს საზოგადოებაში ყველა ღირებულებაზე ზემოთ საკრედიტო ბარათი დგას. ჩვენ ნადვილად გვმართებს დაფიქრება, თუ როგორ შევინარჩუნოთ ჩვენი სულიერება, რომელიც ყველანაირ ინდულგენციაზე მაღლა დგას. "მასტერკარდი" და "ვიზა" ვერასდროს შეცვლის შექსპირს, ჭავჭავაძეს, ფშაველას, კერუაკს თუ ბაირონს. "ვენეციელი ვაჭარი" დღეს მეტად თანადროული იმიტომაცაა, რომ საქართველოში გამოჩნდნენ ადამიანები, რომელთაც ჩვენთვის უცნობ პირობებში წილად ხვდათ დიდი მატერიალური დოვლათის დაგროვება. მინდა აქვე ვთქვა, რომ ამ მატერიალური დოვლათის სასარგებლო გზით მიმართვას შეუძლია ბევრი ადამიანი ააცილოს სიღატაკეს და სამუშაო ადგილები გააჩინოს მათთვის. მაგალითად, თუკი ის მილიონობით დოლარი, რომელიც სავარაუდოდ მზადაა ქართულ ეკონომიკაში ინვესტირებისათვის, დაბანდებული იქნა ისეთ მიგდებულ რეგიონებში, როგორებიცაა ახალქალაქი, სამეგრელო, ქვემო ქართლი და სხვა, ეს უდავოდ დიდ სიკეთეს მოიტანს. იქ დიდია ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის პოტენციალი და აგრეთვე, დიდია სხვადასხვა სახის მაღალ ინტელექტუალური ბიზნესის განვითარების საშუალება, რომ არაფერი ვთქვათ გზებისა და ინფრასტრუქტურების გაუმჯობესებაზე. მაგრამ აქ საქმეში შემოდიან ქართველი ამფსონები, რომელთაც "ადვილი ფულის" ვერსია კარგად აქვთ გათავისებული, რომლებიც დღესაც ძარცვავენ საკუთარ თანამემამულეებს და რომელთაც, ხალხში ჩადებული ინვესტიცია, არაფრად უნდათ. მათთვის მთავარია "მაყუთის" უცბად გაკეთება და მერე მისი ან არჩევნებში დაბანდება, ან საკუთარი უსაზღვრო სიხარბის დაკმაყოფილება. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ ბიზნესმენებს უამრავი მრჩეველი ჰყავთ, რომლებიც წარსულში ან კომუნისტური პარტიის, ან კომკავშირის ფუნქციონერები იყვნენ და საკუთარი ბატონყმური წყობილების გაგრძელებას ლამობენ. და ამაში ბიზნესმენებს კი არ გაემტყუნებათ, არამედ ჩვენ. ჩვენ ვახვედრებთ მათ ჩვენ სახელოვან ფეოდალურ ნომენკლატურას, ჩვენი ნარკომან საჯარო მოხელეებს და ვაი-ხელოვანებს. ისინი ფულს უვახშოდ ართმევენ მათ ან არჩევნების გაყალბებისათვის, ან კი საკუთარი ვენების დაკმაყოფილებისათვის. ეს ხომ ჩვენი საზოგადოებაა. ეს ის ხალხია, რომლებიც მათ ანტონიოს მსგავსად, ზურგს უკან "ურიად" მოიხსენიებენ და პირში სადღეგრძელოებს ეუბნებიან. ამით იმის თქმა არ მინდა რომ ქართველები ანტისემიტები არიან. უბრალოდ, ყოფილ კომკავშირელებსა და ჰიტლერ იუგენდს შორის ძალიან პატარა სხვაობაა. ეს ერთი და იგივე კასტაა, რომელიც არავის და არაფერს დაინდობს თავისი მატერიალური კეთილდღეობისათვის. როგორც ნაცისტურმა პარტიამ შესწირა მილიონობით საკუთარი თანამემამულე უაზრო და დამღუპველ ომს, ასევე ქართველმა კომუნისტებმა შესწირეს საკუთარი სამშობლოს საუკეთესო ნაწილი მათს ძალაუფლების წყურვილს. ეს ის ხალხია, რომელსაც ებრაელები ფულისთვის უნდა და არა აინშტაინისთვის, ან სპინოზასთვის, ან ბობ დილანისთვის, ან ფრანც კაფკასთვის. მათ "რჩეული ერის" წარმომადგენლები მხოლოდ უვახშო ვალებისათვის უნდათ, რომელსაც მერე რა თქმა უნდა, არ ჩაასესხებენ. თორემ, რამდენია დღეს ჩვენს სოფლებში მიტოვებული და მიუსაფარი ვაჟა ფშაველა ან გალაკტიონ ტაბიძე, რომელსაც წყალივით სჭირდება საარსებო წყარო და სამუშაო.



*შაილოკი და ანტონიო (მერაბ ნინიძე და ზუკა პაპუაშვილი)*

ანტონიოს კეთილშობილური მიზანი ამოძრავებდა. მას მეგობრის შველა უნდოდა და ამისთვის წავიდა თამასუქზე. ამ დროს წამოეწია მას შურისგება. ეჭვი მეპარება, რომ ჩვენს გაუმაძღარ ფეოდალებს მეგობრის შველა უნდოდეთ. ისინი უფრო საკუთარ თავს შველიან.

იქნებ ყველამ ერთად ვუშველოთ ჩვენს გაჭირვებულ ხალხს. მათ ახლა სხვა არავინ დაეხმარება და თუ ეს კეთილი საქმე ვქენით მაშინ გული ამოსაჭრელი ნამდვილად აღარ გვექნება.

# შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაცნობოთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი შერჩევის შემთხვევაში, დაგიკავშირდებათ გადაცემის კოორდინატორი ამ ანკეტის შევსებით თქვენ ეთანხმებით შოუს "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

მისამართი:

შვილები: (თუ გყავთ)

საფოსტო ინდექსი:

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

პროფესია:

ასაკი:

სამუშაო ადგილი

დამხმარე კატეგორია: (მიუთითეთ კატეგორია, რომელშიც კარგად ერკვევით, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. მაგალითად, საფეხბურთო კლუბი "არსენალი" ან ევროპის ქვეყნების დედაქალაქები, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

შინაური ცხოველები: (თუ გყავთ)

გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი.

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გიმოგზაურიათ საქართველოს გარეთ და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევასაც ოცნებობთ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

ფილმი რომ გადაეღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ამპლუაში?)

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტვენით ბეთჰოვენის "მთვარის სონატის" შესრულება, ან ასკინკილით მარათონული დისტანციის გავლა?)

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენიათ თავს? კერძოდ რა?

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

# ავსტრიული „კიევოს" სიხარული

ნინო პირველი

2001-02 წლების სეზონში, როცა სერია A-ში ყველასთვის უცნობი კლუბი, ვერონას გარეუბანში შექმნილი "კიევო" გამოჩნდა, არავის შეუწუხებია თავი იმაზე ფიქრით, თუ ვინ იყვნენ ეს პროვინციელები და რა შეიძლებოდა შეეთავაზებინათ მათ გულშემატკივრებისთვის. "კიევოს" მაინცდამაინც არც ვერონელი ტიფოზები უჭერდნენ მხარს - მათ ხომ ვერონას სახელით მოასპარეზე კიდევ ერთი გუნდიც ჰყავდათ სერია A-ში და ვის აინტერესებდა გარეუბნელი კონკიები?

სულ მალე მოვლენები ისე უცნაურად განვითარდა, რომ ვერონელებს "კიევო" ლამის საფიცარ გუნდად ექცათ. "ვერონა" საშინლად თამაშობდა, "კიევო" კი სასწაულებს ახდენდა და ერთხანს ჩემპიონატის ლიდერიც კი იყო. ვერონას გარეუბან კიევოში სასწაული ხდებოდა - ყველა ფეხბურთით დაავადდა. ჟურნალისტები ხუმრობდნენ: 150 წლის წინ კიევოს ერთ-ერთ სასტუმროში მეფემ ღამე გაათია. სანამ "კიევო" სერია A-ში არ გადავიდა, აქ მეტი მნიშვნელოვანი აღარაფერი მომხდარაო...

მოკლედ, ასე იყო თუ ისე, "კიევომ" უმაღლეს ლიგაში თავისი პირველი სეზონი, დებიუტანტის კვალობაზე, კარგად ჩაატარა და UEFA-ს საგზურს დაეპატრონა. ეს პატარა კლუბი უცებ მთელ მსოფლიოში გახდა პოპულარული. საერთოდ, ასეთი გუნდები ყოველთვის ახერხებენ გულშემატკივართა მრავალრიცხოვანი, თანაც, ინტერნაციონალური არმიის მოხიბვლას. ყველა აღტაცებაში მოჰყავს იმ ფაქტს, რომ პატარა, პროვინციულ, არც ისე მდიდარ "კიევოს" სერია A-ს გრანდების დამარცხება შეუძლია. როგორც ჩანს, აქაც პატარა ქვეყნებისა და გუნდების სინდრომი მოქმედებს.

დღეს "კიევო" მისაბაძი მაგალითია ყველა იმ კლუბისთვის, რომელსაც დიდი ამბიციები და მცირე ფინანსები აქვს. თუ ვერონელებს შეუძლიათ ასეთ პირობებში თამაში, სხვა გუნდებმა რატომ ვერ უნდა მოახერხონ იგივეს გაკეთება?

ავსტრიული ფეხბურთი არასოდეს გამოირჩეოდა განსაკუთრებული მიღწევებით. აქაური ფეხბურთის მოყვარულები მხოლოდ საკუთარი ჩემპიონატით კმაყოფილდებიან. ამის მიუხედავად, ავსტრიულ კლუბებს გარკვეული ამბიციები აქვთ. ფრანკ შტრონახი ვენის "აუსტრიასთვის" არაფერს იშურებს და ოცნებობს იმ დღეზე, როცა მისი გუნდი ჩემპიონთა ლიგაში მოხვდება. აქამდე "აუსტრიას" ძლიერებაში, თითქოს, არავის ეპარებოდა ეჭვი, მაგრამ რისთვის არსებობენ "კიევოს" მსგავსი კლუბები, თუ ლიდერები მუდამ მშვიდად იცხოვრებენ?

პროვინციულმა "პაშინგმა" მაქსბუნდესლიგის უპირობო ფავორიტი ამ სეზონში ძალიან დაიბრიყვა. "აუსტრიამ" სტუმრადაც წააგო პაშინგელებთან და შინაც. "პაშინგის" ფეხბურთელების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა მსაჯმა საფინალო სასტვენი მისცა და დიდ მიზნებზე მეოცნებე "აუსტრია" საკუთარი გულშემატკივრის წინაშე დამარცხდა. "პაშინგის" მიერ მოპოვებული გამარჯვება იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ ამ მოვლენას არა მარტო ავსტრიაში, არამედ იტალიასა და გერმანიაშიც კი გამოეხმაურნენ.

"ავსტრიასაც ჰყავს "კიევო" - პროვინციული კლუბი, რომელიც ლიდერებს ამარცხებს. "პაშინგმა" დიდი ხანია დაიპყრო ქომაგთა გულები თავისი კარგი თამაშით და ვერონული კლუბის მიმდევრად იქცა. დუნაის მეტროპოლის წარმომადგენელი ვენის "აუსტრია" რომ არ ლიდერობდეს ჩემპიონატს, "პაშინგს" პირველ ადგილზეც კი შეუძლია ასვლა - გრაცის "შტურმი" და ვენის "რაპიდი" მას სერიოზულ წინააღმდეგობას ვერ უწევენ. ავსტრიის ჩემპიონატში მოთამაშე ყველა კლუბმა უმაღლეს ლიგაში ახლად გადასულ "პაშინგს" მოკრძალებით უნდა მოუხადოს ქუდი", - წერს გერმანული სპორტული გაზეთი "კიკერი".

ვნახოთ, რამდენად მოახერხებს "პაშინგი" ნამდვილ "კიევოდ" ქცევას და ევროასპარეზზე გასვლას. ბოლოს და ბოლოს, ვერონელებისგან განსხვავებით, "პაშინგს" არც "იუვენტუსთან" უხდება ბრძოლა და არც "მილანთან". ვენის "აუსტრიას" დამარცხება კი მას ნამდვილად შეუძლია.

# „დერბი" უმწვრთნელოდ დარჩა

მართალია, დროებით, მაგრამ ცხრილის შუაში მყოფი გუნდისთვის უმწვრთნელოდ თუნდაც ერთი მატჩით დარჩენა დიდი დანაკლისია. 8 თებერვალს „დერბი" „პორტსმუტს" სტუმრობდა და გამანადგურებელი ანგარიშით - 2:6 დამარცხდა. მატჩის მსვლელობის დროს „დერბის" მწვრთნელი, ჯონ გრეგორი, შეგირდებს წესების დარღვევით აძლევდა მითითებებს - ხან მონიშნულ ზღვარს გადადიოდა, ერთხელ კი საერთოდ მოედანზე შეიჭრა. ამის გამო მეოთხე მსაჯისგან რამდენიმე სიტყვიერი გაფრთხილება მიიღო. ბოლოს და ბოლოს, გრეგორს ნერვებმა უმტყუნა და მსაჯი უშვერი სიტყვებით შეამკო.

ამ ფაქტის შესახებ იმსჯელა ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ და მწვრთნელი 12 000 დოლარით დააჯარიმა. ეს არ აკმარეს და გრეგორს ხუთი მატჩით აუკრძალეს „ცხვრების" მწვრთნელისთვის განკუთვნილ ადგილზე ჯდომა. გადაწყვეტილება 1 აპრილს შევა ძალაში. იმის გამო, რომ კვირაში ერთი ტური იმართება, მაისის შუა რიცხვებამდე „დერბი" უმწვრთნელოდ ითამაშებს.

# სარფიანი „აიაქსი"

პირველად, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, ამსტერდამის „აიაქსმა" წლის გარკვეული პერიოდი მოგებით დაასრულა. კლუბის პრესსამსახურის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, „აიაქსმა", ჩემპიონთა ლიგაში წარმატებული გამოსვლის წყალობით, 2002 წლის მეორე ნახევარი მოგებით დაასრულა. წლის პირველ ნახევარში კლუბმა 3,4 მილიონი ევროთი იზარალა, თუმცა, მეორე ნახევარში მდგომარეობა გამოსწორდა და შემოსავალი 34%-ით გაიზარდა, რამაც კლუბს 2,6-მილიონიანი მოგება მოუტანა. საერთო ჯამში, 2002 წელი ჰოლანდიური კლუბისთვის წაგებიანი აღმოჩნდა, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელობას უხარია, რომ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში შარშანდელი სეზონი იყო პირველი, როცა კლუბმა მოგება ნახა.

ფეხბურთი

# ეპოპეა დამთავრდა - „რეალი" მეოთხედფინალშია!

რონალდოს თავმა "რეალს" მეოთხედფინალის საგზური მოუტანა

| ჯგუფი C | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი 0 - 1 რეალი | | | | | | |
| მილანი 0 - 1 ბორუსია | | | | | | |
| ცხრილი | თ | მ | ფ | წ | ბ.ბ | ქ |
| 1 მილანი | 6 | 4 | 0 | 2 | 5:4 | 12 |
| 2 რეალი | 6 | 3 | 2 | 1 | 9:6 | 11 |
| 3 ბორუსია | 6 | 3 | 1 | 2 | 8:5 | 10 |
| 4 ლოკომოტივი | 6 | 0 | 1 | 5 | 3:10 | 1 |

| ჯგუფი D | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაზელი 2 - 1 იუვენტუსი | | | | | | |
| დეპორტივო 2 - 0 მანჩესტერი | | | | | | |
| ცხრილი | თ | მ | ფ | წ | ბ.ბ | ქ |
| 1 მანჩესტერი | 6 | 4 | 1 | 1 | 11:5 | 13 |
| 2 იუვენტუსი | 6 | 2 | 1 | 3 | 11:11 | 7 |
| 3 ბაზელი | 6 | 2 | 1 | 3 | 5:10 | 7 |
| 4 დეპორტივო | 6 | 2 | 1 | 3 | 7:8 | 7 |



REUTERS
რონალდო

გუშინდელ დღეს პასუხი უნდა გაეცა უმთავრეს კითხვაზე - გავიდოდა, თუ არა, მსოფლიო ფეხბურთის ოსტატებით დაკომპლექტებული მადრიდის „რეალი" ჩემპიონთა ლიგის წლევანდელი გათამაშების მეოთხედფინალში? რონალდოს თავურმა ამ კითხვას დადებითი პასუხი გასცა - „რეალი" მეოთხედფინალში ითამაშებს.

მადრიდელები მოსკოვს რობერტო კარლოსის გარეშე ესტუმრნენ და მხოლოდ გამარჯვება აძლევდათ ხელს. „რა თქმა უნდა ძნელია ატალახებულ მინდორზე თამაში, მაგრამ უკან დასახევი გზა არ გვქონდა. მოხარული ვარ, რომ გუნდმა დასახული ამოცანა შეასრულა" - განაცხადა ვისენტე დელ ბოსკემ. მადრიდელებმა თამაში მძიმედ დაიწყეს. ეს ბუნებრივიც იყო. მოსკოვის მინდორი მოუმზადებელი შეხვდა ჩემპიონთა ლიგის მატჩს. ბურთი მოედანზე ნელა დაგორავდა, ამიტომ „რეალის" ტექნიკურ ფეხბურთელებს უჭირდათ კომბინაციური თამაში.

პარალელურად „მილანი" დორტმუნდის „ბორუსიას" მასპინძლობდა. დორტმუნდელები გამარჯვების შემთხვევაში პლეი-ოფში გასვლის შანსს ინარჩუნებდნენ. გაიმარჯვეს კიდეც. თამაშის მე-80 წუთზე იან კოლერმა ერთადერთი გოლი გაიტანა, მაგრამ უფრო ადრე მოსკოვში რონალდომ გახსნა ანგარიში და ამით ყველა კითხვას უპასუხა.

შეიძლება ითქვას, სამეფო კლუბმა ამ მატჩში შექმნილი ერთადერთი ხელსაყრელი მომენტი გამოიყენა, მაშინ, როცა „ლოკომოტივმა" რამდენიმე რეალური საგოლე მომენტი გაატანა ქარს. სწორედ ეს განასხვავებს მაღალი კლასის გუნდს შედარებით სუსტისგან. ამის თაობაზე თავისი აზრი „ლოკომოტივის" მთავარმა მწვრთნელმა იური სიომინმაც გამოთქვა: „წლევანდელ გათამაშებაში უზარმაზარი გამოცდილება მივიღეთ. გავედით მეორე ჯგუფურ ეტაპზე, ამიტომ მიმაჩნია, რომ გუნდმა მთლიანობაში დადებითი შედეგი აჩვენა. კონკრეტულად ამ მატჩს რაც შეეხება, ჩვენ უპირველესად გულშემატკივართათვის ვითამაშეთ. გვინდოდა ექვსთვიანი ერთგული ქომაგობისთვის მათთვის მადლობა გადაგვეხადა, მაგრამ გუნდმა წააგო. არადა, რამდენიმე საგოლე მომენტი ვერ გამოვიყენეთ. „რეალმა" კი პრაქტიკულად ერთადერთი საგოლე მომენტი გამოიყენა. ეს არის მაღალი კლასი" - თქვა სიომინმა.

D ჯგუფში ყველაფერი გარკვეული იყო, ამიტომ ბოლო ტურის შეხვედრები უბრალო ფორმალობად გადაიქცა. ჯგუფის ლიდერებმა „მანჩესტერ იუნაიტედმა" და „იუვენტუსმა" სწორედ ამის შესაბამისი შემადგენლობები აახლეს, შესაბამისად „დეპორტივოსა" და „ბაზელს". ლა კორუნიაში „მანჩესტერმა" საერთოდ ექსპერიმენტული შემადგენლობით ითამაშა და როგორც მოსალოდნელი იყო - 0:2 დამარცხდა. ამ შეხვედრაში გოლები ვიქტორმა და ლინჩმა (საკუთარ კარში) გაიტანეს. რაც შეეხება „იუვენტუსს", „ბებერი ქალბატონი" ხიმენესის მიერ 90-ე წუთზე გატანილი გოლით დამარცხდა - 1:2. ამრიგად მომდევნო ეტაპზე „მანჩესტერ იუნაიტედი" და ტურინის „იუვენტუსი" გავიდა.

# იტალიელთა 100-პროცენტიანი შანსი, შესაძლოა, 50-იანი გამოდგეს

დიმიტრი ობოლაძე

"მილანი", "იუვენტუსი", "ინტერი" და "რომა" - ჩემპიონთა ლიგას ოთხი იტალიური გრანდი მეორე ეტაპის ბოლო ტურამდე შემორჩა. ასეთი რამ უკანასკნელ წლებში არ მომხდარა. "მილანი" და ტურინელები უკვე მეოთხედფინალში არიან. დღეს კი ასეთივე შანსი ეძლევათ "რომას" და "ინტერს". ევროპაში უკვე საუბრობენ იტალიური ფეხბურთის გამოცოცხლებაზე, თუმცა, არსებობს მეორე ვარიანტიც – შესაძლოა, მეოთხედფინალში იტალიის მხოლოდ ორი გუნდი მოხვდეს.

## A ჯგუფი

**ბაიერი - ინტერი**
**ნიუკასლი - ბარსელონა**

| ჯგუფი A | თ | მ | ფ | წ | ბ.ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ბარსელონა | 5 | 4 | 1 | 0 | 10:2 | 13 |
| 2 ინტერი | 5 | 2 | 2 | 1 | 9:8 | 8 |
| 3 ნიუკასლი | 5 | 2 | 1 | 2 | 10:11 | 7 |
| 4 ლევერკუზენი | 5 | 0 | 0 | 5 | 5:13 | 0 |

გერმანელებს არც ერთი ქულა არ მოუპოვებიათ. ასე რომ, ცხადია, "ბაიერი" დღეს ბევრ პრობლემას შეუქმნის არგენტინელი მწვრთნელის, კუპერის გუნდს, რომელიც, ფაქტობრივად, განახევრებული შემადგენლობით, თავდამსხმელების - ვიერისა და კრესპოს გარეშე ითამაშებს. კუპერი, უკვე მერამდენედ, უმძიმეს სიტუაციაშია. საკმაოდ დიდია ინგლისის "ნიუკასლ-იუნაიტედის" შანსი. დიდი ხანია, კატალონიელები მეოთხედფინალში არიან და, სხვა რომ არაფერი, დღევანდელი მატჩისთვის საბრძოლო განწყობის შენარჩუნება, ნამდვილად, გაუჭირდებათ. რობსონის გუნდი ოპტიმალური შემადგენლობით ითამაშებს. გამარჯვების შემთხვევაში იტალიელები დაუბრკოლებლად გადიან მეოთხედფინალში. არსებობს ერთი ვარიანტი, რომლის მიხედვითაც "ინტერი" და "ნიუკასლი" თანაბარი რაოდენობის ქულებს მოაგროვებენ. ეს მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იტალიელები წააგებენ, მეორე მატჩი კი ფრედ დასრულდება. ორივე გუნდი 8-8 ქულას აგროვებს, მომდევნო ეტაპზე კი იტალიელები გავლენ (კუპერის ფეხბურთელებმა გასვლით მატჩში 4:1 დაამარცხეს მეტოქე).

## B ჯგუფი

**რომა - აიაქსი**
**ვალენსია - არსენალი**

| ჯგუფი B | თ | მ | ფ | წ | ბ.ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 აიაქსი | 5 | 1 | 4 | 0 | 5:4 | 7 |
| 2 არსენალი | 5 | 1 | 4 | 0 | 5:3 | 7 |
| 3 ვალენსია | 5 | 1 | 3 | 1 | 3:5 | 6 |
| 4 რომა | 5 | 1 | 1 | 3 | 6:7 | 4 |

დღევანდელი მატჩები ოთხივე გუნდისთვის ფინალის ტოლფასია. 9(!) ვარიანტი არსებობს და აქედან "რომა" მხოლოდ ორ შემთხვევაში გადის მეოთხედფინალში.

1) თუ ორივე შეხვედრაში გაიმარჯვებენ მასპინძლები, მომდევნო ეტაპზე "ვალენსია" და "არსენალი" გადიან. ამსტერდამელებს და "არსენალს" რვა-რვა ქულა ექნებათ, ესპანელებს - 7, "რომას" კი - მხოლოდ 5.

2) თუ "რომა" გაიმარჯვებს, ხოლო მეორე მატჩი ფრედ დასრულდება, მეოთხედფინალში ლონდონელები და იტალიელები გავლენ. თუმცა, ვარიანტები აქაც არსებობს. ლონდონის გუნდს 8 ქულა ექნება, იტალიელებსა და ამსტერდამელებს კი – 7-7. პირველი მატჩი "აიაქსმა" საკუთარ მოედანზე 2:1 მოიგო. თუ იტალიელები მშრალი ანგარიშით (1:0, 2:0 და ასე შემდეგ) მოიგებენ, ურთიერთშეხვედრებში უკეთესი შეფარდებით გაასწრებენ მეტოქეს. თუ მატჩი დასრულდება 2:1, მაშინ დაითვლება მეორე ჯგუფურ ეტაპზე გატანილი გოლების რაოდენობა, სადაც უპირატესობა იტალიელთა მხარესაა. კაპელოს გუნდს, ნებისმიერ შემთხვევაში, ჰოლანდიელებზე მეტი გოლი ექნება გატანილი.

3) გაიმარჯვა "რომამ" და ესპანეთში მოიგო "არსენალმა". ლონდონელები მეოთხედფინალში არიან, "ვალენსია" ეთიშება ჩემპიონთა ლიგას. ამ შემთხვევაშიც გამოთვლებია საჭირო. იტალიელებსა და ამსტერდამელებს 7-7 ქულა ექნებათ. ისევ წინა ვარიანტის ანალოგიური სიტუაციაა: "რომამ" უნდა მოიგოს 1:0 ან ორი ბურთის სხვაობით.

ფრე "რომასა" და "აიაქსს" შორის და "ვალენსიას" მოგება. მეოთხედფინალის გზა, ბენიტესის გუნდთან ერთად, ამსტერდამელებს ეხსნებათ.

თუ ორივე მატჩი ფრედ დასრულდება, მეოთხედფინალში "აიაქსი" და "არსენალი" გადიან.

ლონდონელთა მოგების შემთხვევაში ამსტერდამელებს იტალიაში ფრეც აძლევთ ხელს.

ამსტერდამელთა გამარჯვების შემთხვევაში "ვალენსიამ" აუცილებლად უნდა დაამარცხოს ვენგერის გუნდი.

...წინააღმდეგ შემთხვევაში, მეოთხედფინალში ლონდონელები გავლენ.

თუ ორივე მატჩი სტუმრებმა მოიგეს, ჩემპიონთა ლიგის ფინალისთვის "აიაქსი" და "არსენალი" იბრძოლებენ.

ასე რომ, დღევანდელი საღამო უაღრესად საინტერესო და დაძაბული იქნება. ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალური ეტაპის კენჭისყრა 21 მარტს შედგება. გარკვეული თვალსაზრისით, პროგნოზირება აქაც შეიძლება. ცხადია, "მანჩესტერ იუნაიტედს" მეოთხედფინალში A, B ან C ჯგუფის მეორე ადგილზე გასული კლუბი შეხვდება.

რაც შეეხება საფეხბურთო სიტუაციას. ყველაზე სერიოზული პრობლემები "ვალენსიას" მწვრთნელს, ბენიტესს შეექმნა. ტრავმირებულია და დღეს მოედანზე ვერ გავა საყრდენი ნახევარმცველი კილი გონსალესი. მიმდინარე სეზონს თავად არგენტინელი ჯოჯოხეთს უწოდებს. სეზონის დასაწყისში მან ქუსლის ტრავმა მიიღო, ოპერაცია გაუკეთეს და ძირითად შემადგენლობაში მისი ადგილი ვისენტემ დაიკავა. ბოლო დროს გონსალესი მიუახლოვდა ოპტიმალურ ფორმას, მაგრამ "ატლეტიკთან" მატჩში ახალი ტრავმა მიიღო. მას მადრიდის "რეალის" ყოფილმა მცველმა, აიტორ კარანკამ ჩაარტყა. კილი 28-ე წუთზე შეცვალეს. დღეს UEFA-ს ოფიციალური პარტნიორი, სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი-2" გთავაზობთ B ჯგუფის ორივე მატჩის რეპორტაჟს. 23 საათსა და 45 წუთზე: "რომა"-"აიაქსი". მატჩის დასრულების შემდეგ კი გელით რეპორტაჟი მესტალიას სტადიონიდან.

# „დინამომ" ნავსი გატეხა

ვისი კარლოსი ჯობია?

*გუშინ ჩემპიონთა თასის მეორე ჯგუფური ეტაპის დასკვნით მატჩში მოსკოვის "ლოკომოტივსა" და მადრიდის "რეალს" შორის ტრავმის გამო მონაწილეობა ვერ მიიღო ბრაზილიელმა კარლოსმა. სამაგიეროდ, გუშინვე, საქართველოს თასის მეოთხედფინალურ შეხვედრაში თბილისის დინამოელი, ასევე ბრაზილიელი კარლოსი თავის გუნდში ერთ-ერთი საუკეთესო იყო და სწორედ მისმა გოლმა გადაწყვიტა კიდეც მატჩის ბედი.*

მიხეილ აბაიშვილი

დავით ყიფიანის თასი
1/4-ფინალი
**"დინამო" (თბილისი)**
**1:0 (0:0)**
**"ვიტ ჯორჯია" (თბილისი)**

***"დინამო":*** *გვარამაძე, ვაშაკიძე (კანდელაკი, 46`), შაშიაშვილი, ამისულაშვილი, კარლოს და როჩა, სახვაძე, გოგობერიშვილი, ანჩაბაძე (კვირკველია, 76`), დარასელია, ალექსიძე, ბობოხიძე (სამხარაძე, 82`).*

***მთავარი მწვრთნელი:*** *ივო შუშაკი*

***"ვიტ ჯორჯია":*** *მერლანი, კობიაშვილი, ინწკირველი, (მერებაშვილი, 37`), მუჯირი, გველესიანი, ნოზაძე, დიღმელაშვილი, გოჩაშვილი (ადამია, 63`), ბოლქვაძე, დათუნაშვილი, მელქაძე.*

***მთავარი მწვრთნელი:*** *ჯანი კარნევალი*

***გოლი:*** *1:0 კარლოს და როჩა, 57`*

***გაფრთხილებები:*** *კანდელაკი, გოგობერიშვილი.*

***ბორის პაიჭაძის ეროვნული სტადიონი, 400 მაყურებელი.***

მიმდინარე სეზონში "ვიტ ჯორჯია" "დინამოსთვის" ერთობ უხერხულ მეტოქედ შეიძლება ჩაითვალოს. პირველი ეტაპის პირველ წრეში, "ვიტ ჯორჯიას" მოედანზე, ამ გუნდებმა ფრედ, 1:1 ითამაშეს, თანაც, "დინამომ" მხოლოდ ბოლო წუთზე გატანილი გოლის წყალობით მოახერხა ქულის გადარჩენა. მეორე წრეში კი "ვიტ ჯორჯიამ" მისსავე მოედანზე დაამარცხა იმ პერიოდისთვის გათამაშების ერთპიროვნული ლიდერი. საერთოდაც, ბოლო სამი სეზონის განმავლობაში, როგორც სათასო, ისე ჩემპიონატის 10 შეხვედრაში, "დინამომ" "ვიტ ჯორჯია" მხოლოდ ერთხელ დაამარცხა.

თამაშს ინტრიგას მატებდა ის გარემოება, რომ მეორე ეტაპის სტარტზე, აქამდე სატურნირო ცხრილში ერთპიროვნულად დაწინაურებულმა "დინამომ" გასვლით მატჩში მარცხი განიცადა ქუთაისის "ტორპედოსთან" და ერთბაშად სამი საფეხურით ჩამოქვეითდა.

შუშაკმა არც ამჯერად უღალატა ტრადიციას და 3-4-3 ტაქტიკურ განლაგებას. მისმა ვიზავიმ სუფთა იტალიური ტაქტიკა 4-5-1 აირჩია და კარგად ორგანიზებული დაცვითი სტილი დაუპირისპირა მეტოქეს. მატჩის პირველ ნახევარში უპირატესობა სწორედ სტუმრების მხარეს იყო. ისე არ გაიგოთ, თითქოს ვიტელები ტერიტორიულ უპირატესობას ფლობდნენ. თამაში უფრო მოედნის ცენტრში მიმდინარეობდა და "დინამო" მეტოქის კართან მიახლოებას ვერ ახერხებდა. საპირისპიროდ, ვეტერინარებმა ერთი-ორჯერ მწვავე კონტრშეტევის ორგანიზება მოახერხეს. პირველ ტაიმში დინამოელებმა სულ სამჯერ დაარტყეს მერლანის კარის მიმართულებით და სამჯერვე ბურთი დიდი მანძილით აცდა მიზანს.

მეორე ნახევარში "დინამო" გამოცოცხლდა და მატჩის მართვის სადავეებიც ხელთ იგდო. პირველი სერიოზული შეტევა ლოგიკური დასასრულით (მეტოქის კარში ზუსტი დარტყმით) მასპინძლებმა 54-ე წუთზე შეძლეს, თუმცა, "ვიტ ჯორჯიას" საჯარიმოში შეჭრილ ბობოხიძეს, რომელმაც მეტოქე ცრუ მოძრაობით ჩამოიშორა და კარგადაც დაარტყა, გოლის გატანა მირზა მერლანმა არ დაანება. რამდენიმე წუთში კარლოსის ჯერიც დადგა - შორიდან არცთუ ძლიერ, მაგრამ უაღრესად ზუსტ მოჭრილ დარტყმას ვეტერინარების მეკარე წინ ველარ ალუდგა.

სტუმრებს შეეძლოთ, "დინამოსთან" წარმატებული სერია გაეგრძელებინათ, მაგრამ თანაგუნდელის შესაცვლელად შემოსულმა ადამიამ (ორჯერ) და მელქაძემ ასპროცენტიანი საგოლე მომენტები ვერ გამოიყენეს. ამ შეტევების ჩაშლაში ერთხელ "დინამოს" მცველებმა მიიღეს მონაწილეობა, ხოლო ორჯერ ბრწყინვალედ ითამაშა დავით გვარამაძემ, რომელიც, გამორიცხული არ არის,


უტევს "დინამო"

ირლანდიელებთან ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩში საქართველოს ნაკრების კარშიც ვიხილოთ.

ჯანი კარნევალე: "ჩვენ ორი-სამი საგოლე მომენტი გვქონდა, მაგრამ ვერ გამოვიყენეთ. "დინამოს" კი ერთხელ მიეცა შანსი და ხელიდან არ გაუშვა. დაძაბული, საინტერესო და კარგი თამაში გამოვიდა. შეგახსენებთ, რომ სათასო დაპირისპირება ორი მატჩისგან შედგება და თუ დღეს "დინამოს" გაუმართლა, განმეორებით შეხვედრაში შეიძლება ფორტუნა ჩვენს მხარეს იყოს."

ივო შუშაკი: "დავეთანხმები ჩემს კოლეგას – ძალიან კარგი თამაში გამოდგა. უმნიშვნელოვანესი მატჩი მოვიგეთ, რაც, პირველ რიგში, "ტორპედოსთან" დამარცხების შემდეგ, ჩვენთვის ფსიქოლოგიური თვალსაზრისით იყო საჭირო. შედეგით კმაყოფილი ვარ, თუმცა, ანგარიში არც ერთ გუნდს არ აძლევს მშვიდად ყოფნის უფლებას. ნახევარფინალისტის ვინაობა განმეორებითი მატჩის შემდეგ გაირკვევა."

დანარჩენი სამი მეოთხედფინალური მატჩიდან ორში სენსაციური ანგარიში დაფიქსირდა. ქუთაისში, ჩემპიონატის ლიდერმა, "ტორპედომ", გორის "დილა" დაამარცხა - 1:0. თბილისის "ლოკომოტივმა" კი ვაკეში, წნორის "მილანთან" მატჩი ფრედ - 0:0 დაასრულა. პირველ მეოთხედფინალურ შეხვედრაში პრობლემები არ შექმნია მხოლოდ ბოლნისის "სიონს", რომელმაც მეორელიგელ "სპარტაკთან" დიდი ანგარიშით - 4:0 გაიმარჯვა.

ჩოგბურთი

# ბორის ბეკერი: „გერმანიაში ჩოგბურთი ისევ პოპულარული უნდა გახდეს!„

ნინო პირველი

სანამ დიდ ჩოგბურთში ბორის ბეკერი და შტეფი გრაფი მოვიდოდნენ, გერმანიაში სპორტის ეს სახეობა დიდი პოპულარობით არ სარგებლობდა. სამაგიეროდ, ფეხბურთი იყო ყველასთვის საყვარელი. არც არის გასაკვირი - ფეხბურთში გერმანელებს საოცარი წარმატებები ჰქონდათ, ჩოგბურთში კი დიდი გამარჯვებებით, ნამდვილად, ვერ დაიკვეხნიდნენ.

როცა ასპარეზზე შტეფი გრაფი და ბორის ბეკერი გამოჩნდნენ, სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა. გერმანიამ ჩოგბურთისკენ იბრუნა პირი. კორტზე სიარული პრესტიჟულიც კი გახდა. ბეკერმა და გრაფმა გერმანელ გულშემატკივრებს არა ერთი დიდი გამარჯვება აჩუქეს, პირველი ჩოგნის საპატიო წოდებასაც დიდხანს ფლობდნენ და, საერთოდ, მსოფლიოს უძლიერეს ჩოგბურთელებად ითვლებოდნენ. გერმანიაში კი ჩოგბურთს ზეობის ხანა ედგა.

მაგრამ ნელ-ნელა ყველაფერი ისევ შეიცვალა. შტეფი გრაფი და ბორის ბეკერი წავიდნენ პროფესიული სპორტიდან. ახალი თაობის წარმომადგენლები კი წინამორბედთა მსგავსი გამარჯვებებით ველარ ანებივრებდნენ გულშემატკივრებს. გერმანიაში ჩოგბურთი კვლავ მიივიწყეს. არც ეს არის გასაკვირი. უიმბლდონისა და როლან გაროსის ჯილდოებს მიჩვეული ფანები აღარ კმაყოფილდებოდნენ მიხაელ შტიხის ან ანკე ჰუბერის მოკრძალებული წარმატებებით და ძველი დიდების დაბრუნება სურდათ. ახალი თაობის ძალებს კი ეს, ნამდვილად, აღემატებოდა. გულშემატკივრებმაც ნელ-ნელა დაკარგეს ინტერესი ჩოგბურთის მიმართ. შარშანდელი დევისის თასი არც კი უჩვენებიათ ტელევიზიით...


ბორის ბეკერი

ქალთა ჩოგბურთში გერმანელებს შტეფი გრაფის მსგავსი სპორტსმენი დღესაც ენატრებათ. ვაჟები უფრო იძლევიან ბორის ბეკერის ბრწყინვალე ხანის დაბრუნების იმედს. ტომი ჰაასი და რაინერ შიუტლერი მთლად ბეკერის მსგავს წარმატებებს ვერ აღწევენ, მაგრამ გულშემატკივარს, ასე თუ ისე, მაინც ასიამოვნებენ. ახლახან თავად ბორის ბეკერმა გადაწყვიტა, იზრუნოს გერმანიაში ჩოგბურთის პოპულარიზაციისთვის.

მან, როგორც იქნა, თავი დააღწია ოჯახურ უსიამოვნებებს და ისევ დაუბრუნდა თავის საყვარელ საქმეს, მაგრამ ამჯერად ხელმძღვანელისა და მენეჯერის ამპლუაში. ალბათ, გახსოვთ, რა მძიმე დღეში იყო შარშან ჰამბურგის მასტერსის ტურნირი. საჭირო თანხის არარსებობის გამო მის გაყიდვასაც კი აპირებდნენ, მაგრამ საქმეში ჩაერია ბორის ბეკერი და ყველაფერი მოგვარდა. ბეკერმა საჭირო ფინანსებიც იშოვა და იმის გეგმაც შეიმუშავა, თუ როგორ უნდა გახდეს ჰამბურგის პაექრობა ყველასთვის საინტერესო.

"ეს ტურნირი ყველასგან განსხვავებული იქნება. ჰამბურგში მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელები ითამაშებენ. საზოგადოებას ერთდროულად ექნება ჩოგბურთითა და მუსიკით ტკბობის საშუალება, რადგან შესვენებაზე ცნობილი მუსიკოსები ყველასთვის საყვარელ სიმღერებს შეასრულებენ. წლევანდელ ჰამბურგულ მაისს ჩოგბურთის ვერც ერთი გულშემატკივარი ვერ დაივიწყებს", - გვპირდება ბეკერი.

წარსულში სახელგანთქმული ჩოგბურთელი არც კორტზე დაბრუნებაზე ამბობს უარს. ბეკერს გადაწყვეტილი აქვს, მონაწილეობა მიიღოს დევისის თასის გათამაშებაში, სადაც მისი პარტნიორები იქნებიან მიხაელ შტიხი და პატრიკ კიუნენი. "საზოგადოებას ძალიან უნდა, კორტზე გვნახოს მე და ჩემი ბებერი მეგობრები. ძალიან კარგი, მაგ სურვილს აუცილებლად შეგისრულებთ", - სიცილით ამბობს 36 წლის ბეკერი, რომელსაც სერიოზულად აქვს გადაწყვეტილი, გერმანიაში ჩოგბურთი ააყვავოს და თავადაც სჯერა, რომ მის სამშობლოში ჩოგბურთი სულ მალე ფეხბურთივით პოპულარული გახდება.

# საბონისი ლიტვაზე უარს ამბობს

ლიტვის საკალათბურთო ნაკრების მთავარმა დამრტყმელმა ძალამ, არვიდას საბონისმა, უარი განაცხადა ევროპის ჩემპიონატზე ლიტვის ნაკრებში თამაშზე. მისი თქმით, ამ პერიოდში ის ესპანეთში აპირებს დასვენებას: "ისედაც ძალიან ცოტას ვისვენებ და ამ დროის გაცდენა ნამდვილად არ მინდა. იმდენად დაღლილი ვარ, რომ გუნდს სრულფასოვნად ვერ დავეხმარები. ასეთ დროს დასვენებაა საჭირო".

საბონისის გარდა, ლიტვის ნაკრებს მეორე ცენტრი, NBA-ში მოთამაშე ჟიდრუნას ილგაუსკასიც დააკლდება. საბონისის უარმა იქონია გავლენა თუ სხვა რამ მიზეზი ჰქონდა, ილგაუსკასმაც უარი თქვა, ითამაშოს ევროპის ჩემპიონატზე. ასე რომ, ლიტველთა წარმატების შანსი მნიშვნელოვნად შემცირდა. "ამერიკელთა" უარმა გუნდს მხოლოდ ერთი - მოსკოვის ცსკა-ში მოთამაშე დარიუს სონგაილა დაუტოვა, ვეტერანები ეინიკისი და ჟუკაუსკასი კი ფორმაში არ არიან.

# გრანტ ჰილი მეოთხე ოპერაციას ელის

არა და არ დაადგა საშველი გრანტ ჰილის გამოჯანმრთელებას. უახლოეს მომავალში კალათბურთელს მეოთხე ოპერაციას გაუკეთებენ მარცხენა ფეხზე, რომელიც, იმედია, საბოლოო აღმოჩნდება. ფეხის ტკივილის გამო სამი სეზონის განმავლობაში კალათბურთელმა 200 მატჩი გამოტოვა. "იმედია, ახლა მაინც დასრულდება ყველაფერი. ამდენი ავადმყოფობა უკვე აუტანელია, თამაში მინდა, თამაში", - განაცხადა ჰილმა.

მოკლედ

**ჩოგბურთი.** უიმბლდონის ტურნირი შეიძლება უკანასკნელი აღმოჩნდეს გორან ივანიშევიჩის კარიერაში. „მე მტკიცედ გადავწყვიტე უიმბლდონზე თამაში. ამ ტურნირში მაინც ვითამაშებ, ინგლისში ინვალიდის სავარძლითაც რომ წამიყვანონ - განაცხადა ივანიშევიჩმა - და თუ საჩოგბურთო კარიერის დასრულება ამ სეზონში მომიხდა, ჯობს ეს უიმბლდონზე მოხდეს. ორი წლის წინათ უიმბლდონის ტურნირის მოგების შემდეგ ხორვატ ჩოგბურთელს მხრის ტრავმა გამუდმებით აწუხებს. მაისში მას ქირურგიული ოპერაცია გაუკეთეს, მაგრამ კორტზე დაბრუნების შემდეგ ივანიშევიჩი ოთხიდან სამ მატჩში დამარცხდა ან თამაშის გაგრძელებაზე უარი განაცხადა. თუმცა, ისიც სათქმელია, რომ ივანიშევიჩი დაეხმარა ეროვნულ გუნდს დევისის თასის გათამაშებაში ამერიკელთა დამარცხებაში. ამჯერად კი ხორვატი თავის გულშემატკივარს ბუნდოვან იმედს უტოვებს. ივანიშევიჩის თქმით: „უიმბლდონზე ვითამაშებ და შემდეგ მომავალზეც ვიფიქრებ".

■ ■ ■

**კრივი.** ხულიგნებთან უთანასწორო ბრძოლა წააგო ჩელიაბინსკელმა მოკრივე ალექსანრდ ჩესტიაკოვმა. ტიუმენში გამართული რუსეთის სტუდენტური ჩემპიონატის დროს სამი ბანდიტი შეეცადა გაეძარცვა მოკრივე. ჩესტიაკოვმა თავი დაიცვა, რის შემდეგაც ერთ-ერთმა თავდამსხმელმა მას ზურგში დანა ჩაარტყა. საბედნიეროდ, ჭრილობა სასიკვდილო არ აღმოჩნდა, მაგრამ ღვიძლი დააზიანა. ექიმები ვარაუდობენ, რომ უახლოეს მომავალში ჩესტიაკოვი რინგს ვერ დაუბრუნდება.

ფორმულა 1

# ფორმულა 1 ბერნი ეკელსტოუნის შემცვლელს ეძებს

72 წლის "დიქტატორს" დღეებს უთვლიან

აკა ტონია

ბერნი ეკელსტოუნი მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი სპორტული ფუნქციონერია. როგორც საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი, ის ფორმულა 1-ის სრული ბატონ-პატრონია. ავტოსპორტის "სამეფო კლასში" (*სწორედ ასეთად მიიჩნევა ფორმულა 1*) არაფერი წყდება ეკელსტოუნის გარეშე, ის ნამდვილი დიქტატორია. მისი გადამკიდე, ფორმულა 1-ში XXI საუკუნეშიც კი ფეოდალური ხანაა, სადაც თავისი მეფე ჰყავთ – ბერნი ეკელსტოუნი.

და მაინც, 72 წლის ასაკში თვით ეკელსტოუნმაც უნდა იფიქროს, რომ ერთ მშვენიერ დღეს მისი მმართველობის ხანაც დასრულდება. თანაც, ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ ეს დღე სულ მალე დადგება. ყოველ შემთხვევაში, ავტოკონცერნები ამისთვის ყველაფერს აკეთებენ. ფორმულა 1-ის წევრი გუნდები პოსტეკელსტოუნისეული ხანისთვის ემზადებიან და უკვე ფიქრობენ იმაზე, თუ როგორ გამოიყენონ მისი წასვლა თავიანთ სასარგებლოდ. ეკელსტოუნის შემცვლელის ძიება დაწყებულია.

Renault-ის სპორტული დირექტორის, პატრიკ ფორის სიტყვები იმის დასტურია, რომ ავტოკონცერნები, მართლაც, სულმოუთქმელად ელიან ეკელსტოუნის თავიდან მოცილებას. "ჩვენ კადრებზე მონადირეც კი დავიქირავეთ, რათა ახალი ეკელსტოუნი ვიპოვოთ. ეს ადამიანი საერთაშორისო ფორმატის უნდა იყოს, ჩვენს სპორტს კარგად იცნობდეს, მარკეტინგი და ტელეტრანსლაციის საკითხი კარგად ესმოდეს და ნამდვილი შეფი იყოს", - ამბობს ფორი. ასეთ ნაბიჯს მხოლოდ ერთი ახსნა აქვს: ბერნი ეკელსტოუნის ადგილზე თავიანთი კანდიდატის მოყვანით, Renault-ს, DaimlerChrysler-ს, BMW-ს და კომპანიას საერთაშორისო ავტოსპორტის ფედერაციაში მეტი სიტყვის უფლება გაუჩნდებათ.


ბერნი ეკელსტოუნი

BMW-ს სპორტული დირექტორი, გერჰარდ ბერგერი აცხადებს: "ავტომწარმოებლებმა კარგად იციან, რომ ბერნი ეკელსტოუნი თანამდებობაზე კიდევ ოც წელიწადს ველარ დარჩება. მათ უნდათ, გაარკვიონ, თუ რა ელით მომავალში. სურთ, ყველაფერი კარგად იყოს ორგანიზებული და ფინანსური სტაბილურობა შეინარჩუნონ".

ეკელსტოუნის შემცვლელის ძიებას ზოგიერთები სკეპტიკურად უყურებენ. ფორმულა 1-ის ავსტრიელი ექსპერტი, ჰანს-იოახიმ შტუკი მიიჩნევს, რომ კარგი კანდიდატი საერთოდ არ მოიძებნება. "ჯერჯერობით, ბერნის შემცვლელს საერთოდ ვერ ვხედავ. ეკელსტოუნი სპორტის ამ სახეობას მთლიანად აკონტროლებს. დიდი გამოცდილება და ფორმულა 1-ის ფუნდამენტური ცოდნა მისი პლუსებია", - აცხადებს შტუკი.

სკეპტიკურად არის განწყობილი ედი ჯორდანიც: "ეჭვგარეშეა, ეკელსტოუნი საუკეთესოა. მას, ვინც ბერნის შეცვლის, მთელი ცხოვრება ავტოსპორტში უნდა ჰქონდეს გატარებული. ამ ადამიანებს დიდ პატივს ვცემ, მაგრამ, როგორ ფიქრობთ, იურგენ ჰუბერტი Mercedes-იდან ან პატრიკ ფორი Renault-იდან ღირსეულად შეცვლიან ეკელსტოუნს?" ამ თვალსაზრისით, პატრიკ ფორი თავად იზიარებს ედი ჯორდანის პოზიციას და აცხადებს: "ყველა ეჭვი რომ გავაქარწყლო, გეტყვით: კანდიდატურა არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს ერთ-ერთი ჩვენგანი. მაშინაც კი, თუ ლუკა მონტეძემოლო (*Ferrari-ს პრეზიდენტი*) ეკელსტოუნის საუკეთესო შემცვლელი იქნება, ის ამ თანამდებობას ვერ დაიკავებს". ფორის წინადადება ასეთია: ბერნი ეკელსტოუნი არც ერთი გუნდის მოქმედმა შეფმა არ უნდა შეცვალოს.

ფაქტი ერთია: ფორმულა 1 ვერ იმუშავებს, თუ მას რომელიმე გუნდის ახლანდელი შეფი უხელმძღვანელებს. შტუკი ამბობს: "იმ შემთხვევაში, თუ ეკელსტოუნის შემცვლელად რონ დენისი, ფრენკ ვილიამსი, ედი ჯორდანი ან კიდევ ვინმე მათი მსგავსი მოგვევლინება, ფორმულა 1 უფსკრულის წინაშე აღმოჩნდება. ყველა მათგანი საკუთარი გუნდის სასარგებლო გადაწყვეტილებებს მიიღებს. ფორმულა 1 მხოლოდ დიქტატურის პირობებში ფუნქციონირებს".

იმ ფაქტს, რომ ერთ დღეს ბერნი ეკელსტოუნი, მართლაც, უნდა შეიცვალოს, ვერავინ უარყოფს. მაგრამ ვინ უნდა შეცვალოს ის? უკანასკნელ ხანს საუბარი იყო ნიკი ლაუდასა და გერჰარდ ბერგერზე. ჰანს-იოახიმ შტუკი ორივე კანდიდატურას ახლავე გამორიცხავს. "ნიკი ლაუდამ მრავალჯერ დაამტკიცა, რომ კარგი ხელმძღვანელია, მაგრამ ფორმულა 1-ის სათავეში მოსვლისათვის მზად არ არის. ამას ის თვითონაც არ ისურვებს. გერჰარდ ბერგერი, მით უმეტეს. მას ამისთვის საჭირო განათლება და გამოცდილება არა აქვს", - ამბობს შტუკი. ფორმულა 1-ის ექსპერტის აზრით, არსებობს მხოლოდ ერთი ადამიანი, რომელიც ეკელსტოუნის შეცვლას შეძლებს: "იდეალური გამოსავალია მაქს მოზლი. ის მთელ ინდუსტრიას აკონტროლებს, ფორმულა 1-ს იდეალურად იცნობს. როგორც საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტს, ცხადია, მას არც ფორმულა 1-ის მართვა გაუჭირდება. მოზლი ერთადერთია, ვინც ახლა მაგონდება".

შტუკისგან განსხვავებით, ფორმულა 1-ის სამყაროს სხვა წარმომადგენლები უამრავ კანდიდატურას ასახელებენ. ეკელსტოუნის შესაძლო შემცვლელთა სიაში ფიგურირებს Phillip Morris-ის ყოფილი მენეჯერის, ჯონ ჰოგანის საკმაოდ უცნობი გვარიც. ახლა ის Jaguar-თან თანამშრომლობს.

ამ მომენტისთვის ყველაფერია შესაძლებელი. ჯერ უცნობია, თუ ვისი მოსაზრება გაიმარჯვებს. უცნობია ისიც, თუ როდის დათმობს ეკელსტოუნი თავის პოზიციებს.

მსოფლიოს ექს-ჩემპიონი, ჯოდი შეკტერი მიიჩნევს, რომ ეკელსტოუნი დღესვე უნდა წავიდეს. "მან და მაქს მოზლიმ თავი დაგვანებონ, სადაც უნდათ, იქ წავიდნენ", - ამბობს შეკტერი.

თუმცა, საქმე ასე იოლად არ არის...

ისტორიული ფოტო

# ეს იყო 16 წლის წინათ...



1987 წლის 25 ივლისი, ჰოკენჰაიმი, გერმანია. LOTUS-HONDA-ს მაშინდელი პილოტი, ბრაზილიელი აირტონ სენა.

სპორტს მიღმა

# ომი და სპორტი

*დღეს, როდესაც მთელი მსოფლიოს საზოგადოებრიობის ყურადღება სპარსეთის ყურესკენაა მიპყრობილი, იბადება კითხვა: ერაყში ომის დაწყების შემთხვევაში, რას მიიღებს მსოფლიო, ჩვენ შემთხვევაში, მსოფლიო სპორტი. თუ ჰუსეინების რეჟიმი დაემხობა, ერაყის უდიდესი ნავთობის საბადოების ხელში ჩაგდების უამრავი მსურველი გამოჩნდება, გაჩანაგებულ და მიწასთან გასწორებულ ერაყში კი მოვა ის ხელისუფლება, რომელიც ქვეყნის მომავალს ჩვენში აგრერიგად პოპულარულ დასავლურ ორიენტაციას მისცემს. ამ მხრივ გამონაკლისი არც სპორტია, რომლის სადავეებიც, ბევრ სხვა რამესთან ერთად, სადამ ჰუსეინის უფროს ვაჟს, უდეის უპყრია ხელთ.*

გიგა გურასაშვილი

ერაყის ყველა სტრატეგიულ სფეროს ჰუსეინები აკონტროლებენ. ამ მხრივ გამონაკლისი არც სპორტია. თუმცა, სპორტი ამ შემთხვევაში უფრო ზოგადად ჟღერს.

1984 წლიდან, ანუ მას შემდეგ, რაც სადამის უფროსი ვაჟი, უდეი ჰუსეინი, ერაყის ოლიმპიურ კომიტეტს ჩაუდგა სათავეში, ქვეყნის სპორტულმა ცხოვრებამ დაღმასვლა დაიწყო. სპორტის ნიღაბს ამოფარებულმა უდეიმ მამის რეჟიმის განმტკიცება გადაწყვიტა. თუ რამდენად შეძლებს უდეი მამის იმპერიის დაცვას, ამას მალე შევიტყობთ. მით უმეტეს, ერაყისთვის წაყენებული 72-საათიანი ულტიმატუმი ხვალ საღამოს იწურება. მერე კი, ალბათ, ომიც გარდაუვალია.

## ცოტა რამ ისტორიიდან და აწმყოდან

1996 წლამდე უდეის სადამის მემკვიდრედ მიიჩნევდნენ. მასზე თავდასხმის შემდეგ კი იგი წელს ქვემოთ ნაწილობრივ დახეიბრდა. სადამის ახალ მემკვიდრედ უდეის უმცროსი ძმა - ქუსაი გამოიკვეთა. მასაც, ისევე როგორც უდეის, ქვეყანაში რეჟიმის შესანარჩუნებლად თუ განსამტკიცებლად, არანაკლები პასუხისმგებლობა დაეკისრა, რაშიც ამ დღეებში კიდევ ერთხელ დავრწმუნდით. უკვე საომარ მდგომარეობაზე გადაყვანილ ქვეყანაში სადამ ჰუსეინმა უმცროს ვაჟს, ქუსაის, ქვეყნის შუაგული – ბაღდადი და ოჯახის მშობლიური ქალაქი ტიკრიტი კოალიციური ჯარების დასაცავად ჩააბარა. მართალია, ოთხად გაყოფილი სამხედრო რეგიონის მთავარსარდალთა შორის უდეის სახელი არ ფიგურირებს, მაგრამ, არა გვგონია, უდეიზე ნაკლები დატვირთვა მოდიოდეს. უდეის ფიგურის გათვალისწინებით, გამორიცხული არ არის, ის რუხი კარდინალის როლს ასრულებდეს. მით უმეტეს, კვლავ თვალყურს ადევნებს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს, საინფორმაციო საშუალებებს და, რაც მთავარია, "სადამის რევოლუციურ მებრძოლთა" სახელმწიფო დაცვის სამსახურს, რომელიც მამამისს ხელისუფლების ხელყოფისგან იცავს, ყოველ შემთხვევაში, აქამდე თავად ხელმძღვანელობდა.

## ხაზზეა ერაყის ოლიმპიური შტაბბინა

ერაყიდან დევნილ სპორტსმენთა თქმით, ზემოხსენებული დაცვის სამსახური, ისევე როგორც ბევრი სხვა რამ, სწორედ ოლიმპიურ კომიტეტშია განთავსებული. ეს უკანასკნელნი მიუთითებენ იქვე არსებულ საიდუმლო საპყრობილეზეც, რომელშიც, თურმე, უდეის მიერ ათვალწუნებულ სპორტსმენებს ტანჯვაწამებაში ხდიან სულს. ფაქტების შესახებ საკმაო ინფორმაცია მოეპოვებოდა და მოეპოვება Amnesty International-სა და გაეროსაც. თვითმხილველთა შორის, ბუნებრივია, თავად ერაყელი სპორტსმენები და უბრალო მოქალაქეები არიან.

ლონდონში არსებულმა ადამიანთა უფლებების დამცველმა ჯგუფმა, ამ და სხვა ფაქტების გამო, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (სოკ-ი) ეთიკის კომისიას რამდენჯერმე მიმართა თხოვნით: სოკ-ის ეთიკის კოდექსის დარღვევის გამო ერაყი დიდი ოლიმპიური ოჯახიდან გარიცხოს. სოკ-ი, რომელსაც არავითარი გავლენა არა აქვს ერაყის ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელზე, ისევ ვერ გარკვეულა, რა მოიმოქმედოს. თუმცა, საომარი მოქმედებების დაწყების შემდეგ ამის საჭიროება აღარ იქნება.

## ცხოვრება (სპორტული) გრძელდება

საერთაშორისო სპორტული ფედერაციები ირწმუნებიან, რომ საომარი მოქმედებების დაწყება სპორტულ კალენდარზე არ იმოქმედებს. სპორტის მამამთავრებს მიაჩნიათ, რომ რაიმეს შეცვლა უკვე გვიანია. თუმცა, პირობას დებენ, რომ ყველა საერთაშორისო ასპარეზობა გაორმაგებული უსაფრთხოების ნორმებით ჩაივლის.

UEFA ირწმუნება, რომ 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები გეგმის მიხედვით გაიმართება. იგივეს აცხადებენ ფორმულა 1-ის ხელმძღვანელობაშიც. კერძოდ, ცვლილებები არც გრან-პრის მსოფლიო კალენდარს ემუქრება. ათენის ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორები კი აცხადებენ, რომ 2004 წლის უმთავრესი ღონისძიებისთვის მზადება ჩვეულ ტემპში წარიმართება.

## თანდართული კომენტარები

"უსაფრთხოება ყოველთვის უმნიშვნელოვანესია. თუ შევატყობთ, რომ რომელიმე მატჩს რაიმე საფრთხე ელის, მაშინვე ჩავერევით, მაგრამ ამ ეტაპზე ჩვენ არ შეგვიძლია, გავაუქმოთ ან შევცვალოთ მატჩი",- აცხადებს UEFA-ს წარმომადგენელი მაიკ ლი. "ჩვეულებრივი, მორიგი საქმიანი დღე გველის. ასე რომ, რაიმე განსაკუთრებული გეგმები არა გვაქვს",- ასეთია საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის (FIA) განცხადება ფორმულა 1-ის 23 მარტის მალაიზიის გრან-პრის გათამაშების წინ.

"იმედი გვაქვს, რომ ომის ქარცეცხლი 2004 წლამდე მინავლდება. სამწუხაროდ, ოლიმპიურ თამაშებს არაერთხელ გამოუვლია საერთაშორისო კრიზისი. ერაყის კრიზისი კი ათენის ოლიმპიური თამაშების გახსნამდე 18 თვით ადრე დაიწყო. ასე რომ, ამ უკანასკნელთა შორის რაიმე კავშირს ვერ ვხედავ", - საბერძნეთის კულტურის მინისტრს, ევანგელოს ვანიზელოს, იმედი აქვს, რომ 2004 წლამდე ერაყის პრობლემა მოგვარდება.

ქართულ ლიგაში გაწევრიანების მსურველებს გთხოვთ დაგვიკავშირდეთ შემდეგ ტელეფონებზე: 91-07-23; 91-07-45 ამ მობრძანდეთ შემდეგ მისამართზე: წერეთლის გამზირი 118 (ყოფილი "კოსმოსი"-ს შენობა) ყოველდღე 900-დან 2000-მდე.
"ქართული ლიგა" (საქართველოს ომის ვეტერანთა სამოქალაქო კავშირი)

თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

**ა ც ხ ა დ ე ბ ს**

სტუდენტთა მიღებას 2003-2004 სასწავლო წლისათვის.

ფაკულტეტზე მომავალი სტუდენტების მიღების პროცესი დასრულდება 2003 წლის 10 ივნისს.
ფაკულტეტზე ჩარიცხულ სტუდენტთა სია გამოქვეყნდება არა უგვიანეს ა.წ. 15 ივნისისა.
საბუთების მიიღება 2003-2004 სასწავლო წლისათვის დამთავრდება ა.წ. 15 მაისს.

მიღების წესები იხილეთ www. dphss.org ან მიაკითხეთ ინფორმაციისათვის ფილოსოფიის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამდივნოს.
**მისამართი:** თბილისი, ჭავჭავაძის 45, II სართული. ტელ. 223742

**ბალანსის**
შედგენა, აუდიტი-დასკვნა, დეკლარაციების შევსება.
**ფირმების რეგისტრაცია**
შ.პ.ს; კავშირი (არასამთავრობო), სადამფუძნებლო დოკუმენტაციის მომზადება, აუდიტორული დასკვნის გაცემა საწესდებო კაპიტალზე.
1 საათში. მოგემსახურებით ადგილზე
მის: კოსტავას 76. (სააკაძის მოედანთან). ტ: 33 73 54; 899-57 73 15; 877-71 18 22




## ბინები

### იყიდება

იყიდება ერთი ოთახი აღმაშენებლის 82-ში იტალიურ ეზოში I სართულზე, გამოდგება საოფისედ,. ფას: 5600$. ტელ: 34-06-65, 34-85-40, 899 266 221.

იყიდება ბუდაპეშტის ქ. 10-ში 2-ოთახიანი ბინა ლოჯიით, რემონტით, მე-5 სართ. ფასი 18 000. ტელ: 899 901729

**იყიდება 3-სართულიანი კერძო სახლი მცხეთაში, ფიქრის გორაზე - შიო მღვიმელის ქ. 4 - 600 კვ. მ. მიწის ნაკვეთით. არის ბუნებრივი აირი, ტელეფონი თბილისის ნომრით, საცურაო აუზი და ავტოფარეხი ორი ავტომობილისათვის. სახლი აშენებულია 1992 წელს. დარეკეთ ტელეფონზე: ტელ: 94-12-12, იკითხეთ ლია.**

**იყიდება 2,5-იანი გარემონტებული სუფთა ბინა, რკინის კარით, პარკეტით, ბუნებრივი აირით, ორი აივნით, სათავსოებით, ორი სარდაფით, ავტოფარეხის ადგილით. ორხევი, მუხაძის 6/6, I სადარბაზო, III სართ., N7. ტელ: 76-87-48, 893 32-28-12, 893 20-75-91.**

იყიდება 2,5-ოთახიანი, არასტანდარტული სუფთა ბინა მე-6 სართულზე. 40 კვ.მ. მიშენებით ქვედა ბახტრიონზე, N22-ში. ფასი 24 000. ტელ: 38-32-50

საშუამავლო ფირმა „კახი-98" დაგეხმარებათ ბინების ყიდვა-გაყიდვა-გაქირავებაში. აღმაშენებლის 72/2. 23 70 91, 96 66 24, 8(77) 71 05 90

საშუამავლო ფირმა „კახი-98" დაგეხმარებათ თანხის სესხება-გასესხებაში ბინის მყარი გარანტიით. აღმაშენებლის 72/2. 23 70 91, 96 66 24, 8(77) 71 05 90

იყიდება 2-ოთახიანი კერძო სახლი ტელეფონით, მუდმივი წყლით, დიდი ეზოთი. ფასი შეთანხმებით. 74 35 35, 8(99) 18 14 80

## მიწის ნაკვეთი

იყიდება ბაზალეთის ტბის პირას საუკეთესო მიწის ნაკვეთი. ფასი შეთანხმებით. ტელ: 95-52-92.

## კომერც. ფართი

ვიქირავებ რესტორანს დიღმის გზაზე. ტელ: 95 21 46 (10-სთ-დან 17 სთ-მდე). იკითხეთ ირაკლი ან ნუგზარი

## ბინები

### ქირა, გირაო

ქირავდება!
სახლი აღმაშენებლის გამზ. №151 (24-ე სკოლასთან); ევრორემონტით. საერთო ფართი 200 კვ.მ. 6 ოთახი, 2 სველი წერტილით, ტელეფონით, გათბობით, ცხელი წყლით. 2 შესასვლელით. II სართული. გამოდგება საოფისედ.
ტელ: 37-28-77; 93-16-11; 899 539097

## მანქანები

**იყიდება !**
**ა/მ AUDI 90 Coupe GT. 1988 სპორტული, ოქროსფერი, ძრავი 2,3 ხუთცილინდრიანი, ტყავის სალონი, გიდრავლიკა, ლუქი. კარგ მდგომარეობაში. საწყისი ფასი 1500$**
**ტელ: 899 16 28 68**

## სწავლება

**ვამზადებ სტუდენტებსა და ექიმებს სასერტიფიკაციო გამოცდისთვის სპეციალობებში (ექიმი თერაპევტი, ზოგადი პროფილის ექიმი-მკურნალი). tel: 64-63-40, 893 282-559**

ვამზადებთ ხის კარ-ფანჯრებს, ავეჯს წინვოვანი წაბლით, ტრანსპორტირებით და ჩაყენებით. 52 41 51

ინგლისში სტაჟირებული პედაგოგი შეგასწავლით ინგლისურ ენას თქვენი მიზნების გათვალისწინებით. აგრეთვე, მიიღებთ კონსულტაციებს დიდ ბრიტანეთში სწავლა-განათლების შესახებ. ტელ: 95-20-34, 96-64-12, 893 219442.

შევასწავლი იტალიურ ენას ინდივიდუალურად. ტელ: 899 297717.

მოვამზადებ ფიზიკა-მათემატიკაში სკოლის მოსწავლეებს, აბიტურიენტებს, მოსამზადებლის სტუდენტებს. ტელ: 44 43 საღამოს, 61 29 76

## სხვადასხვა

დავასაქმებ ავტობუსის მძღოლებს! 29-10-82, 22-48-20

ვარ სასიამოვნო გარეგნობის გოგონა. ვეძებ სამუშაოს კარგი ანაზღაურებით. ვიმუშავებ სუპერმარკეტში ან მაღაზიაში. 68 86 55 ელზა

ვთარგმნი სამედიცინო და ნებისმიერი სირთულის ტექსტს ინგლისური, გერმანული და რუსული ენებიდან შეღავათიან ფასში. 75 53 55

ვარ 27 წლის, უმაღლესი განათლებით. ვიმუშავებ ძიძად, გამყიდველად ან რაიმე სამუშაოზე. 67 01 50 მედეა

სილამაზის სალონი "ცია" გთავაზობთ მაღალკვალიფიციურ მომსახურებას, (სტილისტები, კოსმეტოლოგი, პედიკური, მანიკური) დ. აღმაშენებლის 146, ტელ: 95-66-82

იყიდება საორსულო ტანსაცმელი და ბანდაჟები, მოხრილობის, წელისა და ფეხის ასადგამი ქამრები, ბრტყელტერფიანებისთვის სუპინატორები და ორთოპედიული ბალიშები ტელ: 53-46-41

თქვენი კიბეების დიზაინი და მისი მოწყობა. ტელ: 22 06 22

**იყიდება Sony Playstation, ორიგინალი (შეძენილია გერმანიაში). 2 ჯოისტიკით, 2 Memory Card-ით და 30 სათამაშო დისკით. შესანიშნავ მდგომარეობაში. ფასი 150 დოლარი. ტელ: 877-400410**

**იყიდება კომპიუტერი Pentium I. ფასი 120$**
**ტელ: 30-56-90 ზურა.**




**კომპანია "InterCor .comServis" გთავაზობთ შემდეგი სახის კომპიუტერულ მომსახურებას:**
ინსტალაცია/მოწყობილობების გაუქმება, კომპიუტერის კონფიგურაცია კლიენტის მოთხოვნის შესაბამისად, სისტემის ოპტიმიზაცია, ინტერნეტში ჩართვა, ადგილობრივი ქსელების დაყენება და მომსახურება, მათი მუშაობის უზრუნველყოფა, ინდივიდუალური პროგრამების შედგენა. ყველა სამუშაო ჩატარდება ადგილზე, ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტის შემთხვევაშიც.
**ტელ: 92 17 74, 98 22 87, 92 02 49**

**მ. თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრის სპექტაკლი**
**"ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს**
**რეჟ. გ მარგველაშვილი**
**მთ. როლებში: ნ. ჭანკვეტაძე და გ. პიპინაშვილი**
**23 მარტი, დას. 19.00 სთ.**
**მის.: ვაჟა-ფშაველას გამზ. 43**
**პროფკავშირების კულტურის ცენტრი**










## აფიშა

### თეატრები

**თეატრალური სარდაფი**
ნანა ჭანელიძე "ანტიგონე", რეჟ. ნანა ჭანელიძე, მთავარ როლებში ნანა ხუსკივაძე, კახა აბუაშვილი
დას: 20:00 სთ; ფასი 5 ლარი

**თავისუფალი თეატრი**
"ჭინსების თაობა (დაგვიანებული რეკვიემი)", რეჟ. დათო დოიაშვილი
დას: 19:00 სთ; ფასი 3,7,10 ლარი

### საგამოფენო დარბაზები

**TMS**
ანრი ბასილაიას პერსონალური გამოფენა

**„ქარვასლა„**
მაია ავალიშვილის პერსონალური გამოფენა

**უნივერსი**
გია გუგუშვილის (უმცროსი) ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

**ეროვნული გალერეა**
თემო გოცაძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

**ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა ნახატების გამოფენა**
გალერეის ოქროს ფონდის გამოფენა

**N გალერეა**
ვიდეოარტი "შავი ყუთი"

**ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი**
ხალხური რეწვა

### კინოთეატრები

**„ამირანი„**
"სიყვარულის ისტორია"
დას: 13:30; 18:00 სთ; ფასი 5-8 ლარი
"ზარი"
დას: 14:30 სთ; ფასი 5,6 ლარი
"სიყვარულის შეტყობინებით"
დას: 20:00; 22:00 სთ; ფასი 7,8 ლარი

**„ელისო„**
"თანამშრომლები"
დას: 15:00; 19:00 სთ; ფასი 5 ლარი
"მოახლე მანჰეტენიდან"
დას: 17:00; 21:00 სთ; ფასი 5 ლარი

**„რუსთაველი„**
"მოახლე მანჰეტენიდან"
დას: 15:00; 19:00 სთ; ფასი 5 ლარი
"თანამშრომლები"
დას: 17;00; 21:30; ფასი 5,7 ლარი

**ფრანკოფონიის კვირეული**
ეროვნული ბიბლიოთეკა
მხატვრული ფილმი "ბოლო ამოსუნთქვამდე", რეჟ. ჟ.ლ. გოდარი
დას: 16:00 სთ
შვეიცარული წიგნების გამოფენის პრეზენტაცია (ალექსანდრე დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრის მედიათეკა)
დას: 18:30 სთ

## TV პროგრამა 19 მარტი

### რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 მულტსერიალი „პაწაწინა ონავრები"
08.00 დილა მშვიდობისა
09.40 სერიალი „ქალთა ქვეყანა"
10.40 სერიალი „ალფი"
11.10 ვის უნდა ოცი ათასი?
12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.40 კურიერი
12.15 სერიალი „დატყვევებული გულები"
13.30 მხ. ფილმი
15.20 ჩემპიონთა ლიგა
17.05 სერიალი „ქალთა ქვეყანა"
18.15 მულტსერიალი „პაწაწინა ონავრები"
18.40 სერიალი „მედისონის სკოლა"
19.05 სერიალი „კუსტოს წყალქვეშა ოდისეა"
20.05 სერიალი „დატყვევებული გულები"
22.00 ხალხის პირისპირ
22.50 ღამის კურიერი
23.40 ჩემპიონთა ლიგა.
02.00 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა
02.40 კლასიკა

### პირველი არხი

07.30 ალიონი
09.45 მულტსერიალი „ჯაშუშები"
10.15 მხ. ფილმი „ჩრდილი ან იქნებ ყველაფერმა ჩაიაროს"
11.15 „ცირკი"
12.00, 15.00, 20.00, 23.55 მოამბე
12.15 ტელესერიალი „ეშმაკუნა"
13.00 „ნაშუადღევს"
14.05 ქართული ენის გაკვეთილი
14.30 „წყვილები და დუეტები"
15.15 მხ. ფილმი „დონ ჟუანი"
16.50 დოკ. სერიალი „ყველანი ორბიტაზე"
17.05 ტელესერიალი „ძილის წინ"
17.20 50-50
18.00 ვესტნიკი
18.20 დოკ. სერიალი „ხელოვნების სცენარები"
18.30 ბასტი-ბუბუ
18.50 „ისტორიანი"
19.20 ტელეთამაში „იმღერე რამე"
21.00 ტელესერიალი „ეშმაკუნა"
21.50 „მათი შვილები"
22.35 ტელესერიალი „ძილის წინ"
23.00 „რა ხდება?!"
23.55 მხ. ფილმი „მიწის კონტროლი"

### პირველი სტერეო

08.00 ტოროლა
11.00 განმეორებით რუსული მუსათეული
11.45 მუსიკა
13.00 სმს შოუ
16.00 ფილმი „უცოლო"
19.00 ინფორმატორი
19.15 ქართული მუსიკა
19.30 ვიდეორადიო
21.00 ქართულ-უცხოური მუსათეული
22.00 ინფორმატორი
22.30 მუსიკა
23.00 ჩაძირობანა
00.00 ფილმი ბრავო „მზის სხივის გემო"
01.40 ფილმი ღამურა „თანახმა და წინააღმდეგი"
03.50 პაუზის გარეშე

### მეორე არხი

19.00, 22.00 „მოამბე" მეორე არხზე
19.10 მულტფილმი
19.40 სერიალი „ოჯახური ურთიერთობები"
20.30 და არს მუსიკა
21.00 დოკ. ფილმი
21.30 წარსულის ტერიტორია
22.10 ჰიტ. პარადი
22.20 მხ. ფილმი „სია"

### იბერია

08.00 ანონსი, აღსავალი
08.05 დიალოგი
10.30 მხ. ფილმი „როცა კვლავ შევხვდებით" 1 ნაწილი
12.30 დოკ. ფილმი
13.00, 15.00, 17.00, 19.00 ახალი ამბები
13.10, 18.00 დოკ. სერიალი „ექსპედიცია"
14.30 დოკ. ფილმი
14.50, 17.20, 18.30, 19.30, 21.35, 23.30, 01.05 მუსიკა
15.15 მხ. ფილმი „როცა კვლავ შევხვდებით" 2 ნაწილი
17.30 მულტფილმი
18.45 ბუნების ფერები
19.45 გადაცემა - მურადა
20.00 მხ.ფ. „გულები ატლანტიდაში"
22.00 დიალოგი
23.45 მხ.ფ. „ტელეხედვა"
01.30 ღამის ფილმი

### ევრიკა

10.30 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი
12.00 „სალონი"
13.30 ექიმი გვირჩევს
14.30 საბავშვო მუსიკალური კოლაჟი
15.00, 21.00 ვესტი
15.30 საბავშვო მუსიკალური კოლაჟის გაგრძელება
18.00 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი
19.30 სცენის ოსტატები
20.30 მულტფილმი
21.30 „სპორტის სამყარო"
22.30 თინეიჯერი
23.30 მუსიკალური პაუზა
23.55 მხ. ფილმი „მთელი მსოფლიოც არ კმარა"

### მეცხრე არხი

09.30, 14.30, 17.30, 20.30 დღის ამბები
09.50, 11.55, 14.25, 17.15, 17.50, 18.30, 19.50, 20.20, 21.00, 21.50 მუსიკა
10.00 მულტსერიალი „ალექსი"
10.30 მხ. სერიალი „ჰორასი და თინა"
11.00 მხ. სერიალი „მოჯადოება"
12.00 მხ. სერიალი „ვი. აი. პი."
12.45 მხ. ფილმი „ორმოცდაათ წელიწადში"
14.45 „ევროპის სტადიონებზე"
15.05 მხ. ფილმი „დრაკონთა ბრძოლა"
16.30 დოკ. სერიალი „ნაციონალური გეოგრაფიული საზოგადოება" მე-3 ს.
18.00 მხ. სერიალი „ჰორასი და თინა"
18.40 მულტსერიალი „ალექსი"
19.00 მხ. სერიალი „მოჯადოება"
20.00 „ევროპის სტადიონებზე"
21.15 ნინო ანანიაშვილი
22.00 „ტელემეტრი"
22.15 მხ.ფილმი „გრიგალი"
00.20 მხ. სერიალი „თოჯინების ველი"
00.45 მხ. ფილმი „შემცვლელი-2"

### იმედი

17.00, 00.55 იმედის მელოდიები
17.56, 20.57 ახალი ამბების დაიჯესტი
18.00 სერიალი „გოგონები ესპანეთის მოედნიდან"
19.00, 22.00, 00.45 ახალი ამბები
19.30, 21.00 სერიალი „განდიტური პეტერბურგი"
20.30 სპორტული პროგრამა „ესტაფეტა"
22.45 ფანების კინოკლუბი „ურჩხული" (რობერტო ბენინი)

### აჭარა

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
08.20 დოკუმენტური ფილმი
09.00, 12.00, 16.00 საინფორმაციო გამოშვება
09.15 სათავგადასავლო ფილმი „თავზეხელაღებულთა კუნძული"
11.15 დოკუმენტური ფილმი
12.15 მელოდრამა „გონება და გრძნობები"
14.40 კომედია „მანიტუს მაკასინები"
16.15 მულტფილმი
17.25 მხატვრული ფილმი „ვარსკვლავი"
19.00, 22.00, 00.00 „დღეს"
19.20 22.30, 00.30 „ნოვოსტი"
19.30 „პრესდაიჯესტი"
19.35, 22.50, 00.40 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
20.00 დოკუმენტური ფილმი
20.20 კომედია „მწვანე პასპორტი"
22.40 „პრესდაიჯესტი"
23.00, 00.45 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე
23.05, 00.50 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე
23.10 „ალტერნატივა" საავტორო გადაცემა
01.00 თრილერი „მერია"
03.30 მელოდრამა „ზღვა სიყვარული"

### VII არხი

09.15 მელოდია
09.25 „აჩიკუდა"
09.50 აუდიო-ვიდეო-ტელე
10.30 სპორტული პროგრამა - „ევროპული ფეხბურთი"
11.00 მელოდია - მოკლე შეტყობინებები
12.00 კომპიუტერული ტექნიკა
12.45 „ბიორითმი" - .
13.05 მობილურები
13.50 დისნეი და მისი მეგობრები
14.10 კომპიუტერული თამაშები
14.25 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
18.20 აუდიო-ვიდეო-ტელე
19.00 „აჩიკუდა"
19.40 მობილურები
20.20 სპორტული პროგრამა - „ევროპული ფეხბურთი"
21.00 კომპიუტერული თამაშები
21.05 „ლა-ლა-ლა"
22.00 კომპიუტერული ტექნიკა
22.30 მელოდია
22.50 „კინოკლუბი „ - „მზის დევნა".
00.55 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
01.25 „ბიორითმი" - .

### ОРТ

07.00 Телеканал „Доброе утро"
10.00, 13.00, 16.00 Новости
10.15 „Земля любви, земля надежды". Сериал
11.10 Многосерийный фильм „Следующий"
12.05 „Фабрика звезд-2"
12.35 Дисней-клуб: „Ллойд в космосе"
13.15 Детектив „За все надо платить"
14.40 „Непутевые заметки" с Дм.Крыловым
15.00 „Новый день". „Подводный мир Андрея Макаревича"
15.30 „Новый день". „Гении и злодеи"
16.15 Док. сериал „Дикие штучки"
16.35 Сериал „Секретный фарватер"
18.00 „Большая стирка" с Андреем Малаховым
19.00 Вечерние новости
19.25 „Фабрика звезд-2"
20.00 „Земля любви, земля надежды". Сериал
21.00 „Основной инстинкт". Ток-шоу Светланы Сорокиной
22.00, 00.30 Время
22.40 Многосерийный фильм „Следующий"
23.45 „Тайны века". „Дети Кремля"
00.55 „Фабрика звезд-2"
01.10 „Новый день". „Сканер"
01.40 „Новый день". „Русский экстрим"
02.10 „Апология"
03.10 Детективный сериал „Беглец"

### РТР

06.45 - 08.45 Доброе утро, Россия!
09.45 Телесериал „ПРОВИНЦИАЛЫ".
10.45 Телесериал „КОБРА. АНТИТЕРРОР".
11.45,18.20, 20.50 Вести. Дежурная часть.
12.00, 15.00,18.00,21.00 Вести.
12.20 Телесериал „ПУАРО АГАТЫ КРИСТИ. ОПАСНОСТЬ В ДОМЕ НА ОКРАИНЕ"
13.20 Мелодрама „ЛОДКА ЛЮБВИ". Телесериал
14.15 Экспертиза.
14.30 Москва - Минск.
14.45 Вести - Москва.
15.20 „Что хочет женщина". Ток-шоу
16.10 Телесериал „ТРОЕ ПРОТИВ ВСЕХ-2".
17.15 Агентство одиноких сердец.
17.45 Экспертиза.
18.50, 3.50 - 3.03 Дорожный патруль.
19.05,00.30 Вести - спорт.
19.20 Местное время. Вести - Москва.
19.50 „КОМИССАР РЕКС". Телесериал (Австрия - Германия).
21.30 Местное время. Вести - Москва.
21.50 Спокойной ночи, малыши!
21.55 Телесериал „ПРОВИНЦИАЛЫ".
23.00 Телесериал „КОБРА. АНТИТЕРРОР".
00.00 Ток-шоу „Вести +".
00.40 Телесериал „ХИЩНИКИ".

*პროგრამები იბეჭდება მედიასთან ურთიერთობის სააგენტო "ინფოზავრის" ნებართვით*



# ჟურნალისტები მომავალ ომში

თამარ ბაბუაძე




ვერავინ გაიგო, საიდან გაჩნდა წარწერა No War სიდნეის ოპერის სახლის ფასადზე. არადა, პირდაპირ ოკეანეში ამოზრდილ თეთრ შენობაზე, რომელიც გიგანტურ ფრთებს წააგავს, ყველა გარკვევით კითხულობდა ანტი-საომარ გრაფიტის. გუშინვე საერთაშორისო სააგენტოები ედინბურგელი ბავშვების ფოტოებს ავრცელებდნენ. ისინი გორაკზე მწკრივად იდგნენ და პლაკატი "არ დაესხათ თავს ერაყს" მთელ სიგრძეზე ჰქონდათ გაშლილი...

სააგენტოები ამ ფოტოებს გავრცელებით კი ავრცელებდნენ, მაგრამ "შინაურულად" ყველამ იცოდა, რომ სიდნეის ოპერის დამახინჯებას აზრი აღარ ჰქონდა: ომის დაწყებამდე უკანასკნელი 48 საათის ათვლა ხომ უკვე დაიწყო. ასე რომ, მზადება, რომელიც უცხოურმა მედიამ ომისთვის ჯერ კიდევ რამდენიმე კვირის წინ დაიწყო, გუშინ და დღეს საბოლოო ფაზაში შევიდა. სიდნეის ოპერის თეთრ ფრთებზე მისხურებული, წითელი, საპროტესტო წარწერა კი პაციფისტთა ამაო და ბოლო ვედრება აღმოჩნდა.

მაინც, როგორ ემზადება მსოფლიო მედია ომისთვის?

ბუნებრივია, მხოლოდ ბოლო ოცი წლის განმავლობაში ჟურნალისტებს მდიდარი საომარი პრაქტიკა დაუგროვდათ. ერთ-ერთი, 1991 წელს მომხდარი ეპიზოდი კი შინაარსით, მიზნებითა და გეოგრაფიით განსაკუთრებულად წააგავს ომს, რომელიც კარს გვადგას. იგივე ნავთობი, იგივე ჰუსეინი, თითქმის იგივე ბუში და იგივე მედია. მედია, რომელსაც ჯორჯ დაბლიუ ბუში ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე ეუბნება: **"საკუთარი უსაფრთხოების მიზნით, ყველა უცხოელმა, მათ შორის ჟურნალისტებმაც და დამკვირვებლებმაც ერაყი სასწრაფოდ უნდა დატოვონ"**. ასე რომ, აქტუალური ხდება მარადიული ჟურნალისტური კითხვა: რა უფრო მთავარია – ახალი ამბის მოპოვება, თუ მის მოსაპოვებლად გაგზავნილი რეპორტიორის სიცოცხლე.

როგორც ჩანს, რიგ შემთხვევებში CNN-იც კი უპირატესობას მეორე პუნქტს ანიჭებს და ბაღდადში გაგზავნილ ჟურნალისტთა რიცხვს ამცირებს. ჯერ კიდევ გუშინწინ, ევაკუაციის ბრძანება მიიღეს CNN-ის ერთმა რეპორტიორმა და ერთმა ოპერატორმა. თუმცა, ბაღდადში კვლავაც რჩებიან ნიკ რობერტსონი (ამ ჟურნალისტს CNN-ის ერთგული მაყურებელი კარგად ცნობს) და რიმ ბრაჰიმი, რომლებიც მსოფლიოს ომის შესახებ უახლეს ამბებს მიაწვდიან. CNN-ში აცხადებენ: "ჟურნალისტებს ბაღდადში იქამდე დავტოვებთ, სანამ გვეცოდინება, რომ მათ საფრთხე არ ემუქრებათ". უკან გაიწვიეს ABC-ისა და NBC-ის კორესპონდენტებიც, რაც არხების ხელმძღვანელებმა ასე ახსნეს: "დგება დრო, როდესაც გადაწყვეტილების მიღება ძალზე სარისკოა".

თუმცა, ასე არ ფიქრობს NBC-ის ვეტერანი ჟურნალისტი პიტერ არნეტი. ის ბოლომდე ბაღდადში დარჩენას აპირებს: "მე აქ ვრჩები ჩემს ჯგუფთან ერთად, რადგან ვფიქრობ, რომ ბაღდადისთვის ბრძოლა გაცილებით უფრო არსებითია, ვიდრე აქ ყოფნის საფრთხე... მჯერა, მთელი ეს ამბავი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ გასაშუქებლად ნამდვილად ღირს".

არნეტი დილემას საფრთხესა და ახალ ამბავს შორის, ახალი ამბის სასარგებლოდ იმიტომაც ჭრის, რომ ძალზე გამოცდილი ჟურნალისტია. ეს ის კაცია, რომელმაც ვიეტნამის ომის გაშუქებისთვის პულიცერის პრიზი მიიღო, მოვლენების შუაგულში ტრიალებდა 1991 წელს, სპარსეთის ყურის ომის დროსაც, ხოლო მას შემდეგ, რაც CNN-მა უარი თქვა მისი მასალის გადაცემაზე, რომელიც სპარსეთის ომის დროს ამერიკელების მიერ ნერვული გაზის გამოყენებას ეხებოდა, ეს კორპორაცია დატოვა კიდეც. ანუ, ამ კონკრეტულ შემთხვევაში საქმე გვაქვს აშკარად გამორჩეულ პროფესიონალთან, რომელიც ყოყმანის გარეშე იღებს გადაწყვეტილებას. სხვა შემთხვევებში კი ახალი ამბების კორპორაციები გულწრფელად აღიარებენ: "ბალანსის პოვნა უსაფრთხოებასა და ნიუსს შორის ძალიან გვიჭირს".

ჟურნალისტსა და რეპორტიორს სამშობლოში აბრუნებს გაზეთი "ნიუ იორკ ტაიმსიც". თუმცა, რეგიონში გაერთიანება "ტაიმსის" 30-მდე ჟურნალისტი მაინც რჩება. "ვაშინგტონ პოსტს" კი ბაღდადში ორი რეპორტიორი და ერთი ფოტოგრაფი ჰყავს...

თუმცა, ფაქტია, რაც უფრო ახლოვდება საბედისწერო თარიღი, ბაღდადში მით უფრო ცოტა ჟურნალისტი რჩება: თუ ჯერ კიდევ ერთი კვირის წინ ერაყის დედაქალაქში 450 უცხოელი კორესპონდენტი იყო, გუშინწინ სამასნი დარჩნენ. მათზე ერაყის მთავრობა განსაკუთრებულ ზედამხედველობას აწესებს. **"ბოლო დღეებში კიდევ ერთი ადგილობრივი მეგზური დაგვინიშნეს. ის ჩვენს ოფისში ზის, გვაკვირდება და ყველგან თან დაგვყვება"**, - ჰყვება CNN-ელი ნიკ რობერტსონი.

რაც ყველაზე საოცარია, საერთო დაძაბულობაში საკუთარი ნებით ერთვება სრულიად აპოლიტიკური არხი MTV-იც. მუსიკალური ახალი ამბების ნაცვლად, ტელეკომპანია ბაღდადში გაგზავნილი ჟურნალისტისგან თინეიჯერებს პოლიტიკურ-სამხედრო ამბებით ანათლებს. და MTV-ის ეთერშიც აშანთისა და ჯორჯ მაიკლის ნაცვლად სადამ ჰუსეინზე საუბრობენ.

ასე რომ, დაძაბულობა ყოველი ტელე-არხიდან თითქმის თანაბარი დოზებით იფრქვევა. თუმცა, ჟურნალისტები გვარწმუნებენ, რომ ომისთვის მზადებაში მხოლოდ მიმდინარე ამბების გაშუქებას არ გულისხმობენ. მათ სურთ, მაყურებლის ნერვებს გაუფრთხილდნენ, რის გამოც აუქმებენ რამდენიმე გასართობ შოუს და შეძლებისდაგვარად ხუმრობენ კიდეც (ყოველი შემთხვევისთვის ომის დაწყებამდე მაინც).

მაგალითად, CBS-ის ღამის ტელე-შოუს – Late Late Show-ს წამყვანი კრეიგ კილბორნი დათქმული 48 საათის გასვლამდე, ერთი ეფექტური ხუმრობით, ომის მოლოდინში დაძაბული ნერვების მოშვებას აშკარად ახერხებს: **"ერთი კარგი ამბავი უნდა ვახარო ერაყელებს. 50 პროცენტიანი შანსია იმისა, რომ პრეზიდენტ ბუშს ერაყი ირანში აერიოს და ბაღდადის ნაცვლად თეირანი დაბომბოს"**, - თავადაც ეღიმება ჟურნალისტს და ახდენს სასწაულს – ომით დაზაფრულ მოსახლეობას ომის თემაზე აცინებს. ანუ, ადამიანების ნერვები ჯერ კიდევ იმ სტადიაშია, როდესაც ხუმრობა კვლავაც ჭრის. საინტერესოა, რა იქნება 48 საათის შემდეგ. იმედია, MTV ნაწილობრივ მაინც შეინარჩუნებს ტრადიციულ მუსიკალურ ფორმატს...

## ფაქტები ერაყის შესახებ

**მდებარეობა**: ახლო აღმოსავლეთი; ესაზღვრება სპარსეთის ყურეს, ირანსა და კუვეიტს შორის;

**ფართობი**: სულ – 437.072 კვ.კმ; წყალი – 4.910 კვ.კმ.; ხმელეთი – 432.162 კვ.კმ.

**ზღვისპირა ზოლი**: 58 კმ.

**კლიმატი**: ძირითადად უდაბნო გრილი ზამთრითა და მშრალი, ცხელი ზაფხულით. ირანისა და თურქეთის საზღვრებთან, მთებში ხანდახან მოდის დიდი თოვლი, რაც ცენტრალურ და სამხრეთ ერაყში წყალდიდობებს იწვევს.

**ბუნებრივი რესურსები**: ნავთობი, ბუნებრივი აირი, ფოსფატები, გოგირდი;

**მოსახლეობა**: 24.001.816 (2002 წლის ივლისის მონაცემი);

**შობადობის მაჩვენებელი**: 34.2 ათას მოსახლეზე (2002 წლის მონაცემი);

**ეთნიკური ჯგუფები**: არაბები – 75-80%, ქურთები – 15-20%, თურქმენები, ასირიელები, სხვა – 5%;

**რელიგიები**: მუსლიმანური – 97% (ში`ა – 60-65%, სუნი – 32-37%), ქრისტიანული ან სხვა – 3%.

**ენები**: არაბული, ქურთული (ოფიციალური ენა ქურთულ რეგიონებში), ასირიული, სომხური;

**მთავრობის ტიპი**: რესპუბლიკა

**დედაქალაქი**: ბაღდადი

**ადმინისტრაციული დანაყოფი**: 18 პროვინცია

**დამოუკიდებლობა**: 1932 წლის 3 ოქტომბერი

**აღმასრულებელი ხელისუფლება**: ქვეყნის მმართველი – პრეზიდენტი სადამ ჰუსეინი (1979 წლის 16 ივლისიდან) 2002 წლის 15 ოქტომბერს, საპრეზიდენტო რეფერენდუმის შედეგად ჰუსეინი ხუთწლიანი ვადით კიდევ ერთხელ აირჩიეს.

**ექსპორტი**: 15.8 მილიარდი (დაუმუშავებელი ნავთობი)

**ექსპორტ-პარტნიორები**: აშშ – 46.2%, იტალია – 12.2%, საფრანგეთი – 9.6%, ესპანეთი – 8.6% (2000 წლის მონაცემი)

**საგარეო ვალი**: 62.2 მილიარდი (2001 წლის მონაცემი)

**ეროვნული ვალუტა**: ერაყული დინარი (კოდი: ICQ)

**ვალუტის გაცვლა**: ოფიციალური კურსი – ერთი აშშ დოლარი – 0.3109 დინარი; **შავი ბაზრის კურსი**: ერთი აშშ დოლარი – 2000 დინარი (2001 წლის მონაცემი);

**მობილური სატელეფონო სერვისი**: ეს მომსახურება არსებობს მხოლოდ ჩრ. ერაყში

**ინტერნეტის კოდი**: .iq

**ინტერნეტ-პროვაიდერი**: 1 (2000 წლის მონაცემი)

**ინტერნეტ-მომხმარებელი**: 12.500 (2001 წლის მონაცემი);

**ნავთობსადენები**: დაუმუშავებელი ნავთობი – 4.350 კმ. ნავთობ-პროდუქტები – 725 კმ. ბუნებრივი აირი – 1.360 კმ.

**აეროპორტები**: 108 (2001 წლის მონაცემი)

**სამხედრო დანაყოფები**: არმია, რესპუბლკური დაცვა, საზღვაო და საჰაერო ფლოტი, საჰაერო თავდაცვის ძალა, მესაზღვრეთა არმია

**სამხდრო ძალა**: 15-49 წლის მამაკაცები – 6.135.847 (2002 წლის მონაცემი);

### დღეს
### ოთხშაბათს, 19 მარტს



2002 წელს: თითქმის ერთ თვეში დაიშალა ანტარქტიდის ყინულის შელფი "ლარსენ ბი".

ძვ.წ.აღ-მდე 721 წელს: ბაბილონიელებმა დააფიქსირეს ჩვენთვის ცნობილი პირველი მზის დაბნელება.

1931 წელს: პირველად გაიყიდა ნაბახუსევის დასალევი წამალი "ალკა სელცერი".

1957 წელს: ელვის პრესლიმ შეიძინა თავისი მემამულური რეზიდენცია, "გრეისლენდი".

1964 წელს: გაიხსნა წმინდა ბერნარის დიდი გვირაბი, რომელიც იტალიასა და შვეიცარიას აკავშირებს.

1998 წელს: მედია-მაგნატმა რუპერტ მერდოკმა 350 მილიონ დოლარად ლოს ანჯელესის ბეისბოლის კლუბი "ლოს ანჯელეს დოჯერსი" იყიდა.

2002 წელს: არჩევნებში პრეზიდენტ რობერტ მუგაბეს საეჭვო გამარჯვების შემდეგ, რის შედეგადაც ის ქვეყნის მმართველი მეორედ გახდა, ზიმბაბვე 54-წევრიან ერთა თანამეგობრობიდან გარიცხეს.

© GRAPHIC NEWS

# პირველი ნაბიჯი




ზაზა ყავჭრიშვილი და ვაჟა მხითარიანი მოდელთან ერთად



საღამოს ვარცხნილობა

თეა შანიძე

ქართველი პარიკმახერების საქმიანი ვიზიტი უკრაინაში წარმატებული გამოდგა. მათ მონაწილეობა მიიღეს ქალაქ კიევში გამართულ პარიკმახერთა მეშვიდე საერთაშორისო ჩემპიონატში. საქართველოს დალაქთა ნაკრები რამდენიმე დღეა, რაც თბილისში დაბრუნდა.

ჩემპიონატი სამ დღეს გრძელდებოდა. ჟიურის შემადგენლობაში მოსკოველი პროფესიონალების გარდა, ქართველი ოსტატებიც შედიოდნენ (ასე რომ, მათ არა მარტო კონკურსანტობა ევალებოდათ); თბილისიდან: ნათელა იაშვილი (ვიცე პრეზიდენტი), ზაზა ყაჯრიშვილი (მწვრთნელი), იური სტეპანოვი. მოსკოვიდან: ვაჟა მხითარიანი (პრეზიდენტი), ერნა კარაპეტიანი.

საქორწილო და საღამოს ვარცხნილობების ჩვენებამ ფურორი გამოიწვია. ქართული ჯგუფის ძირითადი შემადგენლობიდან მესამე ადგილი ნანა ომანაძემ აიღო (საქორწილო); პატრიკ კასიმოვმა – მესამე ადგილი (საღამოს ვარცხნილობა); იუნიორებიდან – მეორე ადგილი სერგეი სტეპანოვმა (საქორწილო); საუკეთესო ვიზაჟისთვის – მეორე ადგილი მარინა საფრანოვა. პირველ ადგილსა და გრან-პრის მოსკოველი დენის სკაკუნოვი დაეუფლა.

პარიკმახერთა ქართული ჯგუფის შედეგებით კმაყოფილი, ჟიურის წევრი ზაზა ყაჯრიშვილი აღნიშნავს: "მოსამზადებელი პერიოდი მოსკოვში გავიარეთ.... ვაჟა გულმოდგინედ და დეტალურად მიხსნიდა ყველაფერს... მის მიერ რეკომენდირებული ვარცხნილობები, ყველა ნიუანსი, ელეგანტური "ხაზი" შევიმუშავეთ და შედეგიც მივიღეთ".

თავად ზაზას, თბილისში უკვე ცნობილ თმის ხელოსანს, ჩემპიონატის დასრულების შემდეგ " საერთაშორისო კლასის ოსტატის" სახელი მიანიჭეს, შესაბამისი პრიზითა და დიპლომით დააჯილდოეს.

როგორც ჩემპიონატის დანარჩენი მონაწილეები ამბობენ, უკრაინის პარიკმახერებისა და კოსმეტოლოგების კავშირის პრეზიდენტით დაწყებული, დამსწრე საზოგადოებით, ორგანიზატორებით, ჟურნალისტებითა და დაცვით დამთავრებული ყველაფერში შეთანხმებულობა და მიზანდასახულობა შეინიშნებოდა: "იგრძნობოდა, რომ ჩემპიონატისთვის მზადება მხოლოდ ერთი დღე არ გრძელდებოდა. საგამოფენო კომპლექსის უზარმაზარი ტერიტორია, რამდენიმე უშველებელი პავილიონი, პროფესიული მოწყობილობა და ყველა საჭირო ინსტრუმენტი ამ ჩვენებისთვის იყო განკუთვნილი".

"მართალი გითხრათ, - ამბობს ზაზა, - მონაწილეობა არც თუ ისე ადვილი საქმე იყო, თუმცა, ძალიან საინტერესო... შენ არამარტო საკუთარ თავზე აგებ პასუხს, არამედ მთელ შემოქმედებით ჯგუფზე – ეს დიდი ფიზიკური და ფსიქოლოგიური დატვირთვაა".

ჩემპიონატამდე სამი დღით ადრე ჩასულებს, კიევში ერთ-ერთმა პრესტიჟულმა სალონმა უმასპინძლა... ჟიურის წევრები კონკურსანტებს ქულებს შემდეგ დარღვევებზე აკლებდნენ: დაუნამავი თმა, ვიზაჟისა და ტიპაჟის შეუსაბამობა, ნომინაციის შეუსაბამო ვარცხნილობა; ნეონური ფერების გამოყენება, საკულტო და რელიგიური ნიშნების, სიმბოლოების გამოყენება; მოდელთან მოუხერხებელი მუშაობა; სამუშაოს შესრულებისას დამხმარე პერსონალის მოთხოვნა; აკრძალული პროფესიული ინსტრუმენტის გამოყენება; ნამუშევრის დასრულება გონგამდე ან მის შემდეგ; მოდელის ან სამუშაო ადგილის შეცვლა.

პარიკმახერთა საერთაშორისო ჩემპიონატში მონაწილეობის მიღება საქართველოდან მხოლოდ "საქართველოს პარიკმახერთა და კოსმეტოლოგთა ასოციაციაში" გაწევრიანებულთ შეეძლოთ.

...იმედია, კიევიდან დაბრუნებული , გამოცდილებაშეძენილი თბილისელი პარიკმახერების "ხელი" ქართველებს დაეტყობათ...




# ჭვრები და კვადრატები

"სუპერმატიზმის მამის", კაზიმირ მალევიჩის 125 წლისთავი პარიზსა და ბერლინში დიდი ზარ-ზეიმით აღნიშნეს. მთავარ გამოფენებს ორი დედაქალაქი ამსტერდამის სტედელიკის მუზეუმის დიდსულოვნებას უმადლის.

სტედელიკის მუზეუმი მალევიჩის ყველაზე მდიდარი კოლექციის მფლობელია. ამჟამად მისი შენობა სარემონტოდ იკეტება, და ამიტომაცაა, რომ მუზეუმმა თავისი უძვირფასესი ექსპონატები პარიზსა და ბერლინს შორის გაანაწილა – ცხადია, დროებით.

ბერლინელებისთვის კაზიმირ მალევიჩის შემოქმედება კარგადაა ცნობილი – სხვა თუ არაფერი, 1922 და 1927 წლებში ისინი სწორედ ბერლინში იყო გამოფენილი, მაშინ ექსპოზიციას თავად მხატვარი აწყობდა. ამსტერდამის მუზეუმის კოლექციაც, ძირითადად, იმ ნამუშევრებისგან შედგება, რომლებიც ბერლინურლი გამოფენების შემდეგ ევროპაში დარჩა. მას შემდეგ სუპერმატიზმის უდიდესი წარმომადგენლის გამოფენები გერმანიის დედაქალაქში საკმაოდ ხშირად იმართებოდა და სარეკლამო აფიშებზე გამოსახული შავი და წითელი კვადრატები ყოველი გამოფენის წარმატების საწინდარი იყო.

წლევანდელი გამოფენის ექსპოზიცია ბერლინმა სხვა, ძირითადად, კერძო კოლექციებიდანაც შეავსო, და ხელოვნების მოყვარულები მის



კაზიმირ მალევიჩი

დასათვალიერებლად უწინდელივით დიდი ენთუზიაზმით დადიან.

საფრანგეთში კი სულ სხვა ვითარებაა. უკანასკნელად მალევიჩის შედევრები ფრანგებმა 1978 წელს იხილეს – მაშინ გამოფენის ორგანიზატორი პონტუს ულტენი იყო. ამჯერად, როგორც მოგახსენეთ, პარიზული გამოფენისთვის ექსპონატები ამსტერდამის მუზეუმიდან ჩამოაბრძანეს, ნაწილი კი იმავე ამსტერდამიდან, ხაჯიევის კოლექციიდანაა ნათხოვარი. სწორედ ამ ორი კოლექციის გაერთიანების შედეგია პარიზის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში გახსნილი მალევიჩის გამოფენა.

შეიძლება ითქვას, რომ სტედელიკის მუზეუმიდან ჩამოტანილი ნახატები მიმოხილვითი ხასიათისაა – "იმპრესიონიზმიდან სუპერმატიზმისკენ". ექსპოზიცია იმპრესიონისტული პორტრეტით იხსნება, მას პრიმიტივიზმის ნიმუშები მოსდევს, შემდეგ – სიმბოლიზმის კვადრატული დარბაზი, გრაფიკა ხაჯიევის ფონდიდან და რამდენიმე წითელი ჯვარი. აქვე თეთრი, ყვითელი და წითელი სერიის ნახატებიცაა წარმოდგენილი.

პარიზის გამოფენის კატალოგი ჟან კლოდ მარკადეს, ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი რუსული ავანგარდის სპეციალისტის გამოკვლევებსაც შეიცავს.

# მშვენიერი ქალი და მომხიბვლელი მამაკაცები




ჯენიფერ ლოპესი

მართალია, ბენ აფლეკის სახით ცხოვრების საუკეთესო თანამგზავრი იპოვნა – ყოველ შემთხვევაში, თავად სულ ამის მტკიცებაშია, – პროფესიულ კარიერაში ჯენიფერ ლოპესი ექსპერიმენტებს თავს ვერ ანებებს. ლათინოამერიკელი ლამაზმანის ახალი პარტნიორი ოდნავ დაბერებული, მაგრამ მაინც მომხიბვლელი რიჩარდ გირი იქნება.

კომპანია Miramax-ის ახალი პროექტი რომანტიკული კომედიაა: "ხომ არ გვეცეკვა?" გადასაღებ მოედანზე მიუზიკლ "ჩიკაგოსა" და "მანჰეტენელი მოახლის" გმირები მოიყრიან თავს. ჰოლივუდი უკვე ტრადიციად ქცეულ ხერხს მიმართავს – ახალი სურათი ეკრანებზე 1996 წელს გამოსული პოპულარული იაპონური ფილმის რიმეიკი იქნება.

ამ ფილმში ჯენიფერ ლოპესი სამეჯლისო ცეკვების მასწავლებლის როლს შეასრულებს. ის, ცხადია, ახალგაზრდა იქნება და მშვენიერი. ჯენიფერის გმირი მძიმე დეპრესიაში მყოფი მამაკაცის პედაგოგობაზე დათანხმდება, და სულ მალე, დიდი ასაკობრივი სხვაობისა და მამაკაცის ოჯახური მდგომარეობის მიუხედავად, მას თავდავიწყებით შეუყვარდება თავისი მოსწავლე, ანუ რიჩარდ გირი.

მოცეკვავე წყვილის შესახებ ფილმის გადაღებები ჯერ არ დაწყებულა. ამჟამად ლოპესს რობერტ რედფორდთან ერთად ლას ჰოლსტრომის დრამაში, "დაუმთავრებელ ცხოვრებაში" იღებენ, ზაფხულში კი ეკრანებზე ორი ახალი ფილმი, Gigli და Jersey Girl გამოვა, რომლებშიც რეალური წყვილი - ჯენიფერ ლოპესი და ბენ აფლეკი თამაშობენ.

## სკანდინავიური კროსვორდი






NMCP
NETHERLANDS MANAGEMENT COOPERATION PROGRAMME
ნიდერლანდის მართვის თანამშრომლობის პროგრამა

მოიწვიეთ თქვენს კომპანიაში ჰოლანდიელი მენეჯერი!

ნიდერლანდის სამეფოს სამთავრობო პროგრამა მენეჯმენტის განვითარების და თანამშრომლობის დარგში (NMCP), კერძო წარმომადგენლებს გაძლევთ საშუალებას, ერთი ან ორი კვირით, უფასოდ მოიწვიოთ თქვენს ფირმაში გამოცდილი ჰოლანდიელი სპეციალისტი. ჰოლანდიელი ექსპერტი დაგეხმარებათ თქვენი კომპანიის მენეჯმენტის, მარკეტინგის, PR-ის განვითარებასა და სრულყოფაში, ახალი და საქმიანი კონტაქტების დამყარებაში.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ საქართველოში NMCP პროგრამის კოორდინატორს (ტელ: 899-931454). აგრეთვე, შეგიძლიათ მოიპოვოთ ინფორმაცია ინტერნეტის მეშვეობით (www.nmcp.nl). გისურვებთ წარმატებებს.

წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გააუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.
წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-24
20-00-24